

კარი III

საგნობრივი პროგრამები

თავი XI

საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

1. ზოგადი ნაწილი

ა) შესავალი

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც მათი შემთხვევითი ნაკრები, არამედ როგორც ერთი მთლიანი სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);
- გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- კალიგრაფიული კულტურის გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;

- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსით (ლექსიკონები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სარგებლობა;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- ტექსტის აგების კანონზომიერების გათვალისწინებით ტექსტის შექმნა;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერა და მეტყველება;
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება;
- მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტირება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება.

გ) საგნის სწავლების საფეხურების დახასიათება

1. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები)

დაწყებითი სწავლება მოიცავს ექვსწლიან ციკლს. სკოლის ეს პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ამდენად, ამ შემთხვევაში წამყვანი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გადმოცემა;
- წაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად კითხვა;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელი მინიმუმის შეგნებულად გამოყენება.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირება;
- კამათის, დისკუსიისა და მსჯელობის სტრატეგიების გამოყენება;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების კორექცია და დახვეწა კომუნიკაციის ეტიკეტური ნორმების მიხედვით;
- კითხვის ძირითადი სტრატეგიების დაუფლება;
- სხვადასხვა ხასიათის, მიზნისა და დანიშნულების წერილობითი ტექსტების შეთხზვა.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ტექსტების მოსმენა, წაკითხვა და საკუთარი ემოციებისა და აზრის გამოხატვა;
- მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან;
- ტექსტის ეპიზოდების ერთმანეთთან დაკავშირება და მთავარი თემის განსაზღვრა;
- გმირის საქციელის შეფასება;
- მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ფუნქციის ახსნა;
- მხატვრული ტექსტების შექმნა;
- საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა.

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი - **ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის** - მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით სკოლაში ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობამაც მოსწავლე უნდა მოამზადოს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს. მათ უნდა ისწავლონ ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა, ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი და შეძლონ დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა.

2. საბაზო საფეხური (VII-IX კლასები)

საბაზო სწავლება მოიცავს სამწლიან ციკლს. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლე ავლენს მიდრეკილებას ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნებისადმი. აქედან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა სახის ტექსტების მოსმენა და აღქმა;
- ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და ამ ლოგიკური კავშირების ამსახველი სინტაქსურ-სტილისტური ხერხების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის (როგორც ლიტერატურული, ისე სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.), სტილისა და ჟანრის ტექსტების თავისუფლად გაგება, მათი ენობრივი ანალიზი და სინთეზი;
- ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება;
- სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის (ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.) ტექსტების გამართულად წერა განსხვავებულ თემებზე; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის ცოდნა და ამ ცოდნის შეგნებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- საკუთარი კომუნიკაციური ქცევის ადეკვატურად შეფასება და სათანადოდ წარმართვა;
- იმ უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების დაუფლება, რომლებიც მიღებულია მოცემულ კულტურულ გარემოში კამათის, დისკუსიის, დებატებისა და საკუთარი აზრის გამოთქმისას;
- ტექსტის წასაკითხად, დასამუშავებლად და გასაანალიზებლად აუცილებელი კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- სხვადასხვა ხასიათის ზეპირი და წერილობითი ტექსტების საკომუნიკაციო მიზნის ამოცნობა და ამ კუთხით ტექსტის ეფექტურობის შეფასება;
- საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით, ფუნქციური სტილის მართებულად შერჩევა წერის დროს; საკუთარი ნაწერის რედაქტირება და კორექტირება.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- მხატვრულ ტექსტში გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ეფექტურობის შეფასება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და პრობლემების დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან;
- სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება;
- ნაწარმოებში არსებული პრობლემური საკითხების მრავალმხრივი და არასტერეოტიპული ინტერპრეტაცია;
- სოციოკულტურული კონტექსტის გავლენის აღქმა-გააზრება ლიტერატურულ ნაწარმოებებში;
- ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრება ადამიანის შემეცნებითი, შემოქმედებითი და ეთიკური განვითარებისათვის;
- შეთხზვა წერილობითი ტექსტებისა, რომლებშიც მჟღავნდება მოსწავლის ლიტერატურული გემოვნება, შემეცნებითი ინტერესები, შემოქმედებითი უნარები.

3. საშუალო საფეხური (X-XII კლასები)

საშუალო საფეხური საქართველოში სწავლების სამწლიან ციკლს ითვალისწინებს (X-XII კლასები). საშუალო საფეხური სავალდებულო არ არის და, ფაქტობრივად, მოსწავლის უმაღლესი სკოლისთვის მომზადებას ემსახურება. სწავლების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია დაეუფლოს ნებისმიერ პროფესიას, სრულფასოვანი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა სახის ზეპირი ტექსტების ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- წაკითხული ტექსტის კონსტრუირება (ენობრივი ანალიზი და სინთეზი);
- ტექსტების სახეების ამოცნობა და განმარტება მათს სტრუქტურულ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებზე დაყრდნობით;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და მათი სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა ტიპისა და სტილის ტექსტების გამართულად წერა; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის წესების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- იმ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემაზე კამათის წარმართვას;
- სხვადასხვა სახის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შეფასება მათი საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;
- წაკითხულის გადამოწმება და შეფასება სანდოობის, აქტუალურობის, პოპულარობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამოწმება და მონაცემთა ბანკის შედგენა;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის ნებისმიერი ტიპის წერილობითი ტექსტის შეთხზვა.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;
- ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება და წარმოჩენა;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზება;
- წერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება.

დ) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ორგანიზება

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება იწყება პირველი კლასიდან და გრძელდება მეთორმეტე კლასის ჩათვლით.

საგნობრივი პროგრამის სტრუქტურა

საგნობრივი პროგრამა მოიცავს თითოეული კლასის ბოლოს მისაღწევ შედეგებსა და ამ შედეგების შესამოწმებელ ინდიკატორებს. შედეგები და ინდიკატორები დალაგებულია სამი ძირითადი მიმართულების (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის) მიხედვით; ეს არის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებები. თითოეულ მიმართულებაში 3-დან 7-მდე შედეგია. ინდიკატორთა რაოდენობა არ არის შეზღუდული და მერყეობს 2-დან 20-მდე. ინდიკატორები სხვადასხვა სირთულისაა და, შესაბამისად, დასაშვებია მათი არა სრულად, არამედ ნაწილობრივად დაფარვა, რაც აისახება კიდევ მოსწავლეთა შეფასებაში.

თითოეული კლასის საგნობრივ პროგრამას ახლავს პროგრამის შინაარსი; მასზე დაყრდნობით შესაძლებელია სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევა. პროგრამის შინაარსში გაწერილია კონკრეტული საკითხები (მასალა) საგნობრივი მიმართულებების მიხედვით.

ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შინაარსში წარმოდგენილია ასევე იმ ნაწარმოებთა ჩამონათვალი, რომელთა შესწავლა სავალდებულოა და რომელიც შეადგენს მთლიანი პროგრამის 60

პროცენტს. დანარჩენ მასალას (მთლიანი პროგრამის 40 პროცენტს) შეარჩევს მასწავლებელი და/ან სახელმძღვანელოს ავტორი.

ე) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმართულებების აღწერა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ეს მიმართულებები სამ ძირითად საგნობრივ სფეროში ჰკოვებს რეალიზებას. ესენია: ენა, როგორც ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასების საშუალება (ენა საინფორმაციო მიმართულებით), ენის კომუნიკაციური ასპექტები (ზეპირი და წერილობითი არამხატვრული ტექსტები) და ლიტერატურა, როგორც ენის ესთეტიკური გამოვლინება.

უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებები:

- **ზეპირმეტყველება.** ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს. ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.
- **კითხვა.** კითხვის უნარის განვითარება **წიგნიერების** საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.
- **წერა.** ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა, წერის კულტურის ჩამოყალიბება პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარის გამოვლენა და განვითარება, აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტური საშუალებების დაუფლება, მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება (წინასწარი გეგმის შედგენა, საკვანძო სიტყვების შერჩევა, „შავი“ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირება და ა.შ.). მოსწავლე უნდა დაეუფლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

საგნობრივი მიმართულებები

ენა აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალებაა. შესაბამისად, მისი სწავლება ენის ამ ორი უმთავრესი ფუნქციის წინ წამოწევასა და პრიორიტეტულ მიზნად დასახვას უნდა ემსახურებოდეს.

- ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება, როგორც აზროვნების საშუალება, უპირველესად გულისხმობს ადამიანის თვითგამოხატვის ენობრივი საშუალებების ფლობას, ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნას; მოსწავლეები ეუფლებიან მშობლიური ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად ნორმებს. მშობლიური ენის სწავლების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ენის აქტიური გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და არა მხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ძირითადი აქცენტი გადატანილია პრაქტიკული გრამატიკის სწავლებაზე. ამიტომ, სწავლის პროცესში ენის საკითხები უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ტექსტს და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას.
- ენის სწავლების ამ კომპონენტთან მჭიდროდაა დაკავშირებული ენის კომუნიკაციური ასპექტები; მისი მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად. ენის სწავლების ეს კომპონენტი სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად.
- მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა. ლიტერატურის სწავლების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს და ერთგვარი ბიძგი მისცეს თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენას. მხატვრული ლიტერატურის შესწავლისას, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ბუნებრივად ჩნდება საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივა.
 - ❖ პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში ლიტერატურის სწავლების მიზანია არა იდეოლოგიზებული ცნობიერების მქონე ადამიანის აღზრდა, არამედ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება, პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები. ლიტერატურასთან ურთიერთობამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნება, გაუღვიძოს შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილი.

გ) შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში

შეფასების კომპონენტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მრავალმხრივი გააზრება-გაანალიზება და შეფასება;
- ტექსტების ინტერპრეტირება;
- ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- თხრობა;
- მსჯელობა;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა-შეთხზვა;
- ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;
- გამომხატველობითი კითხვა;

- გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერა;
- შემოქმედებითობა;
- სასწავლო სტრატეგიების (კითხვის, წერის, მოსმენის, ზეპირმეტყველების) გააზრებულად გამოყენება;
- მხატვრული ხერხების ცოდნა;
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და გაანალიზება;
- ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვა.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:

- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი.

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები;
- დისკუსიის მოწყობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით;
- თხზულების, ესეის, რეფერატის შედგენა;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება;
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა;
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად;
- პროექტის განხორციელება.

შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ხმამაღალი კითხვა;
- ჩუმი კითხვა (მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა);
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა;
- წარმოსახვის უნარი;
- ეპიზოდების თხრობა;
- შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა;
- შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება. ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- ზეპირი მოხსენების წარმოდგენა;
- ესეის შედგენა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- გამომეტყველებითი კითხვა (ინდივიდუალური ან გუნდური);
- ლიტერატურული სალონი;
- ზეპირი გამოსვლის აუდიო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება;
- სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული /გაგება-გააზრება/ დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტექსტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების, პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

ზოგადი რუბრიკის ნიმუში

შეფასების ზოგადი რუბრიკა ზეპირი შემაჯამებელი დავალებებისათვის:

- პირობასთან შესაბამისობა;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები;
- ენობრივი უნარ-ჩვევები;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები.

კონკრეტული რუბრიკის ნიმუში

ნიმუში 1. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა:

- გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:
- ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;
 - ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;
 - გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი მოხსენების მაქსიმალური დროა 5 წუთი.

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1

იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0,5 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1-2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1-2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)	

შემაჯამებელი დავალების სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

ქართ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

თავი XII

საგნობრივი კომპეტენციები დაწყებით საფეხურზე

I კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.</p> <p>ქართ. I. 2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.</p> <p>ქართ. I. 3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა.</p> <p>ქართ. I. 4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.</p> <p>ქართ. I. 5. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.</p>	<p>ქართ. I. 6. მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება.</p> <p>ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.</p> <p>ქართ. I. 8. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აბრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება.</p> <p>ქართ. I. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს წაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები.</p> <p>ქართ. I. 10. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები.</p> <p>ქართ. I. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა.</p>	<p>ქართ. I. 12. მოსწავლეს შეუძლია ანბანის ყველა ასოს გამოწერა.</p> <p>ქართ. I. 13. მოსწავლეს შეუძლია კარნახით წერა და ნაბეჭდი ტექსტიდან / დაფიდან მარტივი წინადადებების გადაწერა.</p> <p>ქართ. I. 14. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადებების შედგენა ნაცნობ თემებზე.</p> <p>ქართ. I. 15. მოსწავლეს შეუძლია გარკვეული საყრდენების დახმარებით მარტივი ყოფითი ტექსტების წერა.</p>

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად სვამს შეკითხვებს;
- მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში და საჭიროების მიხედვით ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/ პასუხობს შეკითხვებს);
- ამოიცნობს და იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და ა. შ.).

ქართ. I. 2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მინიშნებებზე, ილუსტრაციებზე და ა. შ. დაყრდნობით გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- აღწერს ილუსტრაციას (აღწერს მოქმედებას, ასახელებს საგნებს, სწორად აღწერს საგანთა განლაგებას: წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ);
- მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, ბრძანებას) და შესაბამის ინტონაციას;
- წინასწარ მიცემული გეგმის / ინსტრუქციის მიხედვით გადმოსცემს ფაქტებს.

ქართ. I. 3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში;
- პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან;
- იყენებს საკავშირებელ სიტყვებს (და, რომ, მაგრამ...);
- წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით;
- თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების („ესე იგი“, „დიახ“, „მნა-მნა“...) გამოყენებას სამეტყველო პაუზების დროს.

ქართ. I. 4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ზღაპარს დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების მიხედვით („იყო და არა იყო რა“; „ჭირი იქა, ლხინი აქა“...);
- სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით;
- ამოიცნობს პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა. შ.);
- მონაწილეობს პერსონაჟის ჯგუფურ დახასიათებაში;
- მონაწილეობს ტექსტის სახელდახელო ინსცენირებაში, ირჩევს როლის შესატყვის ინტონაციასა და შესტ-მიმიკას;
- ქმნის ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/მონაკვეთების ილუსტრაციებს და ასათაურებს მათ;
- აფასებს მოსმენილს (მომეწონა / არ მომეწონა);
- აფასებს პერსონაჟს და მის საქციელს (კეთილია / ბოროტია; კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა და ა.შ.);
- იხსენებს მოსმენილის მსგავს ამბავს.

ქართ. I. 5. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიტყვას ყოფს მარცვლებად, მარცვლებს აერთიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს და ტაშის დაკვრით ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას;
- მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ან სურათებზე ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს;
- მარცვლების რაოდენობას წარმოადგენს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოთი (მაგ., ერთმარცვლიან სიტყვას ერთი რკალით ◀, ორმარცვლიანს - ორი რკალით ◀◀ და ა.შ.);
- ამოიცნობს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლოურად გამოსახავს მას (მაგ., სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს);
- მოსმენილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს და სიმბოლოური ნიშნით აღნიშნავს მათს რაოდენობას (მაგ., წითელქუდა ბეზიასთან წავიდა – სამი ხაზი: _____);
- სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად;
- განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს;
- სიტყვის სათანადო მარცვალში პოულობს ბგერის ადგილმდებარეობას (მარცვლის დასაწყისში, შუაში, ბოლოში).

მიმართულება: კითხვა

ქართ. I. 6. მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს¹;
- ადარებს სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიულ ხატებს, პოულობს საერთო მარცვლებს, ასოებს;
- ნაცნობ სიტყვებში ცნობს და წარმოთქვამს ასოებს;
- სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს წინასწარ მითითებულ ასოს, მარცვალს;
- ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს - სიტყვებად;
- სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ასოებს;
- ასოებისაგან, მარცვლებისაგან აწყობს სიტყვას;
- ცნობს ანბანის ყველა ასოს.

ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.²

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკავშირებს ასოებს ბგერებთან და ამთლიანებს მათ მარცვლებად, სიტყვებად (წარმოთქვამს სიტყვებს);
- სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს მითითებულ სიტყვას;
- ხმამალა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს;
- წინადადების საზღვრების შესაბამისად აკეთებს პაუზას;
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.

¹ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა – მთლიანი სიტყვის ამოცნობა დამარცვლა-დანაწევრების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. თუკი მოსწავლეს მესხიერებაში აქვს კონკრეტული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატი, ანუ სიტყვის შემადგენელი ასოების მოწესრიგებული თანამიმდევრობა, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ამ ხატს სიტყვის მნიშვნელობასთან.

² გაშიფვრა – გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება.

ქართ. I. 8. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აზრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დამოუკიდებლად იგებს სავარჯიშოს პირობას;
- იგებს და ასრულებს მარტივი ენით დაწერილ სამ ან ოთხსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ., მითითებების მიხედვით ამზადებს დეკორაციას, დესერტს, ქმნის მარტივ ნაკეთობას და სხვ.);
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.

ქართ. I. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს წაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს/აფერადებს მოსმენილი/წაკითხული ნაწარმოების პერსონაჟს;
- სათამაშოების/ნივთების კიდობნიდან ამოარჩევს საგნებს, რომლებიც წაკითხული / მოსმენილი ტექსტის მთლიან შინაარსს / ცალკეულ ეპიზოდს ეხმიანება და ხსნის, რატომ აირჩია ესა თუ ის ნივთი;
- ნაწარმოების მოსმენის/წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების, აღძრული გრძნობების/ემოციების გადმოსაცემად ქმნის კოლაჟს მის მიერ შეგროვებული მასალით (ფოტოლებით, ყვავილებით, ხის ტოტებით და ა.შ.);
- ქმნის მთლიანი ზღაპრის ან ცალკეული ეპიზოდის ილუსტრაციებს;
- სხვა მოსწავლის მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაცნობ ზღაპარს / მოთხრობას / ლექსს.

ქართ. I. 10. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხვისას წიგნს დაიკავებს სწორად, სათანადო დისტანციაზე;
- კითხვისას იყენებს მისთვის ხელსაყრელ ხერხს (მაგალითად, თითს აყოლებს ტექსტს);
- ფორმალური ნიშნების მიხედვით (მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა. შ. მეშვეობით) ამოიცნობს საბავშვო წიგნს, ჟურნალს;
- განარჩევს ერთმანეთისაგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს;
- განარჩევს ერთმანეთისაგან ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ ნაწილებს (ილუსტრაციებს, პირობით ნიშნებს).

ქართ. I. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტში ამოიცნობს აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს;
- ითვლის ტექსტში აბზაცების რაოდენობას, აბზაცში – სტრიქონებისას, სტრიქონში – სიტყვებისას, სიტყვებში კი – ასოებისას;

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის კომპოზიციურ აგებულებას და ასახელებს ტექსტის მორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.);
- პოულობს სასვენ ნიშნებს (მაგ., წერტილს, კითხვის ნიშანს და სხვ.).

მიმართულება: წერა

ქართ. I. 12. მოსწავლეს შეუძლია ანბანის ყველა ასოს გამოწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.);
- ჰაერში ხელის სწორი მოძრაობით გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას;
- ხელის სწორი მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით;
- იცავს ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების პრინციპს.

ქართ. I. 13. მოსწავლეს შეუძლია კარნახით წერა და ნაბეჭდი ტექსტიდან / დაფიდან მარტივი წინადადებების გადაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს მანძილს ასოებს შორის;
- ნაბეჭდი ფურცლიდან/დაფიდან გადაწერს სიტყვებს, წინადადებებს;
- კარნახით წერს ასოებს, მარცვლებს, სიტყვებს;
- მოცემული ბგერებით ადგენს სიტყვებს ზეპირად და შემდეგ წერს;
- დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია.

ქართ. I. 14. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადებების შედგენა ნაცნობ თემებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის პროცესში სათანადოდ იყენებს საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედების გამომხატველ სიტყვებს;
- მასწავლებლის მიერ მოცემული სიტყვების მიხედვით აგებს მარტივ წინადადებას;
- სიტყვების დასაკავშირებლად მართებულად იყენებს კავშირებს (და, მაგრამ...);
- წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს;
- სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს წინადადების ბოლოს.

ქართ. I. 15. მოსწავლეს შეუძლია გარკვეული საყრდენების დახმარებით მარტივი ყოფითი ტექსტების წერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოდელის მიხედვით ქმნის და აფორმებს სხვადასხვა სახის ყოფით ტექსტებს (მისალოც ბარათს, საყვარელი კერძების მენიუს, გამაფრთხილებელ აბრას და სხვ.);
- ავსებს ტექსტში ნაკლებ ინფორმაციას;
- წარწერას უკეთებს ილუსტრაციას.

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა: ბგერა და ასო; მარცვალი. კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: სიტყვა - წინადადება; მარტივი წინადადების აგება; თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებების ინტონაციის გამოხატვა; წინადადება - დასრულებული აზრი.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: მოსმენისა და საუბრის წესები; თავაზიანი მეტყველება; მეტყველების ეტიკეტური ფორმები (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, თხოვნა); სიტყვიერი და არასიტყვიერი კომუნიკაცია (ჟესტები, მიმიკა, ხმის დონეები, ინტონაცია); წერილობითი ტექსტის გრაფიკული სტრუქტურა: ტექსტი, აზნაცი, სტრიქონი, წინადადება, განსხვავებული ტიპის შრიფტები, ილუსტრაციები. ტექსტი, სათაური, ავტორი.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მცირე ზომის ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ცხოველებზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე.

საკითხავი მასალა: ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები; მცირე ზომის ფოლკლორული ტექსტები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები; ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა და თანამედროვე მწერლების ზღაპრები, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.

II კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. II. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად რეაგირება მარტივ სამეტყველო სიტუაციებში.</p> <p>ქართ. II. 2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.</p> <p>ქართ. II. 3. მოსწავლეს</p>	<p>ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.</p> <p>ქართ. II. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., გაკვეთილების ცხრილის, დღის/კვირის განრიგის, კულინარიული რეცეპტის, ტელეპროგრამის)</p>	<p>ქართ. II. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი საინფორმაციო ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით.</p> <p>ქართ. II. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი</p>

<p>შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.</p>	<p>სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათზე დაყრდნობით ინფორმაციის მოძიება.</p> <p>ქართ. II. 6. მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მიერ წაკითხულ მხატვრულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება, მონაკვეთების წაკითხვა და გაგება.</p> <p>ქართ. II. 7. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.</p> <p>ქართ. II. 8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი / წაკითხული ტექსტი ან ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი გარდაქმნას აზრობრივ ნახატად.</p> <p>ქართ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ლექსიკის გამოყენებით.</p> <p>ქართ. II. 12. მცირე მოცულობის ტექსტების შექმნისას მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების გამოყენება.</p> <p>ქართ. II. 13. მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.</p>
---	---	---

წლის ბოლოს მისალწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. II.1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად რეაგირება მარტივ სამეტყველო სიტუაციებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას;
- სამეტყველო სიტუაციისა და ადრესატის გათვალისწინებით შეარჩევს მართებულ გამონათქვამს (როგორ ხარ? / ბრძანდებით?);
- ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს ეტიკეტურ დიალოგებს ნაცნობ თემებზე (მიპატიჟება, თავაზიანი თხოვნა ან უარი და ა. შ.).

ქართ. II. 2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
- გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას;
- ასათაურებს ტექსტს;
- ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათს გარეგნობას, თვისებებს);
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს / არ მომწონს, კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.);
- ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან;
- აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან;
- გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა. შ.);
- მონაწილეობს პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფურ დახასიათებაში;
- ქმნის ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების ილუსტრაციებს, ასათაურებს და გადმოსცემს მათს შინაარსს.

ქართ. II. 3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს და ახასიათებს ნაცნობ საგანს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;
- განარჩევს წინადადების მოდალობებს (თხრობას, კითხვას, თხოვნას, ნატვრას, ბრძანებას) და წარმოთქვამს მათ შესაბამისი ინტონაციით;
- ამბის გადმოცემისას იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს;
- სათანადოდ იყენებს კავშირებს (ან, მაგრამ...);
- სწორად ხმარობს კითხვით სიტყვებს (ვინ? რა?), უარყოფით ნაწილაკებსა (არ, ვერ) და ნაცვალსახელებს (პირის, კუთვნილების) სათანადო კონტექსტში;
- განასხვავებს ჩვეულებრივ (მაგ., „როგორ ხარ?“ ან „წამოდი, გთხოვ“) და თავაზიანობის გამომხატველ (მაგ., „როგორ ხართ? / ბრძანდებით?“ ან „წამობრძანდით, გთხოვთ“) ენობრივ ფორმებს.

მიმართულება: კითხვა

ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს;
- დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს;
- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს (კითხვის ტექნიკის დაუფლების ხელშეწყობის მიზნით შედგენილ ტექსტებს, საბავშვო ლექსებს, გამოცანებს, ანდაზებს, ენის გასატეხებს, ფრაგმენტებს მოთხრობებიდან, იგავ-არაკებსა და სხვ.); ცდილობს დაიცვას პაუზა სასვენ ნიშნებთან;
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას;
- პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს.

ქართ. II. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., გაკვეთილების ცხრილის, დღის/კვირის განრიგის, კულინარიული რეცეპტის, ტელეპროგრამის) სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათზე დაყრდნობით ინფორმაციის მოძიება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტის მათემატიკურ ელემენტებზე დაკვირვებით ამოცნობს და ასახელებს, რა ტიპის ინფორმაციაა მოცემული კონკრეტული სახის ტექსტში (მაგ., ტელეპროგრამაში - გადაცემის ტიპი, დღე, საათი; კულინარიულ რეცეპტში – მასალის ჩამონათვალი, რაოდენობა, მომზადების წესი და სხვ.);
- ასახელებს ან მიუთითებს, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს კონკრეტული ინფორმაცია (მაგ., გაკვეთილების ცხრილში სად არის განთავსებული საგნების ჩამონათვალი, სად – კვირის დღეები);
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., რომელ დღეს და რომელ საათზეა ესა თუ ის მულტფილმი, კვირაში რამდენჯერ არის ჭადრაკის წრე და სხვ.).

ქართ. II. 6. მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მიერ წაკითხულ მხატვრულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება, მონაკვეთების წაკითხვა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განარჩევს დიალოგს და თხრობას;
- მოიძიებს რეპლიკების ავტორებს;
- ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვებს (მაგ., პერსონაჟთა სახელებს, ცხოველს, სათამაშოს და სხვ.);
- პოულობს ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში ილუსტრაციის შესაბამის ეპიზოდს.

ქართ. II. 7. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმამალა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
- განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის, პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...);
- ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; ვინ და რა ჯგუფის სიტყვებს).

ქართ. II. 8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი / წაკითხული ტექსტი ან ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი გარდაქმნას აზრობრივ ნახატად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ან მისი ფრაგმენტის სიუჟეტურ ნახატს;
- ირჩევს პერსონაჟს / რომელიმე მოქმედებას / მოქმედების ადგილს და ქმნის ნახატს საკუთარი ინტერპრეტაციით, ფანტაზიით;
- ქმნის ნახატს, რომელშიც გადმოცემულია მოსმენილი / წაკითხული ამბის გაგრძელება;
- ასათაურებს საკუთარი ინტერპრეტაციით ან ფანტაზიით შექმნილ ნახატს / წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნილი ამბის გაგრძელებას და ხსნის, რატომ შეურჩია ნახატს ასეთი სათაური;
- მოცემული ილუსტრაციის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
- ასახელებს მოსმენილი / წაკითხული ტექსტის შესაბამისი თემატიკის მულტფილმს, საბავშვო ფილმს, ასახელებს მსგავს / განსხვავებულ ადგილებს.

ქართ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს წიგნის მარტივ სტრუქტურას: წიგნის ყდას, თავფურცელს ავტორისა და სათაურის მითითებით, ტექსტს, სარჩევს;
- ილუსტრაციების მიხედვით ამოიცნობს ტექსტის ან წიგნის შესაძლო შინაარსს;
- შემუშავებული აქვს მარტივი წესი, რომლის მიხედვით წიგნში იოლად ჩაინიშნავს ან მოძებნის კონკრეტულ ადგილს;
- ყურადღებას აქცევს და იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ პირობით ნიშნებს;
- ცდილობს, განმარტოს უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით ან მიმართავს მასწავლებელს / მშობელს;
- იყენებს წიგნის სარჩევს, ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს;
- გამოყოფს მითითებულ ან საჭირო აზრებს, ტექსტის დასაწყისსა და დასასრულს.

მიმართულება: წერა

ქართ. II. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი ინფორმაციული ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება მოდელს და ამოიცნობს, რა ტიპის ინფორმაციას შეიცავს ტექსტი (მაგალითად, მოსაწვევი ბარათში - ვის იწვევენ, რასთან დაკავშირებით, სად, როდის...);
- ასახელებს მოდელის კომპოზიციურ თავისებურებებს (როგორ არის ინფორმაცია ორგანიზებული);
- თავს უყრის და ჩამოწერს კონკრეტულ ინფორმაციას, რომლის შეტანაც უნდა ტექსტში;
- ადგენს ტექსტს მოდელის მიხედვით;
- შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები.

ქართ. II. 11. მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს და ასათაურებს მცირე ზომის მარტივ ტექსტს;
- მოკლედ წერს პირადი გამოცდილების შესახებ („ზაფხულის არდადეგები“, „ჩემი მეგობარი“, „შინაური ცხოველები“ და ა. შ.);
- პასუხობს კითხვებს ზეპირად და შემდეგ წერილობით;
- წერს კარნახით;
- სწერს წერილს მეგობრებსა და წარმოსახვით პერსონაჟებს;
- შეადგენს გამაფრთხილებელ წარწერებს და განცხადებებს (მაგ., „ფრთხილად, ეზოში ძაღლია“, „ნუ შეეხებით“, „დაიკარგა ძაღლი“ და ა. შ.);
- მოდელის მიხედვით ადგენს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს (მაგ., მოსაწვევი ბარათს, კვირის განრიგს, გენეალოგიურ ხეს, დღის რეჟიმსა და სხვ.);
- გადმოსცემს ნახატი ან მუსიკალური ნაწარმოებით მიღებულ შთაბეჭდილებას;
- ახასიათებს მისთვის ნაცნობ საგნებს და ადამიანებს.

ქართ. II. 12. მცირე მოცულობის ტექსტების შექმნისას მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სახელებსა და მოქმედების აღნიშვნელ სიტყვებს სათანადოდ ათანხმებს რიცხვში;
- კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ზმნის დროებს (წარსულს, აწმყოს, მომავალს);
- იყენებს მაერთებელ კავშირებს სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფების დასაკავშირებლად წინადადებაში;
- მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს (სწორად იყენებს ზმნურ ფორმებს) და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს.

ქართ. II. 13. მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს საკუთარ ნაწერს ხმამაღლა და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს;
- ამოიწერს მასწავლებლის მიერ ჩასწორებულ ფორმებს ან მთლიან წინადადებას.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: სიტყვებს აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობა. ისინი აღნიშნავენ საგნებს, თვისებებს, მოქმედებას და სხვ.; შეიძლება ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს; სიტყვის შერჩევა შესაძლებელია (და აუცილებელი) შინაარსის მიხედვით, რათა აზრი უკეთ გამოიხატოს.

გრამატიკული ასპექტი: ხმოვანი და თანხმოვანი; სიტყვის ბგერითი ანალიზი და სინთეზი. სიტყვის ფორმოზომიერი ანალიზის საწყისი ჩვევების გამომუშავება; კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: **სიტყვა - წინადადება - ტექსტი**; მარტივი წინადადების აგება და ძირითადი სასვენი ნიშნების გამოყენება; წარმოთქმული წინადადების ინტონაციის გამოხატვა წერისას და დაწერილისა - პირიქით, წარმოთქმისას; სიტყვათა შინაარსობრივი კავშირი წინადადებაში; წინადადება - დასრულებული აზრი; მოცემული სიტყვებით წინადადების კონსტრუირება; თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საუბრის თემა, ადრესანტი და ადრესატი; ეტიკეტური დიალოგები. მოსმენისა და კითხვის სტრატეგიები (თემა, სათაური და საკვანძო სიტყვები). შესწავლითი კითხვა (სასწავლო ტექსტის კითხვის სტრატეგიები: სათაურისა და აზრების მიხედვით კითხვების დასმა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა); ტექსტის კორექტირების მარტივი ხერხები (ჩამატება, ამოღება). ტექსტი, როგორც თემატური და აზრობრივი ერთიანობა. სათაურის ტიპები. ტექსტის სტრუქტურულ-აზრობრივი ნაწილები: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული. აღწერა და მსჯელობა. მიზნობრივი და ზეპირი კომუნიკაციის მარტივი ტექსტები (წერილი, დიალოგი, განცხადება, გამაფრთხილებელი წარწერები).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

საკითხავი მასალა: ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები, იგავ-არაკები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები. ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.

III კლასი ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.</p> <p>ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.</p>	<p>ქართ. III. 4. მოსწავლე ფლობს კითხვის ტექნიკას.</p> <p>ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიიდან, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).</p> <p>ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.</p> <p>ქართ. III. 7. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>ქართ. III. 8. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.</p>	<p>ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.</p> <p>ქართ. III. 12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.</p> <p>ქართ. III. 13. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.</p> <p>ქართ. III. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.</p>

	<p>ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.</p> <p>ქართ. III. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.</p>	
--	---	--

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო და მიზნობრივი ტექსტების ადრესატს (თანატოლებს, უფროსებს, წარმოსახვით პერსონაჟებს და სხვ.); ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო ეტიკეტსა და არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);
- მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში, სიტუაციურ თამაშებში, წარმართავს დიალოგებს სხვადასხვა ადრესატთან (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ერთსა და იმავე თემაზე და ადეკვატურად შეარჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს.

ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სათაურის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
- ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- აღწერს და ახასიათებს საგნებსა და პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;
- ყვება მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- მარტივი გეგმის მიხედვით ყვება წაკითხული ტექსტის შინაარსს;
- მონაწილეობს ინსცენირებაში, არჩევს როლის შესაბამის ინტონაციასა და სხვა გამომსახველობით ხერხებს;
- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად გამოცდილებას შორის;
- მარტივი გამოთქმებით („მომწონს / არ მომწონს“, „საინტერესოა / უინტერესოა“, „ვეთანხმები / არ ვეთანხმები“, „ერთგულია / მოღალატეა“, „მამაცია / მხდალია“ და ა. შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათს საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმიტომ, რომ...“ და ა. შ.);
- შინაარსის უკეთ გასააზრებლად ცდილობს, კითხვების დასმით გაარკვიოს ახალი სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა.

ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სასაუბრო თემებისათვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა. შ.) იყენებს სპეციალურ ლექსიკას;
- სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა / როდესაც...);
- სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს;
- სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი და სხვ.;
- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;
- განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდი – მობრძანდით“; „აიღე – ინებეთ“, „დაჯექი – დაბრძანდით“ და სხვ.).

მიმართულება: კითხვა

ქართ. III. 4. მოსწავლე ფლობს კითხვის ტექნიკას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს;
- სიტყვათა ჩამონათვალში თავისუფლად მოიძიებს მასწავლებლის მიერ წაკითხულ ნაცნობ და უცნობ სიტყვებს;
- პოულობს და ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს ნაცნობ ტექსტში;
- ხმამაღლა კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს, იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.

ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიაში, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს თემას;
- ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);
- ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . - რუბრიკაში „საკვები“);
- ამოიცნობს ილუსტრაციების ქვემოთ მოცემული წარწერების შინაარსს;
- ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, მისი წარწერა;
- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს და სხვ.);
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნები.

ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;
- იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;
- განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;
- ამოიცნობს და ასახელებს დიალოგში მონაწილეთა რაოდენობას;
- ითვლის ტექსტში რეპლიკების რაოდენობას;
- განსაზღვრავს, ვის ეკუთვნის რეპლიკა და ვინ არის მისი ადრესატი;
- განსაზღვრავს რეპლიკის მიზანს (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.);
- ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);
- გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის განვითარებას, დასკვნას);
- ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.

ქართ. III. 7. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;
- ასახელებს მულტიფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე;
- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს;
- ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს;
- წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს და აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს).

ქართ. III. 8. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის თვისებისა და ოდენობის გამომხატველ ლექსიკას, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...);

- კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით აჯგუფებს სიტყვებს და ადარებს მათ ერთმანეთთან;
- ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, მრავალწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას;
- ამოიცნობს პირდაპირ ნათქვამს.

ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ვიზუალურად (წაკითხვის ან მოსმენის გარეშე) ამოიცნობს ამა თუ იმ ტექსტის (რეკლამის, აბრის, რეცეპტის, მარტივი ინსტრუქციის, მოსაწვევი ბარათის) დანიშნულებას;
- თანმხლები ტექსტის გარეშე ამოიკითხავს ვიდეომასალის სახეობას (რეკლამა, კინოანონსი, რეპორტაჟი);
- მასწავლებლის დახმარებით შეადგენს საპრეზენტაციო პროგრამას (სლაიდშოუს) ნაცნობი სიუჟეტის გადმოსაცემად;
- გრაფიკული რედაქტორის (painter) გამოყენებით, სურათებისა და სიტყვების კოლაჟით გადმოსცემს მთლიანი ტექსტის ან მისი საკვანძო ეპიზოდის შინაარსს;
- ნაცნობი ტექსტისთვის შეარჩევს თანმხლებ მუსიკას, ხმოვან ეფექტებს;
- საყვარელი ნაწარმოების / ზღაპრისთვის ქმნის წიგნის მაკეტს.

ქართ. III. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას;
- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) და იყენებს მათ საყრდენებად კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას;
- აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად;
- მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით);
- სარგებლობს სასკოლო ბიბლიოთეკის კატალოგებით, ავტორისა და სათაურის მიხედვით მოიძიებს მისთვის სასურველ წიგნს, სახელწოდების მიხედვით – საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს.

მიმართულება: წერა

ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს მარტივ ინსტრუქციებს (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასკოლო ნივთებს და ა. შ.);
- კონკრეტული მიზნისა და ადრესატის მიხედვით თხზავს და აფორმებს მოსაწვევი ბარათის ტექსტს;
- თხზავს და შესაბამისად აფორმებს მარტივ დიალოგებს.

ქართ. III. 12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის სხვადასხვა ჟანრის მცირე ზომის ტექსტებს (ზღაპარს, მოთხრობას);
- სხვადასხვა საგანში შექმნილი ცოდნის საფუძველზე ქმნის მცირე ზომის თხზულებას (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.);
- აღწერს კონკრეტულ ფაქტს / მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან;
- თანამიმდევრულად გადმოსცემს შინაარსს წერილობით;
- წერს კარნახით;
- ტექსტის შედგენის დროს იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს;
- ტექსტის ან ეპიზოდის შინაარსის გადმოსცემისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას, ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტებს, მარტივ შედარებებს).

ქართ. III. 13. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით;
- სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან) რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად;
- სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით („ეს / ის კაცი მოვიდა - ეს / ის მოვიდა...“) და კითხვით (რომელი? როგორი?) ნაცვალსახელებს;
- სათანადოდ კონტექსტში სწორად ხმარობს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში;
- მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას;
- იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშნებს);
- სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე;
- სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, მრავალწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს).

ქართ. III. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, შესაბამისი პირობითი ნიშნებით ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას;
- კარნახით ნაწერ ტექსტს უდარებს დედანს ჩაასწორების მიზნით;
- ამოწმებს და ჩაასწორებს ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშნებს.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: აქტიური ლექსიკური ფონდი; სიტყვათა დაჯგუფება-განსხვავება შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით; ხატოვანი გამონათქვამები და მარტივი ფრაზეოლოგიზმები.

გრამატიკული ასპექტი: წინადადების ძირითადი წევრები: ზმნა-შემასმენელი და მასთან დაკავშირებული მოქმედი პირი (სუბიექტი); ზმნა და საგარემოებო სიტყვები; კავშირები წინადადებაში. სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმებს შორის ფუნქციური სხვაობა; ზმნური და სახელური ფორმაცვალება; ტიპობრივი ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების წესები; ძირითადი სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მიზანი; მიზნობრივი ტექსტის დანიშნულება და ადრესატი. საუბრისა და კამათის თემა; ჯგუფური აქტივობა, სიტუაციური თამაში და კონკრეტული როლი; საბავშვო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; კითხვის სტრატეგიები (თემა, მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები, სათაურისა და ტექსტის აზრობრივი მიმართება). ტექსტის ტიპები: მიზნობრივი ტექსტები (რეცეპტი, სამახსოვრო წესები, აბრა, რეკლამა, განცხადება); ტექსტის ჩაასწორების მარტივი ხერხები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: თანატოლების ცხოვრება, სათავგადასავლო, იუმორისტული ნაწარმოებები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები.

საკითხავი მასალა: ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტები, ლირიკული და სიუჟეტური ლექსები, პროზაული თხზულებები (მცირე ზომის) დასრულებული ამბით, საინტერესო სიუჟეტით, მკაფიოდ და ნათლად გამოხატული სათქმელით.

IV კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. IV. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი.</p> <p>ქართ. IV. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ.</p> <p>ქართ. IV. 3. მოსწავლეს შეუძლია მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა დასა-ხულ საკომუნიკაციო ამოცანას.</p> <p>ქართ. IV. 4. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.</p>	<p>ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმაწვილო ჟურნალის განცხადების, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.</p> <p>ქართ. IV. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა.</p> <p>ქართ. IV. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ძირითადი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.</p> <p>ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის / არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.</p> <p>ქართ. IV. 9. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანადოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა; ავლენს ტექსტის არავერბალური ინტერპრეტაციის უნარს.</p> <p>ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება</p>	<p>ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტების შეთხზვა.</p> <p>ქართ. IV. 12. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.</p> <p>ქართ. IV. 13. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება წინადადების აგებისას და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.</p> <p>ქართ. IV. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება.</p>

	ინფორმაციის მოსამიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.	
--	--	--

წლის ბოლოს მისალწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. IV. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და განარჩევს ასაკის შესაბამისი სირთულის სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, კამათს, დიალოგს...);
- შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას;
- განასხვავებს შინაური გარემოს სასაუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ., სასკოლო საქმიანი სიტუაციის) ენას და შესაბამისად იყენებს მათ;
- განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ;
- თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;
- მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;
- გადმოსცემს არამხატვრული ტექსტის შინაარსს.

ქართ. IV. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით;
- ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს;
- აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;
- უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს;
- მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში;
- მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში;
- გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიკვირდა იმიტომ, რომ...“, „აღშფოთდი იმიტომ, რომ...“).

ქართ. IV. 3. მოსწავლეს შეუძლია მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმამაღლა კითხულობს კლასის წინაშე სასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას;
- მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.

ქართ. IV. 4. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ყოფითი სიტუაციების აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას;
- მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმს, ანტონიმს...);
- სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...);
- კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ - გაისად დავისვენებთ და ა. შ.);
- მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა. შ.);
- სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით;
- სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს.

მიმართულება: კითხვა

ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმაწვილო ჟურნალის განცხადების, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს მარტივი მიზნობრივი ტექსტების (განცხადების, აბრის, რეკლამის, კულინარიული რეცეპტის, ექიმის რჩევა-დარიგების, წამლის რეცეპტისა და ა.შ.) საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორს, ადრესატს, მიზანს/დანიშნულებას);
- მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას;
- ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აზნაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.);
- გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- განარჩევს ფაქტს თვალსაზრისაგან;
- განასხვავებს საგანთა / მოვლენათა გარეგნულ და შინაარსობრივ მახასიათებლებს;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით).

ქართ. IV. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს კონკრეტული ჟანრისათვის (მაგ., იგავ-არაკის, ზღაპრის, მოთხრობის) დამახასიათებელ ნიშნებს;
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;
- ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს;
- ასახელებს მოქმედ პირებს;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);
- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;
- ამოიცნობს პერსონაჟთა გრძნობებს, მიზნებს;
- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და სურვილს/ოცნებას;
- ამოიცნობს ტექსტში გამოცემულ მოვლენებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს;
- განსაზღვრავს ტექსტში გადმოცემულ მოქმედებათა, მოვლენათა ქრონოლოგიას;
- გამოყოფს სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);
- საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტის/მისი ცალკეული მონაკვეთის მოკლე შინაარსს, გამოყოფს არსებით ინფორმაციას;
- განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;
- განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს;
- განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს, გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით;
- ანალიზებს ცალკეულ რეპლიკას - ვის ეკუთვნის, ვინ არის ადრესატი, რა არის რეპლიკის მიზანი (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საყვედურის გამოთქმა, შენიშვნის მიცემა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა);
- აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ამოიცნობს ნაწარმოების ძირითად თემას/ქვეთემებს, იდეას.

ქართ. IV. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ძირითადი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით აზრს ახატავს / ტექსტის ცალკეულ ეპიზოდში / ტექსტში გადმოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა (მაგ. ჯერ დახატა, მერე გაუფრთხილა მეგობარს; ჯერ წავიდა, შემდეგ იყიდა, ბოლოს კი შეჭამა...);
- ამოიცნობს და ასახელებს საგნისა (მაგ., წითელი ფანქარი; კარგი ამინდი, მაღალი სახლი) და მოქმედების (ლამაზად წერს) დამახასიათებელ ნიშნებს;
- ამოიცნობს მარტივი აღწერითი ტექსტის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს, მაგ., შედგენილი შემასმენლის აქტიურად გამოყენებას (ეს კალამია, ის რვეულია, ეს კი ჩემი ჩანთაა), აღსაწერი საგნის / ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლებას ნაცვალსახელით ან ზმნიზებით (თბილისი საქართველოს დედაქალაქია; ის დააარსა ვახტანგ გორგასალმა. შარშან თბილისში ვიყავი. იქ ბევრი ლამაზი სახლი ვნახე) და ა.შ.;
- ამოიცნობს და ასახელებს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, მაგ., შეთანხმებას სახელებს შორის ბრუნვაში (მაგ., ორმა მეგობარმა, ლამაზი სახლი);

- ამოიცივოს და ასახელებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს, ამჩნევს მათი წარმოების თავისებურებებს (დედა მყავს, რვეული მაქვს).

ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს საყვარელ წიგნს, ტექსტს / მხატვრულ ნაწარმოებს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს;
- განმარტავს, რით არის კონკრეტული ტექსტი მისთვის საინტერესო;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);
- მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

ქართ. IV. 9. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანადოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა; ავლენს ტექსტის არავერბალური ინტერპრეტაციის უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სათანადოდ აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს (სხვადასხვა ხასიათის აბრებს საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, სპორტული მოედნისთვის, ზღაპრის ან საბავშვო სპექტაკლის თემაზე შექმნილ პლაკატს და სხვ.);
- ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს;
- ამოიცივოს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუსიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკური ნიშნების (მუსიკალური ქუდის, ლოგოს, დასაწყისისა და ა.შ.) მიხედვით;
- მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის გაფორმებაში: დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით ქმნის მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეული როლისათვის შესაფერისი კოსტუმის, ნიღბისა და ა.შ. ესკიზებს;
- შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას;
- ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს;
- როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაციას; მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს);
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განასახიერებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების მიმიკურ მიზანსცენებს (მეორე ჯგუფი კი ცდილობს ამოიცივოს, კონკრეტულად რომელი ეპიზოდი იყო წარმოდგენილი).

ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცდილობს ამოიციოს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობა ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით;
- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- ასახელებს ტექსტის თავებად და მონაკვეთებად დაყოფის აზრობრივ საფუძველს;
- აკვირდება კითხვებზე გაცემულ პასუხებს და განარჩევს, რომელ ოპერაციას მიმართა მკითხველმა შემდეგი სამიდან: ა) პასუხი პირდაპირ იყო ტექსტში მოცემული; ბ) პასუხის გასაცემად საჭირო იყო რამდენიმე სახის ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება; გ) პასუხი არ იყო ტექსტში; მკითხველი დაეყრდნო ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, დაუკავშირა იგი საკუთარ ცოდნას და ამის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული;
- იცის და ასახელებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.);
- აღწერს, რა გზით მოახერხა ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა; ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ;
- სარგებლობს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით;
- სწორად იგებს და იყენებს ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე მოთავსებულ ინფორმაციას (ავტორი, სათაური, გვერდების რაოდენობა);
- ამოიციობს და ბიბლიოთეკაში სწორად მოიძიებს ძირითად საბავშვო სერიულ გამოცემებს (მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებს, საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკას, ქართულ ხალხურ ზღაპრებს, საბავშვო ენციკლოპედიებს და ა. შ.).

მიმართულება: წერა

ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების საფუძველზე წერს მცირე ზომის ტექსტს;
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტებს (კლიმატური პირობების აღწერას, გეოგრაფიული გარემოს აღწერას, მათემატიკურ ამოცანას);
- ჩამოწერს შეკითხვებს მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის;
- სწერს წერილებს რეალურ და წარმოსახვით ადრესატს (მეგობარს, ნაწარმოების ავტორს, პერსონაჟს და სხვ.).

ქართ. IV. 12. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას შემოქმედებითად იყენებს ავტორისეულ ლექსიკასა და მხატვრულ სახეებს;

- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ სხვადასხვა ფორმით (მაგ., მოკლე დახასიათების, გმირის საქციელზე გაკეთებული კომენტარის სახით და ა.შ.);
- ქმნის ნაწარმოების განსხვავებული დასასრულის წერილობით ვერსიას.

ქართ. IV. 13. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება წინადადების აგებისას და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს;
- ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;
- მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს;
- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, მრავალწერტილს...).

ქართ. IV. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის საწყისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეადგენს წერითი დავალების მოკლე გეგმას;
- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს მიზნობრივი ტექსტებისთვის;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ასწორებს მარტივი ტიპის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას);
- ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს (მაგ., სუბიექტსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობას, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთანხმებლობას, ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომებს და სხვ.);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური ფონდის შევსება: სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; სიტყვათა სემანტიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ლექსიკური ბუდეების...) აქტიურად, შემოქმედებითად გამოყენება; ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების კონტექსტურად შერჩევა; სიტყვათა ლექსიკური კავშირები (სიტყვაწარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვები; სიტყვის მრავალმნიშვნელობა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ორთოგრაფიის წესები; სივრცული, დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი

ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ურთიერთმიმართება; სიტყვათა ძირითადი კლასები (მეტყველების ნაწილები) და მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებები სიტყვათა შორის; სიტყვის მორფოლოგიური აგებულება საწყის დონეზე; სასვენი ნიშნები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფური აქტივობა (როლის შესრულება / მოკლე ზეპირი გამოსვლა); ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; მიზნობრივი ტექსტები (აბრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩაწერისა და გაფორმების წესები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: თემატიკა ფართოვდება; სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავეგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები; ყოფითი, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

საკითხავი მასალა: ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნიმუშები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული და სხვ.); თანამედროვე ქართულით გამართული სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები; მარტივი საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები; სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტები.

V კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა

<p>ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.</p> <p>ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.</p> <p>ქართ. V. 3. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმების აღქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციებში.</p> <p>ქართ. V. 4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.</p> <p>ქართ. V. 5. მოსწავლეს შეუძლია სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება.</p>	<p>ქართ. V. 6. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის საწყისი უნარ-ჩვევები.</p> <p>ქართ. V. 7. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმაწვილო ჟურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების, სხვადასხვა შინაარსის ცნობარების, ინტერვიუებისა და სხვ.) წაკითხვა და გააზრება.</p> <p>ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.</p> <p>ქართ. V. 9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.</p> <p>ქართ. V. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების ამოცნობა.</p> <p>ქართ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათს ურთიერთმიმართებაზე; აქვს მედია-წიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევები.</p> <p>ქართ. V. 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.</p>	<p>ქართ. V. 13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.</p> <p>ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.</p> <p>ქართ. V. 15. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება და მართლწერის ნორმების დაცვა.</p>
---	--	--

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს);
- სვამს კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად / ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ (დადებითად/უარყოფითად ვაფასებ; აღმაფრთოვანა/აღმაშფოთა და სხვ.);
- ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე).

ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად დაამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს გააცნობს და შეუთანხმებს ჯგუფის წევრებს;
- გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;
- მიზნის შებამისად ირჩევს სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების) და მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს;
- კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და ამ მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციას.

ქართ. V. 3. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმების აღქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მართებულად შეარჩევს ბრუნვის ფორმებს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად;
- ამოიცნობს და შესაბამის კონტექსტებში მართებულად იყენებს ზმნის დრო-კილოთა სათანადო ფორმებს (მაგ., გააკეთა - აკეთებდა - გაუკეთებია და სხვ.);
- სწორად იყენებს არაწესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს;
- საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის მიხედვით ირჩევს შესაბამის სტილს.

ქართ. V. 4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;
- საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;
- მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ;
- ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.

ქართ. V. 5. მოსწავლეს შეუძლია სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჯგუფთან ერთად ირჩევს საკამათო თემას; განსაზღვრავს დისკუსიის წესებს: რეგლამენტს, რიგითობას, ეტიკეტს; იცავს კორექტულობას და ა. შ.;
- მოსმენისას ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებს, საყრდენ ფრაზებს;
- მოსმენისას ამოიცნობს დისკუსიაში გამოთქმულ თვალსაზრისს და ჩაინიშნავს არგუმენტებს;
- ყურადღებით ისმენს ჯგუფის თითოეული წევრის აზრს, ალაგებს გამოთქმულ მოსაზრებებს გარკვეული პრინციპით (ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება, რამდენი თვალსაზრისი გამოითქვა ჯგუფში...);
- ადგენს მარტივ გეგმას ამ მოსაზრებათა წარმოსადგენად;
- ქმნის ან მოიძიებს ვიზუალურ მასალას სადისკუსიო თემის შესახებ.

მიმართულება: კითხვა

ქართ. V. 6. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის საწყისი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმამაღლა, გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან;
- ცდილობს დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმის დროს;
- შინაარსის შესაბამისად ცვლის სხეულის ენას (მიმიკას, ჟესტიკულაციას).

ქართ. V. 7. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმაწვილო ჟურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების, სხვადასხვა შინაარსის ცნობარების, ინტერვიუებისა და სხვ.) წაკითხვა და გააზრება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზ-შედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.);
- განარჩევს ფაქტს თვალსაზრისისაგან;
- განასხვავებს საგანთა / მოვლენათა გარეგნულ და შინაარსობრივ მახასიათებლებს;

- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით;
- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა.

ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გააზრებულად აკავშირებს სათაურს ტექსტთან;
- განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს;
- ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე;
- ყოფს ტექსტს შინაარსობრივ ნაწილებად;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;
- გამოყოფს ნაწარმოებში სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, შუა ნაწილს, დასასრულს);
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;
- იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;
- განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს;
- განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;
- ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას.

ქართ. V. 9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ნაწარმოების თემას;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;
- მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;
- აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- ამოიცნობს და ასახელებს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

ქართ. V. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს ამა თუ იმ მიზნობრივი ტექსტისთვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ საშუალებებს (ხშირად გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებს, ლექსიკას; მაგ., ამჩნევს, რომ მოძრაობის წესებისა თუ სხვა აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნების ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება წართქმითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდი“, „ნუ გადახვალ“, „დაუკვირდი“, „დაელოდი“. შესაბამისად, იმპერატიული შინაარსისაა ამგვარ ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნებიც: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.);
- ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობას, აღწერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე (მაგ., აღწერისას ზედსართავებისა და ნაზმნარი ზედსართავების,

ანუ მიმდებარების სიჭარბეზე, ზმნების ნაკლებ რაოდენობაზე; თხრობისას ზმნების სიჭარბეზე, მოქმედების თანამიმდევრულობასა და მის მარკერებზე და სხვ.);

- ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს და განმარტავს მათ;
- ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვაწარმოების ძირითადი წესებისა და სხვ.);
- ამოიცნობს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს; ჩანაცვლებს მათ შესაბამისი ნაცვალსახელებით (კაცი - ის; მალალი - ასეთი; ექვსი - ამდენი და სხვ.);
- ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმებას პირსა და რიცხვში, რიცხვითი და / ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნების წესებს...); შეუძლია კითხვების მეშვეობით ამოიცნოს ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები, ზმნის დროები და ა.შ.);
- განარჩევს ზმნის უმთავრეს კატეგორიებს (პირს, რიცხვს, დროს, კილოს...);
- განარჩევს არაწესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს.

ქარ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათს ურთიერთმიმართებაზე; აქვს მედიაწიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღწერილი ადგილის, დროის, ამბის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია ტექსტის აღქმაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ;
- ილუსტრაციებზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს უცნობი / შესასწავლი ტექსტის შინაარსის, თემატიკის, ადგილის, დროის, პერსონაჟთა ხასიათების, ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; ტექსტის გაცნობის შემდეგ მსჯელობს, რამდენად გამართლდა მისი ვარაუდი;
- ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს (შესაძლებელია, კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ახსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;
- ქმნის სხვადასხვა სახის მიზნობრივ ტექსტებს (მაგალითად, სარეკლამო განცხადებას, მოსაწვევს სასკოლო ღონისძიების პრეზენტაციაზე და სხვ.) ელექტრონულ ფორმატში, სათანადოდ აფორმებს მათ და დააგზავნის თანაკლასელებთან ელექტრონული ფოსტით;
- აკვირდება და აფასებს თანატოლის მიერ შექმნილ მიზნობრივ ტექსტს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს ხელს ტექსტის სტრუქტურა მისი შინაარსის აღქმას (ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, შრიფტის სახესხვაობის, რუბრიკების, ტექტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფის, ნაწილების დასათაურებისა და ა.შ. საფუძველზე).

ქართ. V. 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ცდილობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობის გარკვევას;
- სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ;

- დასმულ კითხვებს აჯგუფებს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს ისინი (ტექსტში მოცემული ინფორმაციის მოძიებას; რამდენიმე სახის ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას; დასკვნების გამოტანას ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე);
- კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მარგანიზებელ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით პოულობს და ამოკრებს მას;
- იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.);
- საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების განხილვაში (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებელი/ეფექტური და რატომ;
- კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს საბავშვო ენციკლოპედიის სტატიებს;
- სხვადასხვა საშუალებით (ენციკლოპედიების, ლექსიკონების, ინტერნეტის მეშვეობით) აზუსტებს მისთვის გაუგებარ ან ბუნდოვან ადგილებს სტატიიდან;
- სარგებლობს ბიბლიოთეკით და დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ირჩევს საკითხავ ლიტერატურას.

მიმართულება: წერა

ქართ. V. 13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის დაწყებამდე ირჩევს თემას; განსაზღვრავს მიზანს, აუდიტორიას, ირჩევს სასურველ ჟანრს;
- ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, რითმასა და სხვ.);
- წერს ჩანახატებსა და ფელეტონებს საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის;
- წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე;
- თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;
- იცნობს და მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეეჭვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა. შ).

ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერითი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შინაარსობრივი, ენობრივი და ფორმალური ნიშნების მიხედვით ირჩევს სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების), სასწავლო-სამეცნიერო (რედაქციის ახსნის ან დამტკიცების მიზნით მსჯელობის) და მხატვრულ (განცდილი შთაბეჭდილების გადმოსაცემ) ენას;
- ადეკვატურად ცვლის ენას ერთი ტექსტის ფარგლებში, როცა ნაწერში ერთმანეთს ენაცვლება მსჯელობა, შთაბეჭდილებების გადმოსაცემა ან დიალოგი;
- ტექსტის მიზნის გათვალისწინებით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს და გრამატიკულ ფორმებს (მაგ., დიასახლისებისთვის განკუთვნილ რეცეპტს ან რჩევა-დარიგებებს სხვადასხვა

ასაკის ადამიანებისთვის წერს სასურველი მოქმედების გამომხატველი კავშირებითის ფორმებით და იყენებს შესაბამისი შინაარსის მქონე ლექსიკას: „სასურველია“, „კარგი იქნებოდა“ და ა. შ.);

- მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს;
- სწერს წერილებს სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანებს; წერილში ეტიკეტის დაცვით ეპაექრება/ეთანხმება ადრესატს და მართებულად იყენებს შესაბამის ფორმულებს (მაგ., „მეც ასე მგონია“, „არ მჯერა“, „შეიძლება, მაგრამ...“ და ა.შ.).

ქართ. V. 15. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება და მართლწერის ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმოებრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებას, სიტყვაწარმოებას, სხვადასხვა დრო-კილოთა ზმნური სიტყვაფორმებს...);
- პრაქტიკულად იყენებს სახელთა შეწყობას ბრუნებისა და რიცხვის მიხედვით, ზმნური კონსტრუქციების ცვლილებების გათვალისწინებით;
- განასხვავებს და სათანადოდ იყენებს სხვადასხვა ფუნქციური სტილისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;
- ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს (მაგ: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს;
- ტექსტის შექმნისას იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს და აკეთებს კორექტურას.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ფართოვდება მოსწავლის ლექსიკური მარაგი; მოზარდი უკვე აქტიურად იყენებს ფრაზეოლოგიზმებსა და ხატოვან სიტყვა-თქმებს; ეფექტურად იყენებს სიტყვათა ლექსიკურ კავშირებს, აწარმოებს ახალ სიტყვებს; ესმის სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დანიშნულება სათქმელის ხატოვნად და ამომწურავად გადმოცემის პროცესში.

გრამატიკული ასპექტი: აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; განარჩევს ზმნის დრო-კილოთა ნაირსახეობებს და შესაბამის კონტექსტებში იყენებს ამ პარამეტრების მიხედვით შერჩეულ სათანადო ფორმებს; ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს; კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს; ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვაწარმოების ძირითადი წესების მიხედვით, შეუძლია ზმნური სიტყვაფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე საერთო ფუძის გამოყოფა); ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმებას პირსა და რიცხვში, რიცხვითი და/ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნების წესებს...); შეუძლია კითხვების მეშვეობით ამოიცნოს ზოგი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები, ზმნის დროები...).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ჯგუფთან ერთად საკომუნიკაციო ამოცანის დაგეგმვა, მომზადება და გადაჭრა; გუნდური განაწილების პრინციპით საკითხის მომზადება და ერთობლივი მოხსენების წარმოდგენა; სადისკუსიო სტრატეგიები და ხერხები (მსჯელობის მიზანი, არგუმენტი და დასკვნა); სადისკუსიო ეტიკეტი და სტრატეგიები (ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული პოზიცია, არგუმენტები); არგუმენტის სახეები (ფაქტობრივი, ანალოგიაზე დამყარებული). მასალის მოპოვება, დამუშავება და კითხვის სტრატეგიები (სხვადასხვა ლექსიკონებითა და ენციკლოპედიებით სარგებლობა). ენის განსხვავებული ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სასწავლო-სამეცნიერო, მხატვრულ-ლიტერატურული); ტექსტის ტიპები: პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა ხასიათის სტატიები (სათავგადასავლო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი, იუმორისტული); მიზნობრივი ტექსტების აგების პრინციპები (დაკვირვება ენობრივ-სტილურ საშუალებებსა და ლექსიკაზე), ეპისტოლარული ჟანრი (თხრობა, მსჯელობა, აღწერა კონკრეტული ადრესატისთვის).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური); იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები, ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (ადაპტირებული და შემოკლებული ტექსტები), ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები.

VI კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. VI. 1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.</p> <p>ქართ. VI. 2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი.</p>	<p>ქართ. VI. 6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმე-წელს ტექსტი / ნაწყვეტი.</p> <p>ქართ. VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.</p>	<p>ქართ. VI. 14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.</p> <p>ქართ. VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტების</p>

<p>ქართ. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p> <p>ქართ. VI. 4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით.</p> <p>ქართ. VI. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.</p>	<p>ქართ. VI. 8. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები.</p> <p>ქართ. VI. 9. მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.</p> <p>ქართ. VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.</p> <p>ქართ. VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა.</p> <p>ქართ. VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება; აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები.</p> <p>ქართ. VI. 13. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.</p>	<p>დამოუკიდებლად შექმნა.</p> <p>ქართ. VI. 16. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვაფორმების აგება.</p>
--	--	--

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. VI. 1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ნათლად და გარკვევით და პრეზენტაციისას გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი;

- განარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს პარაფრაზის გამოყენებით.

ქართ. VI. 2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათს ინტერპრეტირებას;
- აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში;
- მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე;
- ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მისი თვალსაზრისით საუკეთესოს;
- სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას.

ქართ. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარ კომუნიკაციურ ქცევას უსადაგებს შესაბამის კონტექსტს;
- შეარჩევს და გადაამოწმებს სხვადასხვა სახის (საინფორმაციო, ვიზუალურ და ა. შ.) მასალას სანდოობის თვალსაზრისით;
- წინასწარ შედგენილი მოკლე გეგმის მიხედვით მოამზადებს და წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას სხვადასხვა თემაზე;
- განიხილავს მიზნობრივი ტექსტის ამა თუ იმ სახეს, მაგ., რეკლამას, და ასახელებს საგნის ან მოვლენის იმ მხარეს, რომლის აფიშირებასაც ეწევა რეკლამა; საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს რეკლამის ღირსებას ან ნაკლს, ასახელებს სიტყვებს და სხვა გამომხატველობით საშუალებებს, რომლებიც ყველაზე ეფექტურად გადმოსცემს რეკლამის მიზანს;
- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემულ სხვადასხვა ხასიათის საბავშვო და შემეცნებით-გასართობ პროგრამებს;
- ამოიცნობს ამ პროგრამების სტრუქტურას და აგების ძირითად პრინციპებს;
- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს ნაწახი ან მოსმენილი გადაცემის შესახებ.

ქართ. VI. 4. მოსწავლეს შეუძლია მოსმენით განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ტექსტები ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;
- სვამს კითხვებს აზრის დაზუსტების, უკეთ გაგების მიზნით;

- ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად განსაზღვრავს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით (აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);
- ამოიცნობს ადრეული პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებისას, რიცხვითი ფორმების წარმოებისას, ზმნის უღლებისას).

ქართ. VI. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს მოცემულ კულტურულ გარემოში მოქმედ წესებს, ეტიკეტურ ნორმებსა და შესაბამის სტრატეგიებს ამა თუ იმ თემის პრეზენტაციის, დისკუსიის, კამათის დროს და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმისას;
- ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში;
- ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს, წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;
- ინაწილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე;
- აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს (დგება აუდიტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან მხედველობით კონტაქტს; მეტყველებისას იყენებს მიმართვის, მსმენელთა ყურადღების მობილიზებისა და განსხვავებული აზრის გამოთქმის თავაზიან ფორმებს);
- გეგმავს და ამზადებს ჯგუფურ ან წყვილურ საკომუნიკაციო ამოცანას, სხვადასხვა საშუალებით (ბიბლიოთეკის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით) აგროვებს მასალას, გააცნობს მას ჯგუფის წევრებს და ითვალისწინებს მათს აზრს;
- შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას.

მიმართულება: კითხვა

ქართ. VI. 6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი/ნაწყვეტი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წაკითხვამდე გაიაზრებს ტექსტის შინაარსს;
- ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- კითხვის პროცესში ცდილობს მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

ქართ. VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს);
- ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასთან და გამოცდილებასთან;
- ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას;
- განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტს - თვალსაზრისისაგან;
- ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს;
- გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;

- განარჩევს მთავარ და არამთავარ პერსონაჟებს;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;
- თხრობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, მოქმედების განვითარებას და ა.შ.);
- განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს;
- გამოკვეთს მთავარ ინფორმაციას და გადმოსცემს მას საკუთარი სიტყვებით;
- განავრცობს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემულ ამბავს და პირიქით – ვრცლად გადმოცემულ ამბავს გადმოსცემს მოკლედ.

ქართ. VI. 8. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთმანეთისგან განასხვავებს საინფორმაციო ანგარიშს, ამბის თხრობას, მარტივ ინსტრუქციას, ზეპირი კომუნიკაციისა და სხვა ფუნქციურ ტექსტებს;
- მართებულად იყენებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივ ტექსტებს, სხვადასხვა ინსტრუქციას, ამა თუ იმ დაწესებულებაში მოქმედ წესებს, ფორმულარებს;
- ასახელებს ამგვარი ტექსტების ფორმალურ ნიშნებს, როგორებიცაა, მაგ., მკაცრად ლაკონიური სტილი, ტექსტის პირობითი ფორმა (ბლანკის ტიპისა); სპეციალური/ დარგობრივი ტერმინოლოგია და ა. შ.;
- განასხვავებს საბავშვო, პოპულარულ, დარგობრივ, ამა თუ იმ დაჯგუფებისა და ორგანიზაციის ჟურნალ-გაზეთებს;
- იცნობს პრესის სტრუქტურას და სწორად მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ხვდება, მისთვის სასურველი ინფორმაცია თუ სტატია გაზეთის ან ჟურნალის რომელ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული);
- სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტებს.

ქართ. VI. 9. მოსწავლეს შეუძლია პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით იმსჯელოს ნაწარმოებში ასახული მისთვის გასაგები და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხზე მსჯელობის დროს;
- ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;
- სვამს კითხვებს და მსჯელობს ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ;
- საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ლიტერატურულ ტექსტებს, რეალურ ფაქტებს, მაგალითებს პირადი ცხოვრებიდან;
- ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას.

ქართ. VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოკრებს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ადგილებს;
- სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით;

- ამოიცნობს მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს და ახდენს მათს ინტერპრეტაციას;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებულ მოვლენების შესახებ;
- მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე;
- ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული მხატვრული ხერხის დანიშნულებას.

ქართ. VI. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ხატოვან გამონათქვამებს და მიზანმიმართულად იყენებს მათ;
- თავისუფლად ჩაანაცვლებს უცნობ სიტყვებსა და ფრაზებს სინონიმური განმარტებებით;
- ამოიცნობს სხვადასხვა მოდალობის (სურვილის, შესაძლებლობის) გამომხატველ სიტყვებს;
- ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად განსაზღვრავს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით (აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);
- ამოიცნობს და განარჩევს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს; ამოიცნობს ზედსართავ სახელებს, მათს ფუნქციას; მიუთითებს ზმნიზედების როლზე ზმნური შინაარსის გამოხატვაში;
- მოიძიებს სხვათა სიტყვას (-მეთქი; -თქო; -ო) და განარჩევს მისი გამოყენების მიზანშეწონილობასა და მართებულობას;
- განარჩევს ზმნისწინით გამოხატულ ძირითად მნიშვნელობებს;
- მიუთითებს წინადადების ძირითად წევრებსა და ძირითად შესიტყვებებზე.

ქარ. VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება; აქვს მულტიმედია ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- უდარებს წაკითხულ ნაწარმოებს მის ეკრანიზებულ და თეატრალიზებულ ვერსიებს;
- ქმნის მისთვის საინტერესო პერსონაჟის წარმოსახვით პორტრეტს;
- ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის პერსონაჟის/პერსონაჟების ვებ-გვერდს / პროფილს სოციალური ქსელებისათვის;
- ამ მიზნით ამოკრებს და ახარისხებს შესაბამის ინფორმაციას ტექსტიდან; მოიძიებს და შეარჩევს ვიზუალურ მასალას ინტერნეტით და ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეარჩევს ფოტოებს საოჯახო ალბომებიდან, რეპროდუქციებს და სხვ.;
- წარმოიდგენს და აღწერს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ერთი ეპიზოდის ამსახველ სცენას წარმოსახვითი ფილმისათვის/მულტფილმისათვის სარეჟისორო სცენარის სახით (აღწერს შერჩეულ ეპიზოდში მოთამაშე მსახიობების / ნახატი გმირების გარეგნობას, კოსტუმებს, გამოყენებულ მუსიკას, ხმაურს და/ან სხვა ბგერით ეფექტებს; დროსა და სივრცეს, სადაც ვითარდება მოქმედება და სხვ.);
- სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალებების (კარიკატურების, აპლიკაციების, ფოტოებისა და ა.შ.) გამოყენებით შეადგენს მარტივი სახის რეკლამებს წინასწარ მოცემული პირობის მიხედვით; გაიაზრებს იმ უპირატესობებს, რისი აფიშირებაც სურს რეკლამის საშუალებით (მაგ., სპორტული მოედნის რეკლამაში წინა პლანზე წამოწევს მის ადგილმდებარეობას: სკოლასთან ახლოსაა და, ამდენად, ყველა ბავშვისთვის მოსახერხებელია...);
- მიზნობრივი ტექსტების შესადგენად ინტეგრირებულად იყენებს სხვა დარგებში შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (განსაკუთრებით, რეკლამისა და პლაკატის დასამზადებლად);

- თხზავს და სპეციფიკური წესების დაცვით აფორმებს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო და ადმინისტრაციულ ტექსტებს (მაგ., კონკრეტული პირის სახელზე დაწერილ მოკლე ანგარიშს, ახსნა-განმარტებით ბარათს, საინფორმაციო განცხადებას და სხვ.).

ქართ. VI. 13. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;
- სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) გამოყენებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტების მონაკვეთის შინაარსის შესახებ;
- ანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებულ საკითხავ დავალებებს - განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ.;
- ტექსტის სახისა და საკითხავი ამოცანის გათვალისწინებით ირჩევს კონკრეტულ სტრატეგიას/მიდგომას და ხსნის თავის არჩევანს;
- საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების განხილვაში (ვინ რა მიდგომა, ხერხი გამოიყენა); მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ;
- იხსენებს, გამოუყენებია თუ არა მსგავსი სტრატეგიები სხვა საგნებში საკითხავი დავალებების შესრულებისას; მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელ საგნებში და/ან რა სახის ტექსტების წაკითხვისას შეიძლება აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება;
- ადგენს წაკითხული წიგნების კატალოგს (მოკლე ანოტაციით);
- ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და ინტერნეტის საშუალებით აზუსტებს ტექსტში მოთხრობილ უცნობ ან გაუგებარ ამბავს;
- მართებულად იყენებს განმარტებით და დარგობრივ ლექსიკონებს.

მიმართულება: წერა

ქართ. VI. 14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად აგებს ტექსტს კომპოზიციის ელემენტების გამოყენებით;
- აკეთებს მოკლე წერილობით კომენტარს მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ;
- საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას;
- ქმნის მისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარ ვარიანტს;

- კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას;
- ქმნის ორიგინალურ თხზულებას.

ქართ. VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს სხვადასხვაგვარ თხზულებას, ინფორმაციულ ტექსტს სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას; ახერხებს მის ემოციურ შეფასებას შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით;
- საჭირო ენობრივი მასალის მოსაძიებლად იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებას (სინონიმურ განმარტებებს, სიტყვათშეხამებებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს; მუშაობს ლექსიკონზე...);
- აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამონათქვამებს;
- წერილობით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს როგორც ვრცლად, ისე მოკლედ სხვადასხვა ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით, ურთავს კომენტარებს;
- მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით წინასწარ ამზადებს და თხზავს სხვადასხვა ტიპის მიძღვნილ ტექსტებს (ამა თუ იმ თარიღთან დაკავშირებით წარმოსათქმელ სიტყვას, მეგობრისადმი მიძღვნილ სახუმარო ტექსტს, შარჟსა და სხვ.);
- თემისა და რესპოდენტის გათვალისწინებით ადგენს მარტივ შეკითხვებს ინტერვიუსათვის; ატარებს მარტივი სახის გამოკითხვას კონკრეტულ თემაზე; ჩაწერს და შესაბამისად აფორმებს ტექსტს.

ქართ. VI. 16. მოსწავლეს შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება, გრამატიკული თვალსაზრისით მართებული სიტყვაფორმების აგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად იყენებს ირიბ ნათქვამსა და ციტირებას;
- განარჩევს ნაცვალსახელთა ჯგუფებს და შესაფერის კონტექსტში სწორად უნაცვლებს მათ სათანადო სახელთა ფორმებს;
- მართებულად იყენებს მისათითებელ სიტყვათა და კავშირთა (წევრ-კავშირთა) კონსტრუქციულ შესაძლებლობებს მიზეზ-შედეგობრიობისა თუ სხვა ნიუანსების გადმოსაცემად;
- იცნობს და იყენებს სიტყვათა მართლწერის ძირითად წესებს; მართლწერის შესამოწმებლად იყენებს დამხმარე საშუალებებს;
- იყენებს ნაირგვარ სტილისტურ თუ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებას განცხადების, ანკეტის, ავტობიოგრაფიის შესადგენად;
- სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას როგორც ენობრივ-სტილური, ისე პუნქტუაციის თვალსაზრისით;
- კითხულობს ნაწერს გააზრებულად, კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს;
- გადაიკითხავს და ჩაასწორებს ტექსტს აზრობრივად;
- ამოწმებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით; ტექსტის კორექტირებისას იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონს.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური მარაგის შევსება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით; მოსწავლისთვის უკვე ცნობილი მოდელების მიხედვით ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება; სათქმელის (როგორც ზეპირად, ასევე წერილობით) ხატოვნად და ამომწურავად გამოხატვა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და რიცხვის ფორმების გამოყენება ზმნურ კონსტრუქციებში; დროის, კილოსა და ასპექტური სახესხვაობების მიხედვით ზმნის გარჩევა; წინადადების მოდალობათა მაკონსტრუირებელი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ამ მოდალობათა გადმოსაცემი არავერბალური საშუალებები; სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები; მათი სინტაქსური ფუნქციების განსაზღვრა წინადადებაში.

ენობრივი გრძნობისა და მეტყველების კულტურის დახვეწა-განვითარება: ორთოეპიული ჩვევების ჩამოყალიბება; რიტმის, ტემპის როლი და მნიშვნელობა მეტყველებაში; სიტყვათა შერჩევა შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ჯგუფური და წყვილური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა და მომზადება; ტექსტის მიზანი და მისი მიღწევის გამომხატველობითი საშუალებები (ვთქვათ, რეკლამის მაგალითზე); საბავშვო და შემეცნებით-გასართობი პროგრამები, მათი სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები; დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიები (პასუხისმგებლობა ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე). პრესა, პრესის სახეები და სტრუქტურა; ტექსტის ტიპები და მათი განმსაზღვრელი ენობრივ-სტილური ნიშნები (ამ ნიშნების ამოცნობა, განმარტება, შეფასება და წერისას მართებულად გამოყენება). ტექსტის ჩასწორების, კორექტირებისა და რედაქტირების წესები. ტექსტის დამუშავების ელექტრონული პროგრამები.

4. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; სათავგადასავლო ლიტერატურა და ფანტასტიკა; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული და უცხოური); ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (შესაძლებელია ადაპტირებული ტექსტები); ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები; საინტერესო ეპიზოდები გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, მათი მოგონებები და მოგონებები მათზე.

თავი XIII

საგნობრივი კომპეტენციები საბაზო საფეხურზე

VII კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. VII. 1. მოსწავლეს შეუძლია უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების მოსმენა და ზეპირი ინფორმაციის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.</p> <p>ქართ. VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.</p> <p>ქართ. VII. 5. მოსწავლეს</p>	<p>ქართ. VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.</p> <p>ქართ. VII. 8. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეაფასოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.</p> <p>ქართ. VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.</p> <p>ქართ. VII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ქართ. VII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.</p> <p>ქართ. VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.</p> <p>ქართ. VII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.</p>

<p>შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.</p> <p>ქართ. VII. 6. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების ამოცნობა და შესაბამისად გამოყენება.</p>		
--	--	--

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. VII. 1. მოსწავლეს შეუძლია უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების მოსმენა და ზეპირი ინფორმაციის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს ჩუმად, ჩაინიშნავს ძირითად ფაქტებსა და დებულებებს, საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს არავერბალური ხერხებით: ყურადღებიანი მზერით, თავის დაქნევით, ღიმილით და სხვ.;
- სასაუბრო სიტუაციაში ითხოვს თანამოსაუბრისაგან ინფორმაციის დაზუსტებას (ვერ მიგიხვდი / მიგიხვდით; ხომ არ გაიმეორებ? / გაიმეორებთ? რას გულისხმობ? / გულისხმობთ?);
- აზრის დასაზუსტებლად იმეორებს თანამოსაუბრის ნათქვამს (როგორც გავიგე, შენი/თქვენი აზრით, შენ/თქვენ თვლი/თვლით...);
- მოსმენის შემდეგ სვამს ადეკვატურ კითხვებს;
- მოსმენილ ინფორმაციაში განასხვავებს ფაქტებს დამოკიდებულებებისაგან (შეფასებებისგან);
- ამოიცნობს მთავარ აზრს მოსმენილი ინფორმაციიდან და დასკვნის სახით წარმოადგენს მას აუდიტორიის წინაშე;
- წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და ყვება, როგორ მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე;
- შეარჩევს თემას ზეპირი გამოსვლისათვის, ამზადებს გამოსვლას და წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე;
- აქცენტს აკეთებს (ინტონაციით, პერიფრაზით, განმარტებებით...) ზეპირი გამოსვლის არსებით საკითხებზე;
- თანამიმდევრულად გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის შინაარსს / ამზავს პირადი გამოცდილებიდან;
- მოიძიებს ან საგანგებოდ ქმნის და სათანადოდ იყენებს შესაფერის ვიზუალურ მასალას (პლაკატს, სქემას ან სხვა თვალსაჩინოებას).

ქართ. VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მოსაუბრის საკომუნიკაციო ამოცანას (ისმენს სკოლაში მოწვეული სტუმრის, ტელე- და რადიოგადაცემების წამყვანთა და მონაწილეთა საუბარს და განსაზღვრავს, რა მიზანს ისახავენ ისინი: მსმენელის ინფორმირებას, დარწმუნებას თუ გართობას);

- მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად გართვა თავი მოსაუბრემ საკომუნიკაციო ამოცანას (ანუ გასაგებად მიაწოდა თუ არა მსმენელს ინფორმაცია; შეძლო თუ არა მისი დარწმუნება, გართობა და ა.შ.);
- ანალიზებს სატელევიზიო ინტერვიუს ან დისკუსიას (რა იყო გადაცემის თემა; რატომ მოიწვია წამყვანმა მაინცდამაინც ეს ადამიანები; იყო თუ არა წამყვანი კორექტული; უსმენდა თუ არა სტუმარს; იყო თუ არა რაიმე გამაღიზიანებელი წამყვანის მეტყველებაში; რამდენად ეფექტურად იყენებდნენ მოსაუბრეები ჟესტ-მიმიკის ენას და სხვ.);
- მსჯელობს იმის შესახებ, მოეწონა თუ არა (და რატომ) თანაკლასელის მიერ წაკითხული ლექსი, იგავ-არაკი, პროზაული ტექსტის ფრაგმენტები, ზეპირად გადმოცემული ამბავი ან წარმოდგენილი ინფორმაცია.

ქართ. VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- რეაგირებს მსმენელთა ვერბალურ და არავერბალურ რეაქციებზე (იმეორებს ნათქვამს უფრო ხმამაღლა და გარკვევით, ანელებს ან აჩქარებს მეტყველების ტემპს);
- ლექსის ან მხატვრული პროზის ფრაგმენტების ზეპირად კითხვის დროს ინტონაციის საშუალებით გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ განწყობას და ტექსტის შინაარსის შესაბამისად ცვლის მეტყველების ტემპს, ხმის ტემბრსა და სიმაღლეს;
- ამა თუ იმ სიტუაციის გათვალისწინებით წარმოთქვამს ერთსა და იმავე რეპლიკას სხვადასხვა (სიხარულის, გაბრაზების, სიამაყის, მოწყენილობის) განცდის გამომხატველი ინტონაციით;
- წარმოადგენს ზეპირი ინფორმაციის სხვადასხვა ვერსიას აუდიტორიის გათვალისწინებით (მაგ., როგორ მოუყვებოდა ერთსა და იმავე ამბავს სკოლის დირექტორს, მეგობარს, პატარა და-მმას და სხვ.).

ქართ. VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჯგუფთან ერთად ამზადებს სადისკუსიო გამოსვლას: დამოუკიდებლად დაამუშავებს საკითხს, მოიძიებს ინფორმაციას, შეიმუშავებს თვალსაზრისს, რომელსაც გააცნობს და შეუთანხმებს ჯგუფის წევრებს;
- გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში, ითვალისწინებს და გამოხატავს მათს საერთო აზრს;
- საუბრისას შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას;
- ისმენს და ეთანხმება, ან კორექტულად უარყოფს თანამოსაუბრის აზრს;
- დამაჯერებლად იცავს საკუთარ აზრს, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში დომინანტური პოზიციის დაკავებას;
- სათანადო წესისა და ეტიკეტის დაცვით უძღვება მინი-დისკუსიას (იმ შემთხვევაში, თუ წამყვანია და არა რიგითი მონაწილე).

ქართ. VII. 5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოცნობს და იყენებს ზეპირი თხრობის დამახასიათებელ ნიშნებს (მაგ., სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას, მიმართავს ჟესტებისა და მიმიკის ენას და სხვ.);
- საუბრობს ტექსტში გამოთქმული ჰიპოთეზის შესახებ და სწორად იყენებს ვარაუდის გამომხატველ სინტაქსურ კონსტრუქციებს, სიტყვა-კავშირებს, განკერძოებულ სიტყვებსა და გამონათქვამებს („რადგან...“, „თუ ... მაშინ“, „ამის გათვალისწინებით...“, „აქედან გამომდინარე...“);
- განასხვავებს და მართებულად იყენებს სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის (სასაუბრო, ოფიციალურ-საქმიანი) დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს;
- ამოცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რიტმას, რიტმს, ალიტერაციას);
- ინტონაციასა და სიტყვიერ სიგნალებზე დაყრდნობით ამოცნობს მოსაუბრის საკომუნიკაციო ამოცანას (მაგ., ინტონაციის მიხედვით განარჩევს შეკითხვას თხოვნისაგან; შეფასების გამომხატველ სიტყვებზე დაყრდნობით ამოცნობს მოსაუბრის დამოკიდებულებას საუბრის თემის მიმართ და ა. შ.);
- ამოცნობს და იყენებს შეფასების (დამოკიდებულების) გამომხატველ სიტყვებს (განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს; გარკვეული მოდალობების გამომხატველ მარტივ და შედგენილ შემასმენელს: „არა მგონია...“, „ვფიქრობ...“, „დასაშვებია...“, „სავარაუდოა...“, „სამწუხაროა...“ და სხვ.);
- თხრობისას სათანადოდ იყენებს ირიბი ნათქვამის გამომხატველ ფორმებს; გადაჰყავს პირველ პირში მონათხრობი მესამე პირში;
- მართებულად იყენებს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს (პირველად, ჯერ, შემდეგ, დაბოლოს, დასასრულს და სხვ.).

ქართ. VII. 6. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობითი კონტაქტი, ხმის აწევ-დაწევა, საუბრის ტემპის შეცვლა, ჟესტიკულაცია) ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად;
- ამოცნობს მსმენლის რეაქციას და იყენებს საპასუხო სტრატეგიებს, მაგ., აზრის პერიფრაზირებას, მოკლე განმარტებების ჩართვას, ცხოვრებისეული მაგალითების დამოწმებას და ა. შ.);
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- ანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატებას ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად დასახავს ხარვეზების გამოსწორების გეგმას.

მიმართულება: კითხვა

ქართ. VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს სხვადასხვა მიზნით (შესწავლის, ესთეტიკური სიამოვნების მიღების, გარკვეული ინფორმაციის მოძიების, გამოხმაურების, შეფასების);
- საუბრობს იმის შესახებ, რაზე დააფიქრა წაკითხულმა; რა იყო ტექსტში მისთვის ნაცნობი და გასაგები; რა - უცნობი და გაუგებარი;
- ამოკრებს ინფორმაციას დიფერენცირებულად და აჯგუფებს მას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით;

- ალაგებს ტექსტში გადმოცემულ ამბავს, ფაქტებსა და მოვლენებს ქრონოლოგიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით;
- ამოიცნობს წაკითხულ ტექსტში მთავარ აზრს (იდეას), განასხვავებს ფაქტებს შეფასებებისგან, გამოაქვს დასკვნები და წარმოადგენს რეზიუმეს სახით (ზეპირად ან წერილობით);
- ამოიცნობს და ახსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, მოვლენებს შორის;
- გამოაქვს დასკვნები მთლიანი ტექსტის ან მისი მონაკვეთის საფუძველზე;
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში წარმოდგენილ მოვლენებს, ფაქტებს, პერსონაჟთა თვისებებსა და ქცევებს შორის;
- ახასიათებს პერსონაჟს მისი გარეგნული ნიშნების, ქცევისა და მეტყველების მიხედვით;
- აკვირდება პერსონაჟის/პერსონაჟების დამოკიდებულებას კონკრეტული გმირის მიმართ;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს, უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას და ცდილობს მათი ქცევის პროგნოზირებას განსხვავებულ სიტუაციაში (მაგ., „რა იქნებოდა, რომ...“);
- ასახელებს საყვარელ წიგნს, მწერალს, პერსონაჟს და განმარტავს თავის არჩევანს.

ქართ. VII. 8. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეაფასოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ტექსტის მიზანს (რისთვის არის დაწერილი - მკითხველის ინფორმირების, გართობის, თუ დარწმუნებისათვის) და აუდიტორიას (ვისთვის არის განკუთვნილი);
- შეაფასებს ტექსტს მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით (მაგალითად, არის თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციები გასაგები; შეძლო თუ არა რეკლამამ მისი დარწმუნება; ისიამოვნა თუ არა მხატვრული ნაწარმოების კითხვით; მიიქცია თუ არა საგაზეთო სტატიის სათაურმა მისი ყურადღება და სხვ.);
- მსჯელობს სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- გამოყოფს სიუჟეტში მოქმედების განვითარების საფეხურებს;
- აკეთებს კომენტარს მხატვრულ ნაწარმოებში დიალოგის ფუნქციის შესახებ; ხედვის კუთხის (ვისი თვალთ არის აღქმული მოვლენები; ვინ არის მთხრობელი; შეიცვლებოდა თუ არა რაიმე, სხვა პერსონაჟს რომ მოეთხრო იგივე ამბავი);
- განმარტავს, რა მოლოდინს ქმნის ნაწარმოების დასაწყისი; მართლდება თუ არა ეს მოლოდინი;
- ამოიცნობს და განმარტავს აუდიტორიაზე ზემოქმედების ხერხებს ისეთ ტექსტებში, როგორებიცაა, მაგ., რეკლამა, საინფორმაციო ბუკლეტი და ა.შ.;
- განმარტავს, რა ხერხებს იყენებს გაზეთი მკითხველის ყურადღების მისაპყრობად (მასალის განლაგება, სად არის მოთავსებული ახალი ამბები, რეკლამა, სტატია; რუბრიკები, სათაურები, შრიფტი და სხვ.);
- განსაზღვრავს საგაზეთო მასალის ძირითად იდეას და განმარტავს, რა ხერხებს იყენებს ავტორი ძირითადი იდეის წარმოსაჩენად (ეფექტური სათაური, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.).

ქართ. VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ახასიათებს სხვადასხვა ფუნქციურ სტილს (სასაუბროს, მხატვრულს, პუბლიცისტურს, საქმიანს);
- ამოიცნობს მეტყველების ტიპებს (თხრობას, აღწერას, მსჯელობას) ერთი ტექსტის ფარგლებში;

- ამოიცნობს და განმარტავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტების ძირითადი მახასიათებლების დანიშნულებას (მაგალითად, სტროფებად დაყოფის ან რიტმის, რითმის და ბგერწერითი ეფექტების დანიშნულებას ლექსში; აზნაურის დანიშნულებას პროზაულ ტექსტებში);
- გამოყოფს საინფორმაციო ტექსტში წამყვან აზრებს და დამატებით აზრებს;
- ამოიცნობს და განმარტავს, როგორ ქმნის ავტორი განწყობას ნაწარმოებში: ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების (მაგალითად, დეტექტივის, ისტორიული მოთხრობის, იგავ-არაკის...) დასაწყისს; განმარტავს, რა იქცევს მკითხველის ყურადღებას;
- ამოიცნობს და განმარტავს პერსონაჟთა სახეების შექმნის ზოგიერთ ხერხს (მაგ., ავტორისეულ დახასიათებას, მეტყველებას, პორტრეტს, ინტერიერს და სხვ.);
- ამოიცნობს ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც მსჯელობის შედეგს ასახავს (მაგ., „შესაბამისად...“, „აქედან ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ...“, „მაშასადამე...“, „ამგვარად...“, „ესე იგი...“, „დაბოლოს...“ და სხვ.);
- ამოიცნობს და განმარტავს ფრაზებსა და სიტყვებს (განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, სხვადასხვა მოდალობის გამომხატველ ზმნებს), რომლებიც ეხმარება მკითხველს, გამოიჭნოს ფაქტი მოსაზრებისაგან (თვალსაზრისისაგან);
- ამოიცნობს და განმარტავს ზოგიერთ სტილისტურ ხერხს (მაგ., განმეორებას, პარალელიზმს და ა.შ.);
- ამოიცნობს მხატვრულ სახეებს (გაპიროვნებას, შედარებას, მეტაფორას) და განმარტავს მათს ფუნქციას ტექსტში;
- განმარტავს, სად იწყება და სად მთავრდება სიუჟეტის განვითარების საფეხურები და რა მარკერები მიგვანიშნებს მათზე (მაგ., დროის აღნიშვნა: მაშინ, როდესაც, დიდი ხნის წინათ და ა. შ.; ადგილის აღნიშვნა: შორს, ცხრა მთას იქით, პატარა სოფელში და ა. შ.; მოვლენათა თანამიმდევრობის აღნიშვნა: მაშინ, შემდეგ, დაბოლოს და სხვ.);
- განმარტავს, რატომ არის თხრობა I ან III პირში; ატარებს ექსპერიმენტს _ გადაჰყავს I პირში მონათხრობი III პირში ან პირიქით და აღწერს მიღებულ ეფექტს;
- აკვირდება და ასახელებს, რა სახის ტექსტები იწერება I, II ან III პირში (ავტობიოგრაფიული, მემუარული, ლირიკული ტექსტები, დღიურები, პირადი წერილები, განცხადებები და სხვ.);
- ატარებს ექსპერიმენტს ზმნის დროებითან დაკავშირებით: იღებს თხრობითი ხასიათის ტექსტს, გადაჰყავს ზმნები წარსული დროის ფორმიდან აწმყოში და მსჯელობს მიღებულ ეფექტზე;
- ამოიცნობს და განმარტავს აუდიტორიაზე ზემოქმედების ენობრივ საშუალებებს ტექსტში (სინტაქსურ კონსტრუქციებს, სპეციფიკურ ლექსიკას, ფრაზეოლოგიზმებს, მყარ შესიტყვებებს);
- განმარტავს ენის არასალიტერატურო ფორმების (ჟარგონის, დიალექტიზმის, ბარბარიზმის) გამოყენების მიზეზებს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში.

ქართ. VII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წიგნის გაცნობის მიზნით იყენებს გაცნობითი კითხვის ხერხებს (ეცნობა ავტორს, ნახულობს წიგნის სათაურს, კითხულობს ანოტაციას, ეპიგრაფს, თავების სახელწოდებებს; ათვალთვლებს ილუსტრაციებს, სქემებს, ტაბულებს);
- კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით სწრაფად ჩაიკითხავს ტექსტს, ეძებს საყრდენებს: საკვანძო სიტყვებს, თავების, პარაგრაფების სათაურებს, კითხულობს აზრების პირველ წინადადებას;
- შესწავლის მიზნით ნელა კითხულობს ტექსტს, ხელახლა გადაიკითხავს ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს და სხვ.;
- იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს);
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას;

- მოიძიებს საჭირო ინფორმაციას მისთვის საინტერესო თემებზე სხვადასხვა წყაროდან (ენციკლოპედიებიდან, ლექსიკონებიდან, წიგნებიდან, ინტერნეტიდან).

მიმართულება: წერა

ქართ. VII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს შთაბეჭდილებას წაკითხულ წიგნზე, ნაწახ სპექტაკლზე (აღნიშნავს, რა მოეწონა, რამ დააინტერესა, რა არ მოეწონა და რატომ);
- წერს საინფორმაციო წერილს სკოლის გაზეთისათვის, იცავს ამ ტიპის ტექსტისათვის დამახასიათებელ სტილსა და ფორმას;
- წერს სარეკლამო ტექსტს (თანაკლასელების მიერ შექმნილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისთვის, ვიდეორგოლებისთვის, ფოტოგამოფენისთვის, სასკოლო ღონისძიებისთვის და სხვ.);
- წერს საქმიან ტექსტს (მაგალითად, განცხადებას ან თხოვნას);
- წერს ინსტრუქციას ან აღწერს პროცედურას, სადაც თანამიმდევრობით იძლევა ზუსტ მითითებებს;
- წერს თხრობითი ხასიათის ტექსტებს (მაგალითად, საკუთარ ან სხვის ბიოგრაფიას, რეალურ ან გამოგონილ ისტორიას მისთვის საინტერესო თემებზე, ლიტერატურული ნაწარმოების ან მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის თავგადასავალს);
- თხოვს თხრობითი ტექსტის დასაწყისის რამდენიმე ვერსიას (იყენებს დასაწყისის ცნობილ მოდელებს: მიმართვას მკითხველისადმი; აფორიზმს ან საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას; მოქმედების დროისა და ადგილის აღნიშვნას და სხვ.).

ქართ. VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს წინასიტყვაობას საყვარელი წიგნისთვის, რომელშიც ურჩევს თანატოლებს, რომ აუცილებლად წაკითხონ ეს წიგნი;
- წერს წაკითხული წიგნის ანოტაციას სხვადასხვა (ავტორის, გამომცემლის, მკითხველის) პოზიციიდან;
- წერს მისალოც ან მოსაწვევ ბარათს სხვადასხვა ადრესატისათვის (მეგობრის, შორეული ნაცნობის, ასაკით უფროსი ადამიანისათვის), თავს არიდებს კლიშეებსა და შტამპებს;
- წერს სარეკლამო ტექსტს სხვადასხვა აუდიტორიისათვის (მაგალითად, ბავშვებისა და დიდებისათვის);
- წერს ერთსა და იმავე ისტორიას ბავშვებისა და უფროსებისათვის;
- სწერს წერილს მეგობარს, წიგნის ავტორს, პერსონაჟს, გამოჩენილ ადამიანს, შესაბამისად ცვლის წერის სტილს.

ქართ. VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად იყენებს აბზაცს და სხვა სტრუქტურულ მახასიათებლებს (სათაურს, ქვესათაურს და ა. შ.);

- თანამიმდევრულად აგებს თხრობას, სწორად იყენებს ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის ალმნიშვნელ სიტყვებს (მაგ., ჯერ, შემდეგ, ბოლოს...);
- იყენებს სხვადასხვა მოდალობის (თხრობით, კითხვით, ძახილის), აგებულებისა (მარტივი, თანწყობილი, ქვეწყობილი) და შედგენილობის (გავრცობილი, გაუვრცობელი) წინადადებებს;
- მართებულად იყენებს სასვენიშნებს ციტირებისას და დიალოგის გადმოცემის დროს;
- მართებულად იყენებს და აფორმებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს;
- იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს.

ქართ. VII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს მიზანს და აუდიტორიას; აგროვებს მასალას;
- იყენებს სხვადასხვა რესურსს (ლექსიკონს, ბიბლიოთეკას და სხვ.);
- ადგენს ტექსტის გეგმას;
- წერს ტექსტის პირველ ვარიანტს;
- გადაამუშავებს და გადაათეთრებს ნაწერს, ყურადღებას ამახვილებს როგორც შინაარსზე, ისე სტილის ელემენტებზე;
- დაამუშავებს საბოლოო რედაქციას დამოუკიდებლად ან სხვების (თანაკლასელის, მასწავლებლის) დახმარებით; ასწორებს პუნქტუაციურ, სტილისტურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს;
- მასწავლებელთან ერთად ისახავს ხარვეზების გამოსწორების გზებს.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება. გრამატიკის სწავლებაში უპირატესობა ენიჭება ფუნქციურ-სემანტიკურ მიდგომას, რაც ენობრივი მოვლენების ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას გულისხმობს მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით; ენის გაკვეთილებზე ყურადღება უნდა დაეთმოს არა მხოლოდ ენის სისტემის აღწერა-კლასიფიკაციას, არამედ სამეტყველო ამოცანის შესატყვისი სწორი, აზრობრივად ზუსტი, სტილისტურად და სიტუაციურად მართებული ენობრივ-გამომსახველობითი ხერხების ძიებას. შესაბამისად, გრამატიკული მასალა უნდა შეირჩეს იმ სამეტყველო ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც მითითებულია სტანდარტში და, ბუნებრივია, უნდა ისწავლებოდეს არა იზოლირებულად, არამედ შესასწავლი ტექსტების სტილურ და შინაარსობრივ მახასიათებლებთან ერთად.

ძირითადი თემატიკა:

ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ. ქართული ენის ბუნება. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში. ქართული ანბანი და მისი სახეები. ქართული და მისი მონათესავე ენები; ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები.

ქართული ენის ბგერითი შედგენილობა. ბგერა. მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა. რითმის სახეობები, გარიტმვის ხერხები. ბგერა და აზრი. ბგერწერის აზრობრივი ფუნქცია.

ინტონაცია. ინტონაციის ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, პაუზა, მელოდიკა, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი; ტიპობრივი სინტაქსური კონსტრუქციების (კითხვითი, თხრობითი და

სხვა წინადადებების) ინტონაციური ნახაზი. მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა.

ლოგიკური მახვილი. ლოგიკური მახვილი, როგორც სიტყვის გამოყოფისა და ხაზგასმის საშუალება წინადადებაში, მნიშვნელოვანი ადგილებისა - ტექსტში.

პაუზა. პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა. ლოგიკური (აზრობრივი) და ფსიქოლოგიური პაუზები (გახსენების, გაჩუმების, დამაბულობის პაუზები). პაუზის აღნიშვნა წერილობით ტექსტში.

წერილობითი ტექსტის გრაფიკულ-გამომსახველობითი საშუალებები. წერილობითი ტექსტის სტრუქტურა. სიტყვათა და სტრიქონთა განლაგება. სასვენი ნიშნები. ვიზუალური ეფექტები: ტექსტის ფიგურული განლაგება, შრიფტის შეცვლა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა.

ორთოგრაფია. ორთოგრაფიის წესების დაცვა - წერილობითი ტექსტის აუცილებელი მახასიათებელი. ორთოგრაფიული ლექსიკონი. ორთოგრაფიის დარღვევა, როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი.

პუნქტუაცია. პუნქტუაცია და აზრი. პუნქტუაცია და ინტონაცია. პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები. პუნქტუაციის ნიშნებზე უარის თქმა, როგორც მხატვრული ხერხი.

ლექსიკოლოგია. სიტყვათწარმოების თავისებურებანი ქართულ ენაში. სიტყვათწარმოების მოდელი, როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება. სიტყვა მხატვრულ ტექსტში. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, დიალექტიზმები, ჟარგონი, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროფესიული ლექსიკა და მათი გამოყენება მხატვრულ ტექსტში.

* * *

შესაბამისად, VIII კლასში ყურადღება დაეთმობა მორფოლოგიის საკითხებს, არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ზმნის და სხვა მეტყველების ნაწილების გამომსახველობით შესაძლებლობებს.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი ცნებები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. საკომუნიკაციო სიტუაცია (ვინ, ვის, რას, სად, როდის, რატომ, რისთვის). საკომუნიკაციო ამოცანა. კომუნიკაციის ადრესატი (აუდიტორია). კომუნიკაციის სახეები: არაოფიციალური, ოფიციალური. სამეტყველო ქცევა. ზეპირი მეტყველება: ხმა, ინტონაცია, ჟესტი, მიმიკა. მოსმენის ორი ძირითადი ხერხი. ზეპირი მეტყველების სტრატეგიები. კითხვა: გაცნობითი, მივითი და შესწავლითი კითხვის ხერხები.

3. ტექსტი, როგორც ენობრივი ერთეული

ძირითადი ცნებები: ტექსტი. ტექსტის თემა, სათაური, საკვანძო სიტყვები, მთავარი აზრი (იდეა), ინტონაცია, დიალოგი, მონოლოგი, ჟანრი, სტილი, მეტყველების ტიპები. ტექსტის გადმოცემა (მოკლედ, ვრცლად), თხრობა.

მეტყველების ფუნქციური ტიპები. აღწერა, თხრობა, მსჯელობა.

ტექსტის ფუნქციური ტიპები. სასაუბრო (მეგობრული წერილი, საუბარი, დისკუსია); სამეცნიერო (სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასწავლო ტექსტები, ენციკლოპედიებისა და ცნობარების სტატიები); ოფიციალურ-საქმიანი (განცხადება, რეკლამა, ახსნა-განმარტება, რეზიუმე, ანოტაცია, ინსტრუქცია, ოფიციალური წერილი); მხატვრული (მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, იგავი, მოთხრობა, ნოველა); პუბლიცისტური (საინფორმაციო ქრონიკა, საგაზეთო სტატია, ბიოგრაფია, გამოხმაურება).

4. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ისევე, როგორც ენობრივი, ლიტერატურული მასალაც უნდა შეირჩეს სტანდარტში დასმული ამოცანების გათვალისწინებით. კერძოდ, იმისათვის, რომ ლიტერატურულმა ნაწარმოებმა მიიზიდოს მოსწავლე, აღუძრას წაკითხულის შესახებ მსჯელობისა და კამათის სურვილი, იგი დაწერილი უნდა იყოს მოზარდებისათვის გასაგები ენით, ეხებოდეს მათთვის საინტერესო თემას და გამოირჩეოდეს ნათელი სტრუქტურით. ეს უკანასკნელი მახასიათებელი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოსწავლემ

უნდა გააცნობიეროს, როგორ „იგება“ ტექსტი. მაგალითად, სტანდარტში დასმული ერთ-ერთი ამოცანის მიხედვით, მოსწავლე თხრობითი ტექსტის სტრუქტურაში უნდა ერკვეოდეს (უნდა ამოიცნოს თხრობითი ტექსტის სტრუქტურა, უნდა შეეძლოს ზეპირი და წერილობითი თხრობა). ამიტომ სასურველია, შეირჩეს გამოკვეთილი სტრუქტურის მქონე თხრობითი ტექსტები გამოკვეთილი შესავლით, შუა ნაწილით და დასასრულით.

პოეტური ნაწარმოებებიდან უნდა შეირჩეს გამოკვეთილი ბგერწერული ეფექტების მქონე ტექსტები, რაც ხელს შეუწყობს ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების - რითმის, ასონანსის, ალიტერაციის შესწავლას.

ქანობრივი მახასიათებლების მიხედვით, VII კლასში რეკომენდებულია მითების, ზღაპრების, ლეგენდების, მოთხრობების, ნოველების, იგავებისა და ლექსების შესწავლა. პროგრამის საყრდენს, ბუნებრივია, ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა წარმოადგენს, მაგრამ დასაშვებია უცხოური ლიტერატურის საუკეთესო თარგმანების გამოყენებაც.

ლიტმცოდნეობითი ასპექტები: რითმა, რიტმი, ალიტერაცია, გაპიროვნება, შედარება, მეტაფორა, სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, საქმიანი); ტექსტის ფუნქციური ტიპები (თხრობა, აღწერა, მსჯელობა); აფორიზმი; აზნაგის დანიშნულება პროზაულ ტექსტებში; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული საშუალებანი (განმეორება, პარალელიზმი...).

VIII კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.</p> <p>ქართ. VIII. 2. მოსწავლეს შეუძლია ორატორის გამოსვლის მოსმენა და მისი შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.</p> <p>ქართ. VIII. 4. მოსწავლეს</p>	<p>ქართ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.</p> <p>ქართ. VIII. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.</p> <p>ქართ. VIII. 7. მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.</p> <p>ქართ. VIII. 8. მოსწავლეს</p>	<p>ქართ. VIII. 10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.</p> <p>ქართ. VIII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. VIII. 12. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად</p>

<p>შეუძლია ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.</p>	<p>შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.</p> <p>ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.</p> <p>ქართ. VIII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.</p>
--	---	--

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს კონკრეტულ საკითხს (კონკრეტული საკითხი ლიტერატურული ნაწარმოებიდან, რაიმე მნიშვნელოვანი რეალური ყოფითი ფაქტის განხილვა, ისტორიული მოვლენის შეფასება და ა. შ.) და ისმენს სხვების აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით;
- მსჯელობს სათანადო არგუმენტაციის მოხმობით და თანამიმდევრულად ავითარებს თავის მოსაზრებას;
- მსჯელობიდან გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს საინფორმაციო წყაროებიდან, სხვადასხვა ფაქტს, სტატისტიკურ მონაცემებს, ფრაგმენტებს ინტერვიუდან და ა. შ.;
- ტექსტში დასმულ პრობლემურ საკითხს იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშების და ა. შ.) საშუალებით წარუდგენს აუდიტორიას (კლასს);
- კონკრეტული აუდიტორიისათვის შეარჩევს ტექსტის შესაბამის ტიპს (მაგ. როლურ ტექსტს, თხრობას, კამათს და ა. შ.);
- ისმენს / თვითონ სთავაზობს აუდიტორიას საკითხის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; გამოკვეთს საკუთარ თვალსაზრისსა და არგუმენტებს.

ქართ. VIII. 2. მოსწავლეს შეუძლია ორატორის გამოსვლის მოსმენა და მისი შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს და კრიტიკულად აფასებს, რამდენად შეესაბამება სხვების მიერ გამოყენებული ენობრივ-სტილური საშუალებები მსჯელობისას გადმოცემულ შეფასებებს, დამოკიდებულებებსა და დასკვნებს;
- ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, სინტაქსური კონსტრუქციისა თუ სხვა ენობრივი ნიშნების მიხედვით ამოიცნობს, თუ რომელი აუდიტორიისათვის არის გამოსვლა გამიზნული;
- აფასებს, რამდენად შეესაბამება მოსაუბრის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებები საუბრის თემას, მიზანსა და აუდიტორიას;
- ასახელებს გამოხატვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურ და სუსტ ადგილებს საუბრიდან (სად იყო თხრობა საინტერესო, შთამბეჭდავი, მონოტონური, მოსაწყენი, რა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებებით მიიღწეოდა ეფექტი).

ქართ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ ძირითად ენობრივ საშუალებებს (მაგალითად, თვალსაზრისისა და არგუმენტის გამოსაკვეთად იყენებს არავერბალურ საშუალებებს: ინტერვალს საუბარში, ინტონაციას, ხმის სხვადასხვა დონეებს, ჟესტიკულაციას და ა. შ.);
- მოსმენით განასხვავებს და ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს (სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს: ჩართულს, დანართს, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს და სხვ.);
- ამოიცნობს და იყენებს მსჯელობისთვის დამახასიათებელი ფუნქციური სტილის ენობრივ მახასიათებლებს (ნომინალურ წინადადებებს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციებს და სხვ.);
- ამოიცნობს და იყენებს რიტორიკულ ფიგურებს (მაგ., რიტორიკულ შეკითხვას, რიტორიკულ შეძახილს, გამეორებას, პაუზას და სხვ.), რომლებიც ეფექტურად გამოხატავენ მსჯელობის მიზანს (არგუმენტების გამოყენებით ამა თუ იმ პიროვნების შექება / გაკიცხვა, კონკრეტული მოვლენის გამართლება / უარყოფითად შეფასება და ა. შ.);
- განარჩევს და სათანადოდ იყენებს საკუთარ მეტყველებაში გამოთქმებს, რომელთაც განსაკუთრებული დამარწმუნებელი ძალა აქვს (მაგ., იდიომებს, ხატოვან გამონათქვამებს, რიტორიკულ ფიგურებს, სახე-სიმბოლოებს და ა. შ.).

ქართ. VIII. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს სასაუბრო ტექსტებს (მაგალითად, მოწვეული პიროვნებების მეტყველებას, საინფორმაციო თუ სარეკლამო ტექსტს) და ამოიცნობს იმ დამარწმუნებელ საშუალებებს (მაგალითად, არგუმენტაციის სიძლიერეს, სათანადო მაგალითებს, ლირიკულ გადახვევას, ფიგურალურ გამონათქვამებს, ემოციურ ფონს და სხვ.), რომლებიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს აუდიტორიაზე;
- ამოიცნობს და მეტყველებისას იყენებს იმგვარ მინიშნებებს, როგორებიცაა ტონის ცვალებადობა, ხმის სიმაღლე (ხმის აწევ-დაწევა), ან საუბრის სიჩქარე, რათა მოამზადოს აუდიტორია ახალი და მნიშვნელოვანი აზრის გასაცნობად;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე წინასწარ ამზადებს და სათანადო სიტუაციებში იყენებს დამხმარე (ვიზუალურ, ელექტრონულ, მუსიკალურ და ა. შ.) მასალას;
- აუდიტორიის გათვალისწინებით მოამზადებს კონკრეტულ ტექსტს და მსმენელთა ყურადღების მისაპყრობად იყენებს სხვადასხვა ხერხს (მაგ. იუმორს, ანეკდოტებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ემოციურ მეტყველებას და სხვ.).

მიმართულება: კითხვა

ქართ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დაწვრილებით შეისწავლის ტექსტის შინაარსს, ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე და მათზე დაყრდნობით ახსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- აანალიზებს და კონკრეტული ნიშნის მიხედვით, სისტემურად ახდენს ტექსტში მოცემულ ინფორმაციის კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას;
- ამოიცნობს და განსაზღვრავს პრობლემურ საკითხებს წაკითხულ ტექსტში;
- არკვევს ტექსტში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს;
- პოულობს სადისკუსიო პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს;
- მოიძიებს არგუმენტებს სადავო საკითხის გადაწყვეტის თითოეული ვარიანტის მხარდასაჭერად;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ადრე წაკითხული ტექსტები, ნაწილი ფილმები და ა.შ.) განიხილავს ტექსტში წამოჭრილ საკვანძო საკითხს;
- პოულობს მსგავსებებსა და განსხვავებებს სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ ისეთ ტექსტებში, რომლებიც შეიცავს ერთსა და იმავე ან მსგავს პრობლემას;
- გაიხსენებს და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის თაობაზე გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ.

ქართ. VIII. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის სტრუქტურა მიზანს;
- მსჯელობს, რა საშუალებებით ახდენს გავლენას ავტორი კონკრეტულ აუდიტორიაზე და როგორ ქმნის განწყობას;
- ამოიცნობს ავტორისეულ მიზანს და მისი გათვალისწინებით მსჯელობს პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე;
- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის დიზაინი მიზანსა და აუდიტორიას (ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა და სხვ.);
- მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს სხვადასხვა მხატვრული დეტალი ძირითადი იდეის წარმოჩენას.

ქართ. VIII. 7. მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიმოიხილავს ნაწარმოებში აღწერილ ადგილს, დროს, ახასიათებს სოციალურ-კულტურულ გარემოს;
- აკავშირებს ამ ფაქტორებს ნაწარმოების შინაარსთან;
- საუბრობს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი კონტექსტური (დრო-სივრცული) ფაქტორების ცვლილებამ;
- ხსნის, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს მკითხველის ინტერპრეტაცია კონტექსტური ფაქტორების ცვლილებამ;
- საუბრობს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს კონტექსტური ფაქტორები პრობლემის არსის გაგებასა და მისი გადაჭრის გზებზე.

ქართ. VIII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ. ჰიპერბოლას, სახე-სიმბოლოებს, ალეგორიას, მეტაფორას და სხვ.) და ხსნის მათს დანიშნულებას;
- შეაფასებს მხატვრულ სახეებს და გაიაზრებს მათს როლს ნაწარმოების შესაძლო ინტერპრეტაციაში;
- ამოიცნობს და აღწერს ზოგიერთ ტექნიკურ ხერხს, რომელიც გამოყენებულია გარკვეული განწყობის შესაქმნელად (მაგალითად, ტექსტის დიზაინს: დიალოგებისა და მონოლოგების მონაცვლეობა, ტექსტის თავებად და აზრაცვებად დაყოფა; ნაწილების დასათაურება და ა. შ.);
- ამოიცნობს ავტორის მიერ მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას (არქაიზმებს, დიალექტურ ფორმებს, ჟარგონს, ნეოლოგიზმებს, ბარბარიზმებს და სხვ.).

ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხელახლა უბრუნდება გაუგებარ ადგილებს;
- მონიშნავს ტექსტში ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვან ადგილებს;
- იყენებს მარკირების საკუთარ სისტემას (მაგალითად, ტექსტის არშიაზე პირობით ნიშნებს, მარკერს);
- მონიშნავს უცნობ და ძნელად აღსაქმელ ლექსიკურ ერთეულებს და ტექსტის არშიაზე აკეთებს განმარტებებს, მინიშნებებს, კომენტარებს;
- აზუსტებს ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას (გადაამოწმებს ინფორმაციას ენციკლოპედიაში, ლექსიკონებში);
- იყენებს საკითხების ჩამონათვალის ფორმით შედგენილ რეზიუმეს და გრაფიკულ ცხრილებს მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გამოსაკვეთად.

მიმართულება: წერა

ქართ. VIII. 10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პრობლემური საკითხის შესახებ წერს ნარკვევს, საგაზეთო სტატიას, მარტივ პროექტს, ახსნა-განმარტებითი ხასიათის ტექსტსა და ანგარიშს;
- ფაქტებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, სხვადასხვა წყაროზე (ენციკლოპედია, ლექსიკონები, ბეჭდვითი და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები) დაყრდნობით განსაზღვრავს პრობლემას, წერილობით აყალიბებს მოსაზრებას, შეარჩევს ამ მოსაზრების განმამტკიცებელ არგუმენტებს;
- უარყოფს ან ეთანხმება საგაზეთო პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებას და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
- პრობლემური თემის შესახებ თხზავს მხატვრულ ტექსტებს: ჩანახატს, სცენარს როლური თამაშებისათვის, მცირე ზომის მოთხრობას;
- გამოხატავს და წერილობით აყალიბებს პირად განცდებსა და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას;
- ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აყალიბებს საკუთარ შეხედულებას კონკრეტულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.

ქართ. VIII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და თავადაც იყენებს საშუალებებს (მაგალითად, მწერლის, საზოგადო მოღვაწის გამონათქვამების/მოსაზრებების დამოწმება, მიმართვის ან ემოციის გამოხატვის ფორმები და სხვ.), რომლებიც შეესაბამება სხვადასხვაგვარ აუდიტორიასა და მიზნებს;
- აუდიტორიის ასაკისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით აფორმებს ტექსტს;
- წერს კონკრეტულ პრობლემაზე სხვადასხვა პოზიციიდან და სხვადასხვა აუდიტორიისათვის (მაგალითად, სკოლაში არსებული პრობლემური სიტუაციის შესახებ წერს მშობლის, თავად მოსწავლის, დირექტორის და ა. შ. პოზიციიდან);
- წარმოადგენს პრობლემური საკითხის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მიზნით (დარწმუნების, თანაგრძნობის გამოწვევის მოტივით და სხვ.).

ქართ. VIII. 12. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად ხმარობს ზმნის დრო-კილოთა და ქცევის ფორმებს;
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის სალიტერატურო ნორმებს;
- მართებულად ჩაანაცვლებს დამოკიდებულ წინადადებებს ინფორმაციის დამაზუსტებელი განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით (მაგალითად, „ჩემი ძმა, რომელიც თორმეტი წლისაა“ „...“, „ჩემი ძმა, თორმეტი წლის ბიჭი“ „...“);
- მართებულად იყენებს მსჯელობისა და არგუმენტაციისთვის შესაფერის ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს („თუ... მაშინ...“, „აქედან გამომდინარე...“, „ამრიგად...“, „მაშასადამე...“, „რასაც ადასტურებს...“);
- მიმოხილვითი ხასიათის ტექსტის შექმნისას იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს.

ქართ. VIII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს ტექსტის თემატიკას, ტიპს და შეადგენს გეგმას სპეციფიკური მიზნებისა და აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შეარჩევს მასალას და აჯგუფებს გეგმის შესაბამისად;
- შეაქვს ტექსტში შინაარსობრივი და სტრუქტურული ხასიათის შესწორებები, რათა იგი იყოს მკაფიო, ლოგიკური და თანამიმდევრული;
- ასწორებს ნაწერში ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და გრამატიკულ შეცდომებს; იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონებს;
- მსჯელობისას საკუთარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად იყენებს მასალას (ციტატებს სხვადასხვა წყაროდან, ცხრილებს, ფოტოებსა და ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციებს);
- იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიას ტექსტების შესადგენად, დასაფორმატებლად და პრეზენტაციის მოსამზადებლად.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ენათმეცნიერების ძირითადი ცნებები. ენის რაობა და ფუნქციები; ენა და აზროვნება; ენა და მეტყველება; ენათა ოჯახები.

ლექსიკოლოგიური ასპექტები: სპეციფიკური ლექსიკა, სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; ერთ- და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები; სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება, სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები, მყარი შესიტყვებები; არასალიტერატურო ფორმების, ჟარგონისა და ბარბარიზმების გამოყენების ასპექტები; ლექსიკონებზე მუშაობა.

გრამატიკული ასპექტები: ბრუნვის ფორმათა გამოყენება ზმნური კონსტრუქციების კონტექსტში: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ბრუნვების ფუნქციონირება; ზედსართავი სახელი და არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვა; მსაზღვრელი, მსაზღვრელის გამოყენება სხვადასხვა დატვირთვით: ინფორმაციულ ტექსტში, მხატვრულ ტექსტში (ეპითეტი, მეტაფორა); რიცხვში შეთანხმების საკითხები (რიცხვითი სახელი - არსებითი სახელი; სახელი - ზმნა); წოდებითი ბრუნვის საკითხი (საკუთარ და საზოგადო სახელებთან); ჩვენებითი ნაცვალსახელი (ეს - ეგ - ის, ასეთი - მასეთი - ისეთი; ასე - ეგრე - ისე დაპირისპირება), მეტყველების პროცესში ამ ერთეულთა გამოყენების ასპექტები; კუმშვა-კვეცის საკითხები მხოლობითი-მრავლობითის კონტექსტში; ზმნის დროითი და სივრცული პარამეტრები (ზმნიზედა, ზმნისწინი) და ბრუნვის ფორმები (მოქმედებითი, ვითარებითი ბრუნვები, თანდებულიანი ფორმები ზმნიზედურ კონსტრუქციებში); დროისა და მოვლენათა თანამიმდევრობის აღმნიშვნელი ენობრივ-გრამატიკული ერთეულები (პირველად, ჯერ, შემდეგ, ბოლოს, დასასრულს; მაშინ, როდესაც; დიდი ხნის წინათ და ა. შ.); ზმნის დროები (წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამომხატველი ზმნური ფორმები); მოდალობების გამომხატველი ზმნური ფორმები; ზმნის პირები და ნაცვალსახელთა სისტემასთან მიმართება; ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; ქცევის არსი (ობიექტებთან მიმართებით). ქცევის ფუნქციები (როგორ ჩაენაცვლება თანდებულიანი სახელი: აშენებს თავისთვის - იშენებს; აშენებს სხვისთვის - უშენებს); კონტაქტი და მასთან დაკავშირებული მართლწერის წესები (რატომ გააკეთებინა, დააწერინა და არა გააკეთებია, დააწერია); გვარი (კონვერსიის არსის გააზრება და ფუნქციები ტექსტში); ზმნის დრო და შიდა კილოურ-ასპექტური დიფერენციაცია (სრული, უსრული, კილოური სხვაობა: *კვეცე, კვეცე, ვერ დაკვეცე* ტიპისა და სხვ.).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი ცნებები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის ცალმხრივი (ზეპირი გამოსვლა აუდიტორიის წინაშე) და მრავალმხრივი (კამათი, დისკუსია) ფორმები; საკომუნიკაციო სიტუაციის ელემენტები (ადრესატი, ადრესანტი) და მათი ფუნქციური ურთიერთმიმართება; საკომუნიკაციო ამოცანა, მისი გავლენა ტექსტის ფორმაზე; ზეპირი კომუნიკაციის არავერბალური ხერხები (ინტონაცია, ჟესტი, მიმიკა, ხმის სხვადასხვა დონე, პაუზა მეტყველებაში, მეტყველების სიჩქარე); კომუნიკაციის სახეები: არაოფიციალური, ოფიციალური.

მეტყველების ტიპები. მსჯელობა, დისკუსია.

ტექსტის სახეები. მიმოხილვითი ხასიათის ტექსტები; ნარკვევი, საგაზეთო სტატია, მარტივი პროექტი, ახსნა-განმარტებითი ხასიათის ტექსტები, ანგარიში, ჩანახატი, სცენარი როლური თამაშებისათვის, მცირე ზომის მოთხრობები.

სტრატეგიები. მოსმენისა და მეტყველების სტრატეგიები (პრობლემის განსაზღვრა, მოსაზრების ჩამოყალიბება, არგუმენტის დასახელება); კითხვის სტრატეგიები (მარკირების სისტემა, ინფორმაციის გადამოწმება, ენციკლოპედიებითა და ლექსიკონებით საგებლობა, რეზიუმისა და ცხრილების შედგენა), წერის სტრატეგიები (დაგეგმვა, მასალის შეგროვება, ნაწერის გადამუშავება, რედაქტირება, კორექტირება).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

სტანდარტში ასახული ამოცანების გათვალისწინებით, სასურველია, შეირჩეს იმგვარი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც თემატიკით შეესატყვისება მოსწავლეთა შინაგან სამყაროს, მათს მოთხოვნილებებსა და ინტერესთა სფეროს. ტექსტებმა და მათში ასახულ საკვანძო, სადავო საკითხებზე მსჯელობამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდში რეფლექსიური აზროვნების ჩვევების გამომუშავებას; მხატვრული აზროვნების უნარის განვითარებას, თვითშემეცნების სურვილის გაღვივებას.

ისევე, როგორც VII კლასში, პროგრამის საყრდენს ამ ეტაპზეც წარმოადგენს ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად.

IX კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.</p> <p>ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.</p> <p>ქართ. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.</p>	<p>ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>ქართ. IX. 7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.</p> <p>ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ქართ. IX. 9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.</p> <p>ქართ. IX. 10. მოსწავლეს შეუძლია დეტალური ინფორმაციის, განსხვავებული თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა.</p> <p>ქართ. IX. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p>ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა</p>

<p>ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.</p>		<p>და ენობრივი ნორმები.</p> <p>ქართ. IX. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.</p>
---	--	---

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: **ზეპირმეტყველება**

ქართ. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პრობლემურ საკითხებზე ზეპირი მოხსენების მომზადებისას ითვალისწინებს კონკრეტული აუდიტორიის სოციალურ-კულტურულ ინტერესებს, ცოდნას და ა.შ.;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მიზეზ-შედეგობითი, ანალოგიაზე ან ინდუქციაზე დამყარებული არგუმენტები);
- მსჯელობისას იყენებს ციტატებს საინფორმაციო წყაროებიდან და მხატვრული ტექსტებიდან, სხვადასხვა ფაქტობრივ და სტატისტიკურ მონაცემებს და ა. შ.;
- ამოიცნობს ზეპირ მოხსენებაში პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისსა და არგუმენტებს და შეაფასებს, რამდენად დამაჯერებელი და ეფექტურია არგუმენტაცია;
- ისმენს სხვების მოსაზრებებს მის მიერ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით და ეთანხმება/არ ეთანხმება, ითვალისწინებს/არ ითვალისწინებს მათ სათანადო არგუმენტაციითა და ეთიკის ნორმების დაცვით.

ქართ. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და განიხილავს ზეპირ ტექსტში პრობლემებს, რომელთა ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა რთულია;
- აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისს პრობლემის შესახებ გამართულ ჯგუფურ დისკუსიებში და განსხვავებული თვალსაზრისის გასააზრებლად სვამს კითხვებს;
- აზუსტებს, სწორად გაიგო თუ არა სხვების მიერ გამოთქმული თვალსაზრისი (მაგ., „თუ სწორად გავიგე...“, „თუ არ ვცდები...“);
- განიხილავს ზეპირ ტექსტში პირდაპირ გადმოცემულ ან ნაგულისხმევ თვალსაზრისებს სხვადასხვა კონტექსტში (ცხოვრებისეული ან ლიტერატურული გამოცდილების, მისთვის ცნობილი ფაქტების, სტატისტიკური მონაცემების და ა.შ.);
- დრამატული მონოლოგის ან როლური ტექსტის სახით წარმოადგენს განსხვავებული თვალსაზრისის მისეულ ინტერპრეტაციას;

- ისმენს რადიო და სატელევიზიო ინტერვიუებს, გამოსვლებს, განიხილავს მათში ჩამოყალიბებულ ან ნაგულისხმევ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- განსხვავებული თვალსაზრისების განხილვისას იყენებს აუდიო და ვიზუალურ (მულტიმედია, ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციები და სხვა თვალსაჩინო მასალა) საშუალებებს.

ქართ. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მსმენელის სოციალურ-კულტურული ინტერესები, ცოდნა და შეხედულებები მოსმენილი ტექსტის მისეულ ინტერპრეტაციაზე (მაგ., რას მიაქცევდა ყურადღებას პოლიტიკოსის გამოსვლაში გლეხი, სახელმწიფო მოხელე, ხელოვანი, მოზარდი და ა.შ.);
- ამოიცნობს და შეაფასებს დისკუსიების, დებატების, პოლიტიკური გამოსვლების, დრამატული მონოლოგის ეფექტურ ენობრივ საშუალებებს (მაგალითად, „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“);
- საუბრობს იმაზე, თუ როგორ იცვლება მოსაუბრის ენა ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობისას აუდიტორიის სოციალურ-კულტურული ინტერესების, ცოდნისა და შეხედულებების გათვალისწინებით;
- ამოიცნობს, ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი რა ნიშნები შემოდის ენაში მსჯელობის წერილობითიდან ზეპირ ფორმატში გადასვლისას (მაგალითად, ჟესტიკულაციის, მიმიკის, ინტონაციის, ხმის დონის და სხვა არავერბალური საშუალებების გამოყენება საქმიან, ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში, დებატებში და ა.შ.).

ქართ. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისის წარმოდგენისას საკომუნიკაციო ამოცანის, მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით შეარჩევს დარწმუნების ენობრივ ფორმულებს, რიტორიკულ ფიგურებს;
- ამოიცნობს და მრავალპლანიან ტექსტზე მსჯელობისას მართებულად იყენებს შესაბამის ენობრივ სტრუქტურებსა და მოდელებს: მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს, შესაბამის კავშირებს, გრამატიკულ ფორმებს, სპეციალურ ლექსიკას და ა. შ. (მაგ., „რადგან...“, „თუ ... მაშინ“, „მაშასადამე“, „ესე იგი“, „აქედან გამომდინარე...“ და სხვ.);
- ანალოგიაზე დამყარებული მსჯელობისას მართებულად იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციებს, კავშირებს, ლექსიკას (მაგ., „შესაბამისად...“, „...გათვალისწინებით“, „...მსგავსად“, „როგორც, ... ისე...“ და სხვ.);
- მართებულად იყენებს კერძობითი მსჯელობის განზოგადებისთვის, ანუ ინდუქციური მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტრუქტურებს, მოდელებს, ლექსიკას.

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ ეცნობა აუდიტორიას (სოციალურ-კულტურულ ფონს, ასაკს, ცოდნის დონეს, ინტერესებს და ა. შ.), შეადგენს გამოსვლის გეგმას, ქმნის როლურ ტექსტს, გადის რეპეტიციებს, ამოწმებს რეგლამენტს და ა. შ.;

- აუდიტორიის ყურადღების მობილიზაციისათვის ადეკვატურად იყენებს ინტერვალს მეტყველებაში, ხმის დონეებს, სხეულის ენას, უსადაგებს ამ საშუალებებს ტექსტს;
- ოპერატიულად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციაზე: ამყარებს და აზუსტებს დისკუსიის ან კამათისათვის საჭირო არგუმენტებს, შეაქვს განმარტებები, რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს და სხვ.;
- სხვადასხვა საშუალებით (მოკლე განმარტებების ჩართვა, გამეორება, ხმის აწევ-დაწევა და სხვ.) გამოკვეთს მნიშვნელოვან ადგილებს ზეპირი მოხსენებიდან;
- ითვალისწინებს დისკუსიისა და კამათის მონაწილეთა შესაძლო არგუმენტებს და ამზადებს შესაბამის პასუხებს;
- საპირისპირო არგუმენტების მოსმენისას ჩაინიშნავს ძირითადად და მთავარს, რასაც შემდგომში იყენებს კონტრარგუმენტებისათვის;
- აუდიტორიის დასაინტერესებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას (მაგ. ანეკდოტებს, ვიზუალურ მასალას, ემოციურ წიაღსვლებს და ა. შ.).

მიმართულება: კითხვა

ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექტებს, უკეთ გასააზრებლად ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ზოგად შინაარსზე, არამედ დეტალებსა და მნიშვნელოვან ნიუანსებზეც;
- ანალიზებს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივ და კონცეპტუალურ ინფორმაციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- ახდენს სხვადასხვა სახის ტექსტში წარმოდგენილი მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების შედარება-შეპირისპირებას;
- კითხულობს სხვადასხვა მოცულობისა და სირთულის ტექსტებს, მსჯელობს თემებსა და საკამათო საკითხებზე და ხედავს პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა პერსპექტივას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულ ტექსტებში წარმოდგენილ განსხვავებულ თვალსაზრისებზე;
- აკვირდება, ამოიცნობს და შეაფასებს ავტორის ან პერსონაჟის/პერსონაჟების დამოკიდებულებას კონკრეტული გმირის, აღწერილი მოვლენების მიმართ;
- შეაფასებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის ხედვას და პოზიციას ეპოქის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში;
- კითხულობს პრესას, ელექტრონულ ტექსტებს, შეაფასებს წარმოდგენილ არგუმენტებსა და გამოთქმულ თვალსაზრისებს;
- შეაფასებს წაკითხულ ტექსტებში ასახულ თვალსაზრისებს განსხვავებული (თავისი, ოპონენტის, ნეიტრალური) პოზიციებიდან;
- უკავშირებს წაკითხულ ტექსტში გადმოცემულ ან ნაგულისხმევ თვალსაზრისებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მხატვრულ და სამეცნიერო-დოკუმენტურ ფილმებს, სპექტაკლებს და სხვ.

ქართ. IX. 7. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ენობრივ-გრამატიკულ ხერხებს სხვადასხვა სახის ტექსტებში, რომლებიც ერთსა და იმავე თემას ეხება (მაგალითად, სასწავლო ტექსტი გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან და მოგზაურის შთაბეჭდილებები);
- ადარებს ერთმანეთს გამომსახველობით ხერხებს სხვადასხვა სახის ტექსტებში (მაგალითად, სტერეოტიპებს რეკლამებში და სიმბოლოებს მხატვრულ ტექსტებში);
- განსაზღვრავს, რა ფორმით არის გადმოცემული სხვისი მეტყველება (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი) და მსჯელობს შერჩეული ფორმის დანიშნულებაზე;
- შეაფასებს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტიანობას ტექსტში;
- ამოიცნობს ავტორის მეტყველების თავისებურებას, მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას და მსჯელობს მათს დანიშნულებაზე.

ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ვრცელი ტექსტის კითხვისას ხელახლა გადაავლებს თვალს ამა თუ იმ ადგილს, აკეთებს ჩანაწერებს, გამოყოფს მნიშვნელოვან თვალსაზრისებს, ჩამოწერს კითხვებს ტექსტის უკეთ გასაგებად;
- სწორად იცებს და სათანადოდ იყენებს იმ მინიშნებებსა და დამატებით ინფორმაციას, რომლებიც გადმოცემულია სათაურის, ილუსტრაციების, ცხრილების, სქემების, განსხვავებული შრიფტის საშუალებით;
- აზუსტებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას; ამოწერს საკითხებს შემდგომი განმარტებისა და დამუშავებისათვის;
- იყენებს სქემებს, დიაგრამებს, ცნებების განმარტებებს, აზრობრივ რუკებს ან სხვა საშუალებებს მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად;
- იყენებს სხვადასხვა საშუალებას (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს) უცნობი სიტყვის/ფრაზის მნიშვნელობის გასაგებად;
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.

მიმართულება: წერა

ქართ. IX. 9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს თხზულებას კონკრეტული თემის ან საკითხის შესახებ, რომელშიც აანალიზებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ალტერნატიულ შეხედულებებს;
- საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასასაბუთებლად მოჰყავს სათანადო არგუმენტები;
- განიხილავს მხატვრულ ტექსტში გამოკვეთილ იდეებსა და პრობლემებს ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- გამოკვეთს ნაწერში მხატვრული ტექსტის ძირითად იდეას ცალკეული ეპიზოდების, მხატვრული დეტალების, პერსონაჟთა ქმედების, მოტივაციის, მათი ხასიათის, გრძნობებისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინებით;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული პრობლემების მიმართ მისთვის სასურველი ფორმით (მოთხრობის, ნოველის, ესეის, ჩანახატის, ლექსის და ა.შ.);
- საკუთარი თვალსაზრისისა და ემოციურ-ფასეულობითი დამოკიდებულების გამოსახატავად ქმნის პერსონაჟთა შედარებით და შეპირისპირებით დახასიათებებს;

- შესწავლილი ტექსტის კონტექსტის (დრო, ადგილი, ეპოქა, გარემო და ა.შ.) შეცვლით თხზავს ახალ თხზულებას იმავე თემაზე, პრობლემაზე.

ქართ. IX. 10. მოსწავლეს შეუძლია დეტალური ინფორმაციის, განსხვავებული თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შესაბამისი მოდელის მიხედვით წერს საინფორმაციო ანგარიშს საკამათო საკითხზე გამართული მინი-დისკუსიის შესახებ;
- სათანადო ფორმის დაცვით შეადგენს მოსწავლეთა სადისკუსიო კლუბის, კლასის კრების და ა. შ. სხდომის ოქმს;
- მკაფიოდ და თანამიმდევრულად აყალიბებს ინსტრუქციებს კონკრეტული ამოცანისთვის (მაგალითად, დისკუსიის და დებატების წარმართვის თანამიმდევრობის შესახებ; როგორ ჩაატაროს თანაკლასელმა კონკრეტული ექსპერიმენტი და სხვ.);
- წერს მინი-რეპორტაჟს სასკოლო ღონისძიების შესახებ;
- წერს მიმოხილვითი ხასიათის სტატიას სკოლის გაზეთისათვის, რომელშიც აყალიბებს განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წერს განმარტებითი ხასიათის ტექსტებს, რომლებშიც იყენებს სხვადასხვა ბეჭდურ და ელექტრონულ ინფორმაციას (საენციკლოპედიო სტატიას, საგაზეთო ინფორმაციას, ინტერნეტს და სხვ.);
- გადმოსცემს სხვათა თვალსაზრისს და უკეთებს კომენტარს.

ქართ. IX. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერისას ითვალისწინებს აუდიტორიის ასაკობრივ, სოციალურ, კულტურულ და სხვა თავისებურებებს;
- სხვადასხვა აუდიტორიისათვის შეარჩევს ტექსტის ტიპს (ლიტერატურული ნარკვევი, მიმართვა, წერილი, რეკომენდაცია, ვებგვერდის სტატია, ესეი და ა.შ.), რათა უპასუხოს მათს მოთხოვნებსა და ინტერესებს;
- კონკრეტული მიზნის მიხედვით ცვლის ტექსტის ტიპს, გადაჰყავს ერთი ტიპის ტექსტი მეორეში (მაგალითად, თანაკლასელთა ინფორმირების მიზნით პრესაში გამოქვეყნებული ანგარიშის ტექსტს აყალიბებს თხრობით ტექსტად);
- აუდიტორიის თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენებს სხვადასხვა დამარწმუნებელ / დამაინტერესებელ საშუალებას (მაგალითად, მოგონებას, ციტატას, იუმორს, პარალელს და სხვ.).

ქართ. IX. 12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისების წერილობით გადმოსაცემად შეარჩევს სპეციფიკურ ლექსიკას, ტერმინებს, ფრაზებს;
- საგანგებოდ გამოყოფს კონკრეტულ თვალსაზრისს შესაბამისი ენობრივი ფორმულებით (მაგ., „როგორც ავტორი ამბობს...“, „ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც...“) და ამხსნელი სიტყვებით (სინონიმები, განმარტებები ლექსიკონიდან და ა. შ.);

- მსჯელობისას იყენებს სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციებს; მართებულად ასახავს მსჯელობის სასურველ თანამიმდევრობას (მაგ., „პირველ რიგში...“, „ამის შემდეგ...“, „ბოლოს...“);
- სხვადასხვა ტიპის მსჯელობის წერილობით წარმოსადგენად იყენებს შესაბამის კავშირებს, გრამატიკულ ფორმებს, მოდალურ ელემენტებს;
- მკაფიოდ აყალიბებს აზრს, იყენებს დაკავშირებისა და თანამიმდევრულობის შესაბამის ხერხებს;
- ადეკვატურად ასახავს ნაწერში ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ არავერბალურ ელემენტებს (მიმიკას, სხეულის ენას, ინტონაციას და სხვ.) შესაბამისი საშუალებებით (მრავალწერტილით, კითხვა-მახილის ნიშნით, შორისდებულებით...).

ქართ. IX. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსხვავებული თვალსაზრისების საპრეზენტაციოდ ქმნის გეგმას;
- მოიძიებს და აჯგუფებს არგუმენტებს განსხვავებული თვალსაზრისების წარმოსაჩენად;
- წინასწარ ჩამოწერს სავარაუდო შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაუჩნდეს აუდიტორიას;
- წინასწარ აგროვებს მასალას (ციტატებს ნაწარმოებებიდან, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს, ისტორიულ ფაქტებს და სხვ.), რომლებიც შეიძლება დასჭირდეს განსხვავებული თვალსაზრისების წერილობითი პრეზენტაციისას;
- კითხულობს ნაწერს კორექტირების მიზნით, ასწორებს ტექნიკურ შეცდომებს, ლექსიკონის მიხედვით ამოწმებს ფორმებს; განმარტავს შესაძლო გაუგებარ ტერმინებს;
- ხმამაღლა უკითხავს ნაწერს თანაკლასელს (მასწავლებელს, მშობელს) და მათი შენიშვნების გათვალისწინებით ჩაასწორებს მას.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ლექსიკოლოგიური ასპექტები: სინონიმია და ანტონიმია; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებანი; ეტიმოლოგია.

გრამატიკული ასპექტები: ზმნური კონსტრუქციები და მარტივი წინადადება (ქართული ენის სპეციფიკა – ოთხი მთავარი წევრისგან შედგენილი წინადადება); ზმნის ცენტრალური როლი ქართულ წინადადებაში (პირთა მართვა); ზმნის დრო-კილოთა ფორმების ურთიერთმართების საკითხი რთულ წინადადებებში ("დროზე რომ მოვსულიყავი, სახლში დამხვდებოდი"...); ზმნისწინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვათწარმოება); ქვემდებარე-შემასმენლისა და მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება; სახელდებითი და უქვემდებარო წინადადებების მხატვრული ფუნქცია; ინფორმაციის დამაზუსტებელი და სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (დანართი, ჩართული); ნომინალური წინადადებები, პირობით-შედეგობითი კონსტრუქციები; მონოტონური და დინამიური მეტყველებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები.

თხრობითი, კითხვითი, მახილის წინადადებების სტრუქტურა; მარტივი გავრცობილი და გაუვრცობელი, თანწყობილი, ქვეწყობილი წინადადებების ძირითადი ნიშნები; სასაუბრო, სამეცნიერო, მხატვრული, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენო

ნიშნების ხმარება ციტირებისა და დიალოგის გადმოცემის დროს; მართლწერისა და ორთოგრაფიის ნორმები.

შერწყმული წინადადება და მისი ფუნქციები; კავშირების როლი რთულ წინადადებაში; უკავშირო შეერთების მიზეზი და მიზანი; თანწყობის და ქვეწყობის არსი; ქვეწყობილ წინადადებებში მისათითებელი სიტყვებისა და წევრ-კავშირების ფუნქციები (წევრ-კავშირთა როლი მხატვრულ ნაწარმოებებში); სიტყვა - წინადადება - ტექსტი); წინადადება - გრამატიკის უმაღლესი ერთეული, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკის უმარტივესი ერთეული; აბზაცი. აღწერის, თხრობისა და მსჯელობის სინტაქსი. რა თავისებურებებია დამახასიათებელი თითოეული მათგანისთვის? მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები, შესაბამისი კავშირები, გრამატიკული ფორმები, სპეციალური ლექსიკა (მაგალითად, „რადგან ...“; „თუ ... მაშინ“, „მაშასადამე...“, „ესე იგი“, „აქედან გამომდინარე...“ და სხვ.); ანალოგიაზე დამყარებული მსჯელობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები, კავშირები, ლექსიკა (მაგ., „შესაბამისად“, „გათვალისწინებით“, „მსგავსად“, „როგორც,... ისე“ და სხვ.); ინდუქციაზე დამყარებული მსჯელობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები, კავშირები, მოდალური სიტყვები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი ცნებები: ჯგუფური დისკუსია და მისი სტრატეგიები, სადისკუსიოდ განსხვავებული თვალსაზრისების ჩამოყალიბება, დრამატული მონოლოგი, როლური ტექსტები, რადიო და სატელევიზიო ინტერვიუ, ტექსტი და კონტექსტი, ტექსტი და ფონური ინფორმაცია; დისკუსიების, დებატების, პოლიტიკური / რიტორიკული გამოსვლების, დრამატული მონოლოგის, აუდიტორია და მისი სოციალურ-კულტურული ინტერესები, და ა.შ. მსჯელობა და მსჯელობის სახეები, მიზეზ-შედეგობრივი, ანალოგიაზე დამყარებული, ინდუქციური), ზეპირი მოხსენების მომზადება და წარმოდგენა კონკრეტული აუდიტორიის მიზნის, სოციალურ-კულტურული დონის, თავისებურებების, ინტერესების გათვალისწინებით.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

სწავლების ამ ეტაპზე მოზარდთა ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალის შერჩევა.

შერჩეულმა მხატვრულმა ტექსტებმა ხელი უნდა შეუწყოს მოზარდთა დამოუკიდებელი, შემეცნებითი, შემოქმედებითი და მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარებას.

ლიტერატურული ტექსტები უნდა გამოირჩეოდეს აქტუალური (როგორც მხატვრული, ისე ყოფითი თვალსაზრისით) პრობლემატიკით, რათა მოზარდს მიეცეს მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე მსჯელობის, განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმის საშუალება.

სასურველია, სახელმძღვანელოში შევიდეს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოზარდთათვის თვალსაჩინოს გახდის ლიტერატურაში ასახული კონკრეტული პრობლემის სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, სხვადასხვაგვარად გააზრების აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოზარდს შეექმნას გარკვეული თეორიული წარმოდგენა ლიტერატურის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესახებ, შეძლოს ყოფითი რეალობისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთმიმართების თავისებურებების გაცნობიერება.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის იმ ნიმუშების შეთავაზებაც, რომლებიც ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს სწავლების ამ ეტაპისათვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.

საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) სავალდებულო ლიტერატურა

(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს საბაზო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 60 პროცენტს)

1. ლეონტი მროველი - „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება;
2. იოანე მინჩხი - „ჰიმნი“(ჟამნი ჩუენნი, ვითარცა სიზმარნი...);
3. არსენ იყალთოელი - „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ (ვის ნაჭარმაგვეს მეფენი...);
4. შოთა რუსთაველი - „ვეფხისტყაოსანი“: „ანდერძი ავთანდილისა“; „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“.
5. სულხან-საბა ორბელიანი - „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: იგავ-არაკები: „მოცინარი და მოტირალი“, „უნაღვლოთა მძებნელი“, „კაცი და გველი“, „კეისრის მაგისტროსი“; „მოგზაურობა ევროპაში“ (მითითებული სახით);
6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“ (მითითებული სახით); „ქართლის ჭირი“ (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა); „დინარი“ (ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო...);
7. მზეჭაბუკ ორბელიანი - „სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“;
8. ბესიკ გაბაშვილი - „ტანო ტატანო“;
9. გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“: „ჰე, მამულო...“;
10. ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ბედი ქართლისა“, „ცისა ფერს“, „საყურე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „სული ობოლი“, „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“ (მითითებული სახით).
11. ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“ („მარად და ყველგან...“, „მაგრამ ქართველნო...“, „დედავ ღვთისაო...“), „ქართველის დედას“, „ბაზალეთის ტბა“, „ჩემო კალამო“, „სარჩობელაზედ“, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (მითითებული სახით); „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით); „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ (მითითებული სახით); „ერი და ისტორია“ (მითითებული სახით);
12. აკაკი წერეთელი - „ხატის წინ“, „განთიადი“, „სულიკო“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;
13. ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „იას უთხარით ტურფასა“, „სამეფოს სიმღერა“ (ქალო, გნახე ფეხშიშველი...), „დამსეტყვე, ცაო“, „კაი ყმა“, „ამოდის, ნათდება“, „ენა“ (მითითებული სახით); „ნიჭიერი მწერალი“ (მითითებული სახით);
14. იაკობ გოგებაშვილი - „ბურჯი ეროვნებისა“ (მითითებული სახით), „რანი ვიყავით გუმინ“ (მითითებული სახით);
15. დავით კლდიაშვილი - „დარისპანის გასაჭირი“;
16. მიხეილ ჯავახიშვილი - „მიწის ყივილი“, „ემშაკის ქვა“;
17. ნიკო ლორთქიფანიძე - „საშობაო მინიატურები“, „ლიტერატურული სადამო“;
18. გალაკტიონ ტაბიძე - „მამული“, „რაც უფრო შორს ხარ“, „(გაგონდება თუ არა...), „მზეო თიბათვისა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „შინდისის ჭადრებს“;
19. კონსტანტინე გამსახურდია - „დიდი იოსები“;
20. ტიციან ტაბიძე - „რია-რია“;
21. პაოლო იაშვილი - „დარიანული“;
22. ვალერიან გაფრინდაშვილი - „სენტიმენტალური ტრიოლეტი“;
23. კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი“;
24. გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“: „მარიტა“;
25. ლადო ასათიანი - „სპარსელ ასულს“;
26. მირზა გელოვანი - „ნუ მწერ“;
27. სიმონ ჩიქოვანი - „თბილისის თოვლი“;

28. ირაკლი აბაშიძე - „ხმა კატამონთან“;
29. ანა კალანდაძე - „რა ვარ? სტვირი ვარ“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „ფეხი დამადგით“;
30. მურმან ლეზანიძე - „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“;
31. რევაზ ინანიშვილი - „ჩიტების გამომზამთრებელი“, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“;
32. არჩილ სულაკაური - „არ ვიცი, ამას რა ჰქვია“;
33. ნოდარ დუმბაძე - „კორიდა“;
34. მუხრან მაჭავარიანი - „საბა“;
35. შოთა ნიშნიანიძე - „ცოტნე დადიანი“;
36. თამაზ ჭილაძე - „ყინწვისი“;
37. ოთარ ჭილაძე - „როდესაც ასე ახლოა გრემი“;
38. ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამბობი;
39. რევაზ ჭეიშვილი - „მუსიკა ქარში“: „ლურჯი ფრინველი“;
40. ნუგზარ შატაიძე - „მოგზაურობა აფრიკაში“.

თავი XIV

საგნობრივი კომპეტენციები საშუალო საფეხურზე

X კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. X. 1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.</p> <p>ქართ. X. 2. კამათის დროს მოსწავლეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ტაქტიკას და დაიცვას სამეტყველო ქცევის ეთიკური ნორმები.</p> <p>ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამო-სვლისას მოსწავლეს შეუძ-ლია ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერე-ბელი ხერხების გამოყენება.</p> <p>ქართ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება.</p> <p>ქართ. X. 5. მოსწავლეს შე-უძლია ზეპირი კომუნიკა-ციის სტრატეგიების ამოცნობა და შესაბამისად გამოყენება.</p>	<p>ქართ. X. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია.</p> <p>ქართ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>ქართ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.</p> <p>ქართ. X. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ქართ. X. 11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.</p> <p>ქართ. X. 12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით.</p> <p>ქართ. X. 13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა ერთი ან რამდენიმე წყაროს მიხედვით.</p> <p>ქართ. X. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის კონსპექტის შედგენა შესაბამისი წესების დაცვით.</p> <p>ქართ. X. 15. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს გამოხმაურება წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.</p> <p>ქართ. X. 16. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება</p>

		ნაწერის ორგანიზებისათვის.
--	--	---------------------------

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. X. 1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დისკუსიის დროს წარმოადგენს საკუთარ ან ჯგუფის საერთო პოზიციას;
- მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;
- მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;
- იყენებს ფაქტებს (მაგ., სტატისტიკურ მონაცემებს) და ციტატებს სხვადასხვა წყაროდან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად;
- საუბრისას შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას;
- დამაჯერებლად იცავს საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში დომინანტური პოზიციის დაკავებას;
- სათანადო წესისა და ეტიკეტის დაცვით უძღვება მინი-დისკუსიას (იმ შემთხვევაში, თუ წამყვანია).

ქართ. X. 2. კამათის დროს მოსწავლეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ტაქტიკას და დაიცვას სამეტყველო ქცევის ეთიკური ნორმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თეზისის წამოყენებისას მიმართავს „თავდასხმის“ ტაქტიკას (პირდაპირ მიმართავს ადრესატს; უსვამს კითხვებს ოპონენტს);
- ოპონირების დროს იყენებს „დიახ, მაგრამ...“; „ნაწილებად დაყოფის“ და „შეჯამების“ მეთოდებს (თავიდან თითქოს ეთანხმება მოწინააღმდეგეს, შემდეგ უარყოფს მის თეზისს: ნაწილ-ნაწილ განიხილავს მოწინააღმდეგის არგუმენტაციას; აჯამებს მოწინააღმდეგის პოზიციას და გადადის მის უარყოფაზე);
- აკონტროლებს საკუთარ ხმას, მიმიკას და ჟესტიკულაციას;
- არ არის ზედმეტად კატეგორიული;
- განმუხტავს სიტუაციას ხუმრობით, იუმორით;
- კორექტულია ოპონენტების მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს.

ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლისას მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელი ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამყარებს კონტაქტს მსმენელებთან (იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, მიმართვას, ერთობლივი მოქმედების ამსახველ განმაზოგადებელ ფორმებს. მაგ., „ჩვენი მიზანია...“, „მივაქციოთ ყურადღება...“, „როგორც ვიცით...“ და სხვ.);

- უიოლებს აუდიტორიას ინფორმაციის აღქმას (სპეციალურად გამოყოფს ინფორმაციის ნაწილებს; იმეორებს; მოჰყავს მაგალითები; მკვეთრად აღნიშნავს ერთი თემიდან მეორეზე გადასვლას. მაგ., „უპირველეს ყოვლისა...“, „შემდეგ...“, „დაბოლოს...“, „მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს...“, „მივაქციოთ ყურადღება...“, „ვიმეორებ...“, „ახლა განვიხილოთ...“, „გადავიდეთ მომდევნო საკითხზე“ და სხვ.);
- მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას (გამოყოფს მოხსენების საინტერესო ნაწილს სპეციალური ლექსიკის, ჩანართების, რიტორიკული შეკითხვების, შემახილების საშუალებით, მაგ.: „აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის“, „ეს ხომ ძალიან იოლია“, „რა არის აქ არაჩვეულებრივი?!“ „ევრიკა!“ და სხვ.);
- გამოყოფს მთავარს, არსებითს (იყენებს მიზეზ-შედეგობრივ კონსტრუქციებს; მსმენელისადმი პირდაპირ მიმართვას, მაგ., „შესაბამისად...“, „შევაჯამოთ“, „შეიძლება დავასკვნათ...“, „მიაქციეთ ყურადღება“ და სხვ.);
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ინფორმაციის შინაარსისადმი (თხრობისას იყენებს პირველ პირს, დამოკიდებულების გამომხატველ ჩანართებს. მაგ., „მინდა გაიგებოთ...“, „ჩემი აზრით...“, „მთლიანად ვიზიარებ აზრს...“, „აქედან გამომდინარე, მიმაჩნია...“ და სხვ.).

ქართ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტური იყო მოხსენების შესავალი ნაწილი (შემლო თუ არა მომხსენებელმა მსმენელებთან კონტაქტის დამყარება; საუბრის თემის გამოკვეთა; მოახერხა თუ ვერა მსმენელის დაინტერესება და რა ხერხები გამოიყენა ამისათვის);
- განმარტავს, რამდენად ეფექტურად იყო წარმოდგენილი მოხსენების ძირითადი ნაწილი (იყო თუ არა ინფორმაცია დაყოფილი აზრობრივ მონაკვეთებად; დამაჯერებელი იყო თუ არა მომხსენებლის მსჯელობა, მოყვანილი მაგალითები, ფაქტები, ციტატები; იყო თუ არა მკვეთრად გამოყოფილი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა);
- მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად ეფექტური იყო მოხსენების დასკვნითი ნაწილი (რამდენად კარგად შეძლო მომხსენებელმა განმაზოგადებელი თეზისების ან მოხსენების ძირითადი აზრის ჩამოყალიბება და რა ხერხები გამოიყენა მან ამისათვის).

ქართ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების ამოცნობა და შესაბამისად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობით კონტაქტს, ხმის აწევ-დაწევას, საუბრის ტემპის შეცვლას, ჟესტიკულაციას) და შესაბამისად იყენებს მათ ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად;
- ამოიცნობს მსმენელის რეაქციას და იყენებს საპასუხო სტრატეგიებს, როგორებიცაა აზრის პერიფრაზირება სიცხადისათვის ან მომზადებული ტექსტიდან გადახვევა აზრის უკეთ განმარტებისათვის;
- ამზადებს ტექსტს და ვიზუალურ მასალას აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე, გადის რეპეტიციას;
- აანალიზებს ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატებას ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად სახავს ხარვეზების გამოსწორების გეგმას.

ქართ. X. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს ტექსტის კომპოზიციას; აღნიშნავს, რას წარმოადგენს ტექსტი: დასრულებულ ნაწარმოებს, წინადადებას, პოეტურ სტროფს თუ პროზაულ ფრაგმენტს; აანალიზებს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი);
- მსჯელობს ნაწარმოების კომპოზიციურ თავისებურებაზე; საკვანძო ეპიზოდების (სცენების) ურთიერთკავშირზე; მისი სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიციის, პროლოგის, ეპილოგის...) დანიშნულებაზე;
- აღნიშნავს, რომელ პირშია (I თუ III) თხრობა და მსჯელობს, რა თავისებურებას ანიჭებს ეს ტექსტს;
- მიუთითებს, გვხვდება თუ არა ტექსტში ავტორისეული ჩანარები და მათი საშუალებით ამოიცივებს მოვლენებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებას;
- განსაზღვრავს, რა ფორმით არის გადმოცემული სხვისი მეტყველება (პირდაპირი / ირიბი ნათქვამით) და მსჯელობს შერჩეული ფორმის ეფექტურობაზე;
- განსაზღვრავს ტექსტში მონოლოგის, დიალოგის, პოლილოგის ფუნქციას;
- განსაზღვრავს მეტყველების სხვადასხვა ტიპის (აღწერის, თხრობის, მსჯელობის) ეფექტიანობას სხვადასხვა სახის ტექსტებში;
- ახასიათებს წინადადებათა გადაბმის სახეებს (ჯაჭვური, პარალელური);
- განსაზღვრავს ფუნქციურ სტილს (სასაუბროს, მწიგნობრულს; სამეცნიეროს, ოფიციალურ-საქმიანს, პუბლიცისტურს, მხატვრულს);
- აღნიშნავს, ტექსტის ორგანიზების რა ხერხები (ალიტერაცია, პარალელიზმი, გრადაცია, ინვერსია, რეფრენი და სხვ.) გამოიყენება ტექსტში და რა მიზნით.

ქართ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოკრებს ტექსტიდან ფაქტობრივ ინფორმაციას (ანუ ინფორმაციას მოქმედების ადგილის, დროის, მონაწილეების შესახებ; საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის შესახებ);
- მიმართავს განსხვავებულ სტრატეგიებს კონცეპტუალური ინფორმაციის ამოსაკრებად მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში (მხატვრულ ტექსტებში აკვირდება ავტორისეულ პლანს: ლირიკულ გადახვევებს, მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს; არამხატვრულ ტექსტებს განიხილავს აბზაცების მიხედვით, გაცხრილავს თითოეულ აბზაცს დეტალების, მაგალითებისა და ავტორისეული შეფასებებისაგან და ამ გზით აყალიბებს თეზისებს ტექსტის თითოეული აბზაციდან);
- ამოიცივებს ქვეტექსტურ ინფორმაციას და აქვს ქვეტექსტების ახსნის საკუთარი ვერსია.

ქართ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს იმის შესახებ, თუ რაზე დააფიქრა მხატვრულმა თუ პუბლიცისტურმა თხზულებამ;
- აკრიტიკებს ან იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს (მოჰყავს ციტატები ტექსტიდან საკუთარი აზრის ნათელსაყოფად);
- მსჯელობს პრობლემაზე, რომელიც დაინახა თხზულებაში;
- განმარტავს, რატომ წაიკითხა ან ვერ წაიკითხა თხზულება ინტერესით/გატაცებით;

- საუბრობს იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება / არ შეესაბამება ის, რაც თხზულებაშია ასახული, მის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან შეხედულებებს.

ქართ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების ცენტრალურ იდეას / პრობლემატიკას;
- აჯგუფებს პერსონაჟებს კონფლიქტთან მიმართებით;
- თხრობითი ხასიათის ნაწარმოებებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა);
- საუბრობს ნაწარმოებში პეიზაჟის, ინტერიერის ფუნქციაზე;
- მსჯელობს ავტორის მეტყველების თავისებურებაზე, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა (ალუზია, ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება და სხვ.) და მათს ფუნქციაზე ნაწარმოებში;
- განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ან ხედვის კუთხეს, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი ამბის / კონფლიქტის / პრობლემის ინტერპრეტაციას;
- შეაფასებს ლირიკულ ნაწარმოებს სუბიექტურ აღქმასა და/ან მხატვრული ფასეულობების გააზრებაზე დაყრდნობით;
- აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან და თანამედროვეობასთან (მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ისტორიული ვითარება, ეპოქის კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები ამა თუ იმ ნაწარმოებში).

ქართ. X. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს კითხვის სხვადასხვა სახეს: გაცნობით კითხვას, შესწავლით კითხვას, კითხვას ძირითადი ინფორმაციის ამოკრებისათვის;
- იყენებს მარკირების სხვადასხვა ხერხს (მინიშნებებს ტექსტის არშიაზე, საკვანძო სიტყვების ან საინტერესო ადგილების ხაზგასმას, სხვადასხვა ფერის მარკერს და სხვ.);
- იყენებს სხვადასხვა საშუალებას (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს) უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად;
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას;
- მონიშნავს და ამოიწერს ტექსტიდან კონცეპტუალური თუ ფაქტობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ციტატებს და ურთავს კომენტარებს.

მიმართულება: წერა

ქართ. X. 11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის დაწყებამდე აზუსტებს მიზანს და აუდიტორიას (რისთვის წერს -თვითგამოხატვის, მკითხველის ინფორმირების, დარწმუნების თუ მხატვრული ნაწარმოების შექმნის მიზნით; ვინ არის მისი ნაწერის პოტენციური მკითხველი: მასწავლებელი, სხვა უფროსები, თანატოლები თუ მასზე უმცროსები);

- ირჩევს მიზნისა და აუდიტორიის შესაფერის სტილს (მაგ., თუ ნაწერი მისი თანატოლების ან მასზე უმცროსებისთვისაა განკუთვნილი, ირჩევს სასაუბრო ტონს და მის შესატყვის ლექსიკას; საკონფერენციო თემისათვის - აკადემიურ სტილს და სხვ.);
- შეარჩევს და იყენებს წყაროებს მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;
- შავად შესრულების შემდეგ გადაამუშავებს ნაწერს (გადახედავს კრიტიკული თვალთ; ამოიღებს, ჩამატებს, გადაადგილებს მონაკვეთებს იმის მიხედვით, არის თუ არა სათქმელი ლოგიკურად დალაგებული, გასაგებია თუ არა აუდიტორიისათვის, არის თუ არა შესავალი და დასკვნა ეფექტური; არის თუ არა კავშირი წინადადებებსა და აზრებს, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; მიესადაგება თუ არა ტექსტი მიზანსა და სათაურს).

ქართ. X. 12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს იგავს მოცემული მორალური სენტენციის საილუსტრაციოდ;
- მოცემული დასაწყისის მიხედვით აგრძელებს ნაწარმოებს (მოთხრობას, ნოველას, ზღაპარს, იგავს, ლექსს, პიესას) ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- აქვს ნაწარმოების დასასრულის საკუთარი ვერსია / ვერსიები;
- წერს მოთხრობას მოცემული წინადადების მიხედვით (შიფრავს წინადადებაში ჩადებულ ფაქტობრივ და ქვეტექსტურ ინფორმაციას და აყალიბებს ლოგიკურად გამართული ტექსტის სახით);
- ქმნის მხატვრულ ტექსტს მოცემული სათაურის, თემის, იდეის ან ფაბულის მიხედვით;
- წერს პაროდias რომელიმე ცნობილ ნაწარმოებზე;
- გადმოაქვს წარსულ ეპოქებში შექმნილი ცნობილი ნაწარმოების ფაბულა თანამედროვე ეპოქაში და თხზავს სიუჟეტს ახალი სოციალური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით (მაგ., „თანამედროვე მგზავრის წერილები“);
- თხზავს პოეტურ ნაწარმოებს მოცემული სარიტმო სიტყვების გამოყენებით.

ქართ. X. 13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა ერთი ან რამდენიმე წყაროს მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს თემას;
- მოიძიებს და დაამუშავებს წყაროებს;
- ადგენს რეფერატის გეგმას;
- წერს რეფერატს შესაბამისი სტანდარტის დაცვით (ზუსტად პასუხობს თემას, მიზნობრივად იყენებს წყაროებს, აფორმებს შესაბამისად);
- თუ რეფერატი ერთი სტატიის მიხედვით იწერება, იცავს შესაბამის სქემას: შესავალი (სტატიის დასახელება, სად და როდის გამოქვეყნდა; ცნობები ავტორის შესახებ; სტატიის თემა; ავტორის მიერ არჩეული კვლევის, არგუმენტაციის მეთოდი); სტატიაში გაშუქებული ძირითადი საკითხების, პრობლემების, დებულებების ჩამონათვალი; ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანთა ანალიზი; შეფასება.

ქართ. X. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის კონსპექტის შედგენა შესაბამისი წესების დაცვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იწერს დასაკონსპექტებელი ტექსტის მონაცემებს (ავტორს, სათაურს, გამოცემის წელს);
- დაკონსპექტებამდე შინაარსის კარგად გასააზრებლად ყურადღებით გადაიკითხავს ტექსტს;

- ადგენს გეგმას - კონსპექტის საყრდენს;
- დაკონსპექტების დროს ფურცელზე ტოვებს ვრცელ მინდვრებს შემდგომი დამატებების, შენიშვნების, უცნობი სიტყვებისა და ტერმინების ახსნა-განმარტებისათვის;
- მიმართავს ტექსტის პარაფრაზირებას, ანუ წერს საკუთარი სიტყვებით (რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას და, შესაბამისად, დამახსოვრებას).

ქართ. X. 15. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს გამოხმაურება წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს წაკითხულით აღძრულ შთაბეჭდილებებს;
- წარმოადგენს პრობლემას, რომელიც დაინახა ნაწარმოებში; აკრიტიკებს ან იზიარებს ავტორის თვალსაზრისს;
- გამოხატავს პერსონაჟთა მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას;
- მსჯელობს იმის შესახებ, რა იყო კონკრეტულ ნაწარმოებში მისთვის მისაღები და რა - მიუღებელი;
- ურთავს კომენტარებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ ადგილებს;
- მოიხმობს ადგილებს ტექსტიდან საკუთარი აზრის დასასაბუთებლად.

ქართ. X. 16. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავს უყრის იდეებს (იყენებს იდეების გენერირების სხვადასხვა ტექნიკას: წყაროების კითხვას, „გონებრივ იერიშს“, ჟურნალისტურ კითხვებს და სხვ.);
- წინასწარ აგროვებს მასალას (ციტატებს ნაწარმოებებიდან, მკვლევართა მოსაზრებებს, ისტორიულ ფაქტებს და სხვ.);
- ირჩევს და კრიტიკულად შეაფასებს წყაროებს. გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად მიუთითებს მათ და იცავს მასალის დამოწმების წესებს: ციტირებას, პარაფრაზირებას, რეზიუმირებას;
- კითხულობს ნაწერს კორექტირების მიზნით, ასწორებს შეცდომებს, ლექსიკონების მიხედვით ამოწმებს სიტყვათა ფორმებს;
- ხმამაღლა უკითხავს ნაწერს თანაკლასელს (მასწავლებელს, მშობელს) და მათი შენიშვნების გათვალისწინებით ჩაასწორებს მას;
- საბოლოო ვარიანტის რედაქტირების დროს გადაიკითხავს ნაწერს იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად ლოგიკურად და გამართულად არის გადმოცემული აზრი და ჩაანაცვლებს უკეთესი ვარიანტით / შეუცვლის ადგილს;
- იცავს ციტირების წესებს (ციტატას სვამს ბრჭყალებში, მიუთითებს წყაროს: ავტორს, წიგნის/პუბლიკაციის დასახელებას, გამომცემლობას, გამოცემის ადგილსა და წელს, გვერდს/ებს).

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ტექსტის ფუნქციური ანალიზი; ტექსტის სტილისტიკა

ტექსტის განსაზღვრება. ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება. ენა და მეტყველება. ტექსტი და მეტყველება. წინადადებათა აზრობრივი გადაბმის ტიპები: ჯაჭვური და პარალელური კავშირები.

წინადადებათა შეკავშირების ხერხები მეტყველებაში: ლექსიკური განმეორება, ნაცვალსახელები, სინონიმური ლექსიკა.

ტექსტის ერთეულები: წინადადება, რთული სინტაქსური ერთეული (პროზაული სტროფი). პროზაული სტროფის კომპოზიცია (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული). ფრაგმენტი და მისი სახეები. თავი, როგორც ტექსტის სტრუქტურული ნაწილი. აზნაცი, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული. აზნაცის ტიპები.

მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით: პირველი პირის მეტყველება, მისი თავისებურებანი მეტყველების ფუნქციური სტილების მიხედვით. მეორე პირის მეტყველება, მისი გამოყენების სფეროები და თავისებურება. მესამე პირის მეტყველება, მისი გამოყენება სხვადასხვა ფუნქციურ სტილში.

ტექსტების კლასიფიკაცია სხვისი ნათქვამის გადმოცემის მიხედვით: პირდაპირი ნათქვამი, ირიბი ნათქვამი, არასაკუთარი პირდაპირი ნათქვამი. მათი ფუნქცია, სტილისტური თავისებურებანი და გამოყენების სფეროები.

ტექსტების კლასიფიკაცია მეტყველების მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით: მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი. მონოლოგის სახეები. დიალოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი, გამოყენების სფეროები. პოლილოგი.

მეტყველების ფუნქციური ტიპები. აღწერა, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი. თხრობა და მისი სტილისტური ფუნქციები. მსჯელობა, მისი სტილისტური თავისებურება, დანიშნულება. მეტყველების ფუნქციური ტიპების შერევა მხატვრულ და პუბლიცისტურ თხზულებებში.

ტექსტების კლასიფიკაცია წინადადებათა შორის კავშირების მიხედვით. ტექსტები ჯაჭვური, პარალელური და შერეული კავშირებით.

ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია. სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური ტექსტები.

ინდივიდუალური სტილი. ზოგიერთი ინდივიდუალური სტილის დახასიათება (შერჩევით). აზნაცი და ინდივიდუალური სტილი.

2. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

მხატვრული ნაწარმოებები უნდა შეირჩეს სტანდარტში დასმული ამოცანების გათვალისწინებით. ვინაიდან აქცენტი კეთდება მხატვრული ნაწარმოების ზეპირ და წერილობით ანალიზზე, სასურველია გამოკვეთილი სტრუქტურის მქონე ტექსტების არჩევა, რათა შესაძლებელი იყოს მათი დეტალური ანალიზი. შესაძლებელია, სტანდარტში დასმული ამოცანების გათვალისწინებით, სავალდებულო პროგრამასთან ერთად, შეირჩეს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურა თემატური, ჟანრობრივი ან რაიმე სხვა პრინციპის მიხედვით.

3. ტექსტის სახეები

სასაუბრო (დისკუსია, ზეპირი მოხსენება); სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, რეფერატი); პუბლიცისტური (ესეი, საგაზეთო სტატიები, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; ბიოგრაფია) ტექსტები; მხატვრული ნაწარმოებები (ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა).

XI კლასი
ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. XI. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.</p> <p>ქართ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.</p> <p>ქართ. XI. 3. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და გამოიყენოს საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებები.</p> <p>ქართ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.</p>	<p>ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.</p> <p>ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.</p>	<p>ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.</p> <p>ქართ. XI. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეის დაწერა.</p> <p>ქართ. XI. 11. მოსწავლეს შეუძლია რეცენზიის დაწერა წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.</p> <p>ქართ. XI. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.</p> <p>ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.</p> <p>ქართ. XI. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.</p>

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. XI. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ განსაზღვრავს საჯარო გამოსვლის მიზანს (აუდიტორიის ინფორმირება / დაინტერესება / გადარწმუნება / პროვოცირება...), არჩევს ტექსტის ტიპს, ენას და აგებს ზეპირი გამოსვლის ტექსტს კონკრეტული ამოცანის მიხედვით;
- ითვალისწინებს აუდიტორიას (ვინ არის მსმენელი, რა სოციალურ-კულტურული ინტერესები და ცოდნის დონე აქვს აუდიტორიას, რამდენად იცნობს იგი განსახილველ საკითხს და ა.შ.);
- წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) გადმოსცემს სათქმელს;
- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საუბრობს კონკრეტული თემის სპეციფიკის შესაბამისი ცნებებით, ტერმინებით, ფრაზებით, რომლებიც თავადაც კარგად აქვს გააზრებული და სხვებსაც აგებინებს (აზუსტებს, განმარტავს, პარალელს ავლებს და ა. შ.);
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან, ლიტერატურული კრიტიკიდან და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსს (ფაქტებს, ფრაგმენტებს ინტერვიუდან, სტატისტიკურ მონაცემებს, ბიბლიოთეკას, ინტერნეტს, აუდიო და ვიზუალურ მასალას და ა. შ.), რითაც ხელს უწყობს მთავარი იდეის გამოკვეთას;
- იყენებს სხვადასხვა სახის საორგანიზაციო მოდელებს (შედარება-შეპირისპირებას, ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, სივრცულ განლაგებას, მიზეზ-შედეგობრიობას, განსაზღვრებას, მნიშვნელობის ხარისხს, პრობლემას და მის გადაწყვეტას);
- ასრულებს საკომუნიკაციო დავალებას იმიტირებულ სიტუაციებში (როლური თამაშები, თეატრალურ-იმპროვიზაციული წარმოდგენები, ინტერვიუს აღება და სხვ.).

ქართ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს გამოსვლებს, მათში გამოთქმულ მოსაზრებებს, ახალ ინფორმაციას, დოკუმენტურ მასალას და გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას, თუ რამდენად დამაჯერებელია მათში გამოთქმული ჰიპოთეზები და ვარაუდები;
- გამოაქვს დასკვნა როგორც საკუთარი, ისე სხვების მსჯელობიდან და შენიშნავს მსგავსება-განსხვავებას;
- მსჯელობს იმაზე, რამდენად ლაკონიურად, მკაფიოდ და ეფექტურად არის გამოკვეთილი შესავალ ნაწილში ტექსტის ძირითადი იდეა, განსახილველი საკითხები, პრობლემატიკა;
- საუბრობს იმის შესახებ, რამდენად „ამართლებს“ ტექსტის ძირითადი ნაწილი იმ მოლოდინს, რომელიც მსმენელს უჩნდება შესავალი ნაწილის მიხედვით (მაგ., შესავალში დასმული რომელი საკითხი განიხილა მოსაუბრემ სრულად, რა იყო ბუნდოვანი და ფრაგმენტული, რა საკითხი დარჩა მოსაუბრის ყურადღების მიღმა და ა.შ.);
- აანალიზებს ზეპირ ტექსტში წარმოდგენილ დასკვნებს ტექსტის ძირითად ნაწილთან შესაბამისობის თვალსაზრისით (მაგ., რამდენად ლოგიკური ჩანს დასკვნები მოხსენების ძირითად ნაწილში მოყვანილი ფაქტების, მაგალითების, ციტატების, მოსაზრებების ფონზე).

ქართ. XI. 3. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და გამოიყენოს საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცივოს და იყენებს ზეპირი ენის რიტორიკულ საშუალებებს: ამა თუ იმ პიროვნების ან ფაქტის შთამბეჭდავად დახასიათება, დამაჯერებელი არგუმენტაციით მსმენელის დარწმუნება, კონკრეტული მოვლენის ან პიროვნების განსჯა (გამართლება / გამტყუნება, გამამართლებელი / გამამტყუნებელი არგუმენტის ან საბუთის მოძიება და წარმოდგენა, მოსმენილი ტექსტის ფარგლებში ტყუილის დადგენა და გამოაშკარავება);
- მსმენელის დაინტერესებისა და პროცესში ჩართვის მიზნით მიმართავს დიალოგურ მეტყველებას (რთავს მსმენელს მსჯელობის პროცესში, მიმართავს აუდიტორიას შეკითხვებით, მათ შორის - რიტორიკულით, აუდიტორიას გამოიწვევს შეკითხვების დასასმელად და ა. შ.);
- ამოიცივოს და მართებულად იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების სხვადასხვა ხერხს: გულწრფელობისა და პირდაპირობის ეფექტის შექმნა ("მე თუ მკითხავთ...", „სიმართლე რომ თქვას კაცმა...“, „რაც მართალია, მართალია...“), ფაქტებითა და არგუმენტებით იერიში, ფაქტების და არგუმენტების მარჯვედ / ეფექტურად გამოყენება და ა. შ.;
- არ არის ზედმეტად კატეგორიული და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას იყენებს ისეთ ფრაზებს, რომლებიც მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაზე მიანიშნებს: „მეორე მხრივ...“, „თუმცა...“, „შესაძლოა...“, „დაგეთანხმებით, მაგრამ...“, „მიუხედავად ამისა...“;
- აუდიტორიაზე ზემოქმედებისა და დამაჯერებლობის მისაღწევად ცდილობს თავისი გამოსვლის ბოლოს კიდევ ერთხელ ხატოვნად და ეფექტურად გაიმეოროს მთავარი სათქმელი.

ქართ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთს გამოყენებულ საინფორმაციო წყაროებს (მაგ., CD-ROM, ინტერნეტი, საენციკლოპედიო სტატია და საგაზეთო წერილი), შეაფასებს თითოეულს მოცემული მიზნის, სანდოობისა და ა.შ. თვალსაზრისით;
- ამზადებს ტექსტს წინასწარ, აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას და მოიპოვებს დამხმარე (მაგალითად, ვიზუალურ) მასალას საპრეზენტაციოდ;
- ძირითადი იდეისა თუ ინფორმაციის ანალიზისთვის მოიპოვებს საჭირო მასალას სხვადასხვა საშუალების (მაგ., თვალის გადავლების, ხელახალი წაკითხვის, ამონაწერების და შენიშვნების ამოკრების და სხვ.) გამოყენებით;
- ზეპირი გამოსვლის მოსმენისას იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას (მაგ., ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებსა და ფრაზებს, შეადგენს გამოსვლის მოკლე გეგმას და სხვ.) მტკიცებულებათა ბუნების განსაზღვრისა და მსჯელობის თანმიმდევრულობის შეფასების მიზნით;
- იყენებს ჩანაწერებს (ანოტაციებს) ძირითადი და პერიფერიული იდეებისა და ინფორმაციის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დასახარისხებლად და თანმიმდევრობით დასალაგებლად;
- აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად, საჭიროების შემთხვევაში, ჩანაცვლებს წინასწარ მომზადებულ ტექსტს იმპროვიზებულთ.

მიმართულება: კითხვა

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს კონკრეტული ეპოქა ლიტერატურულ თემებს, იდეებს, პრობლემატიკას და ინფორმაციის სპეციფიკურობას;

- ანალიზებს კონკრეტული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს და მათს გავლენას ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე;
- ანალიზებს ერთი ეპოქის ტექსტებში ასახულ პრობლემებს, თემებს, იდეებს მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით;
- ადარებს ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციას სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში და მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე;
- შეაფასებს ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს ამავე ეპოქის სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;
- ამოიცნობს კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს სხვადასხვა ნაწარმოებში და შეაფასებს ამავე ეპოქისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში.

ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ტექსტის ორგანიზების თავისებურებებზე;
- ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკური ნიშნების ამოცნობის საფუძველზე განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს;
- პოლიჟანრულ ნაწარმოებში ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრის ნიშნებს;
- განასხვავებს ეპიკურ და სცენურ თხრობას, მსჯელობს მათს თავისებურებებზე;
- გამოყოფს ტექსტში მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურებს (კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა);
- მსჯელობს ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი, რეტროსპექცია) დანიშნულებაზე.

ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი ფიგურების ფუნქციის შესახებ: ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ასონანსი), სემანტიკური ფიგურები (მეტაფორა, ეფემერიზმი, მეტონიმია), სინტაქსური ფიგურები;
- აკავშირებს ლექსის რიტმულ ფორმას ემოციურ ინტონაციასთან;
- ამოიცნობს რითმისა და რიტმის ფუნქციას ბგერწერითი ეფექტისა და ლექსის განწყობის შესაქმნელად;
- პოულობს ლექსში ეფონიის შექმნის საშუალებებს;
- მსჯელობს მხატვრულ ტექსტში შინაარსის გადმოცემის სხვადასხვა ენობრივ და მხატვრულ საშუალებაზე;
- ანალიზებს მხატვრული შინაარსის მქონე ფრაზებს, რომლებიც ენობრივად გაუგებარია და „გაშინაარსება“ ხდება იმ ასოციაციებითა თუ რემინისცენციებით, რომელთაც ქმნის ლექსის ბგერწერითი და სხვა ეფექტები (მაგ., ამ ტიპისა: „მეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები“...);
- მსჯელობს მხატვრული შინაარსის იმ ფორმაზე, რომელიც ენობრივი ნონსენსის მეშვეობით მიიღება (მაგ. ამ ტიპისა: „დისაგანცა უფრო დესი“...).

ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს კითხვის მიზანს და იყენებს შესაბამის სტრატეგიებს: მონიშნავს საკითხებს, რომელთა დაზუსტებას, უკეთ გაცნობას ისურვებდა მომავალში, განიხილავს ეპოქის შესახებ მისთვის ნაცნობ ინფორმაციას;
- მონიშნავს ნაწარმოებში ეპოქისათვის დამახასიათებელ ლექსიკას და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელ პასაჟებს;
- იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტი, სიტყვათა აგებულების ცოდნა, ლექსიკონი);
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.

მიმართულება: წერა

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების თემას და იდეას;
- მსჯელობს მის კომპოზიციურ თავისებურებაზე და სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიციის, პროლოგის, ეპილოგის) დანიშნულებაზე; სათანადოდ იყენებს წერის პროცესში თავის ცოდნას;
- აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში;
- მსჯელობს ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- აანალიზებს ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით (როგორ ქმნის ავტორი თხრობაში განწყობას, პერსონაჟთა სახეებს; რამდენად ეფექტურია ნაწარმოების სტილი და ენა; მსჯელობს ლექსის რიტმის, რითმისა და ბგერწერული ეფექტების შესახებ);
- აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან.

ქართ. XI. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეის დაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს ესეის, რომელშიც პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს მოცემული თემის, პრობლემების შესახებ (ამტკიცებს / უარყოფს, გამოთქვამს ვარაუდს, ადარებს, ავლებს პარალელებს);
- წერისას იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, რომელთა საშუალებითაც უკეთ წარმოაჩენს თავის შემოქმედებით, ესთეტიკურ დამოკიდებულებას ტექსტისადმი;
- მოცემული თემის შესახებ მოიძიებს, აფასებს და შეარჩევს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურულ პარალელებს, იხსენებს ცხოვრებისეულ ფაქტებს და სხვ.;
- განიხილავს პერსონაჟის ხასიათს, ქცევის მოტივს, ღირებულებებსა და ფასეულობებს (ფსიქოლოგიური პორტრეტი);
- წერს ლიტერატურულ ესეის, რომელშიც ახასიათებს პერსონაჟს ან განიხილავს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას;
- განიხილავს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას, რისთვისაც იყენებს ლიტერატურულ ან ცხოვრებისეულ პარალელებს;
- წერს ესეის შემოქმედებითი თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების და ა. შ. გადმოსაცემად.

ქართ. XI. 11. მოსწავლეს შეუძლია რეცენზიის დაწერა წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს წაკითხულ ტექსტს პირადი და ლიტერატურული გამოცდილების კონტექსტში;
- წარმოადგენს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს პრობლემის გადაჭრის ავტორისეულ ვარიანტზე;
- აკრიტიკებს ან იზიარებს ავტორის თვალსაზრისს სათანადო არგუმენტების მოშველიებით;
- ანალიზებს მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა რესურსს: ციტატებს ლიტერატურულ-კრიტიკული თხზულებებიდან, ეპიზოდებს ანალოგიური ან მსგავსი პრობლემის შემცველი ნაწარმოებიდან და სხვ.

ქართ. XI. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს პირად და ოფიციალურ წერილებს სათანადო მოდელების გამოყენებით და იყენებს შესაბამისი დარგის პროფესიულ ტერმინოლოგიას;
- წერს ჩატარებული სამუშაოს (მაგალითად, პროექტის, ღონისძიების, პრეზენტაციის და სხვ.) ანგარიშს;
- წერს სასწავლო ღონისძიებების ოქმებს სათანადო სქემისა და სტანდარტის გამოყენებით;
- წერს საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვას სხვადასხვა ასაკის, ინტერესების, ცოდნის დონისა და ა. შ. აუდიტორიისათვის;
- წერს ე. წ. CV-ს.

ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადეკვატურად იყენებს თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელ ზმნა-შემასმენლის ფორმებს, ავტორისეული პოზიციის გამომხატველ დამხმარე ზმნებს, გაიაზრებს და აგებს თხრობითი (აღწერითი, მსჯელობითი) ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს და ამ კონსტრუქციების კავშირებს, ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა ფორმებს, ჩართულ სიტყვებსა და გამონათქვამებს, ანაფორულ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, სიტყვის ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებებს, სინონიმურ და ანტონიმურ ჩანაცვლებებს;
- სათანადოდ იყენებს ფუნქციურ სტილთა შესაძლო მონაცვლეობას კონტამინაციური ტექსტის ფარგლებში, როცა ერთმანეთს ენაცვლება თხრობა, მსჯელობა, აღწერა;
- ენობრივი და სტილური საშუალებების გათვალისწინებით, განსხვავებული ფორმით გადმოსცემს მთავარ სათქმელს (მაგ. როლური ტექსტის სახით ჩაწერს თხრობით ტექსტს ან პირიქით, როლურ ტექსტს გადააკეთებს თხრობით ტექსტად);
- განარჩევს და შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით წერილობით ტექსტში წარმოადგენს ინფორმაციას, კომენტარს, პროგნოზს, ვარაუდს, ეჭვს და ა.შ.

ქართ. XI. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს მიზანს, აუდიტორიას და ამის შესაბამისად ირჩევს სტრატეგიას;
- გეგმავს და წერს შავ ვარიანტს;
- წერილობითი ტექსტის შესაქმნელად წინასწარ მოიპოვებს დამხმარე მასალას;
- აყალიბებს სათქმელს თანმიმდევრობით;
- იყენებს ჩანაწერებს ძირითადი და პერიფერიული იდეების / ინფორმაციის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დასახარისხებლად და თანმიმდევრობით დასალაგებლად;
- შავად შესრულების შემდეგ გადაამუშავებს ნაწერს (გადახედავს კრიტიკული თვალით; ამოიღებს, ჩამატებს, გადაადგილებს მონაკვეთებს იმის მიხედვით, არის თუ არა სათქმელი ლოგიკურად დალაგებული; არის თუ არა შესავალი და დასკვნა ეფექტური; არის თუ არა კავშირი წინადადებებსა და აზრებს, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; მიესადაგება თუ არა ტექსტი სათაურს);
- საბოლოო ვარიანტის რედაქტირების დროს ასწორებს გრამატიკულ, პუნქტუაციურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ლექსიკოლოგიური ასპექტები: პროფესიული/დარგობრივი ლექსიკა; დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები.

გრამატიკული ასპექტები: დროში თანამიმდევრობისა (შემდეგ, მერე, მანამ ... სანამ, მას შემდეგ, რაც...) და სივრცული განლაგების გამომხატველი ზმნიზედები, სიტყვათშეხამებანი და სიტყვა-კავშირები; მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის ამსახველი ენობრივ-გრამატიკული (ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) საშუალებანი; მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური სიტყვები, კავშირები და წინადადების წყობა; ეპიკური და სცენური თხრობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები; მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ფონოლოგიური (ალიტერაცია, ასონანსი) და სემანტიკური ფიგურები (მეტაფორა, ეფემიზმი, მეტონიმია), სინტაქსური ფიგურები; თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები და ამ კონსტრუქციების კავშირები, ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა ფორმები, ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სიტყვის ლექსიკური და სემანტიკური განმეორებები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, ავტორისეული პოზიციის გამომხატველი დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ზეპირი მოხსენება (საჯარო გამოსვლა). მოხსენების მიზნის განსაზღვრა, დაგეგმვა და მომზადება. ძირითადი თვალსაზრისები, არგუმენტები, დასკვნები. ზეპირი გამოსვლის აუდიტორია, მისი ცოდნის დონე და ინტერესები. ზეპირი გამოსვლის ეფექტის გამაძლიერებელი სტრატეგიები.

ტექსტის ტიპები: სხვადასხვა ხასიათის რეცენზია, პირადი და ოფიციალური წერილები, ოქმი, საინფორმაციო ანგარიში.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

სწავლების ამ ეტაპზე შეირჩევა სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა, რათა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა პერიოდის ტექსტების გაანალიზება და შედარება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემემატიკის თვალსაზრისით, აგრეთვე, გააცნობიეროს, თუ რა თემები, იდეები და პრობლემები დამახასიათებელი ამა თუ იმ

ეპოქისათვის, რა გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქა ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე, რა ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს ეს პრობლემები. შერჩეული ტექსტები ჟანრობრივად მრავალფეროვანი უნდა იყოს: პოეზიის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ეპიკური და დრამატული ჟანრის ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, მემუარული და ავტობიოგრაფიული თხზულებები, ლიტერატურული ესეები; შესაძლებელია პოლიჟანრული ნაწარმოებების შეტანაც.

ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის (როგორც პოეზიის, ისე პროზის) იმ ნიმუშების წარმოდგენაც, რომლებიც იმავე ეპოქაშია შექმნილი და ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით ახლოს დგას სწავლების ამ ეტაპისათვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.

XII კლასი

ქართული ენა და ლიტერატურა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება:

ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. XII. 1. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.</p> <p>ქართ. XII. 2. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტების კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება.</p> <p>ქართ. XII. 3. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტის პრეზენტაციის შესაბამისი ხერხების ამოცნობა და გამოყენება.</p> <p>ქართ. XII. 4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროექტის პრეზენტაციისათვის.</p>	<p>ქართ. XII. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.</p> <p>ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.</p> <p>ქართ. XII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ენის სხვადასხვა ასპექტების გაანალიზება.</p>	<p>ქართ. XII. 11. მოსწავლეს შეუძლია გამოკვლევის (მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომის) დაწერა წინასწარ შერჩეულ თემაზე.</p> <p>ქართ. XII. 12. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა რამდენიმე წყაროს მიხედვით.</p> <p>ქართ. XII. 13. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.</p> <p>ქართ. XII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.</p>

	<p>ქართ. XII. 9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი მკითხველზე.</p> <p>ქართ. XII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.</p>	
--	--	--

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. XII. 1. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჯგუფთან ერთად განსაზღვრავს თემას და პრობლემას, რომლის გადაჭრასაც ითვალისწინებს სასწავლო პროექტი;
- მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს პროექტის მიზანს;
- არჩევს მასალას პროექტის საპრეზენტაციოდ (ციტატები, მოსაზრებები, არგუმენტები, კვლევის შედეგები, ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.);
- არჩევს და იყენებს პროექტის საპრეზენტაციოდ სხვადასხვა ვიზუალურ საშუალებას (პლაკატებს, სქემებს, დიაგრამებს, ასოციაციურ რუკებს და ა. შ.), რითაც უადვილებს პროექტის აღქმას აუდიტორიას;
- შესავალში აყალიბებს წინასწარი კვლევის შედეგებს, პროექტის ძირითად მიმართულებებს და განსაზღვრავს ფორმატს;
- პროექტის ძირითად ნაწილში წარმოადგენს დასმული პრობლემის გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს;
- დასკვნით ნაწილში განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს;
- დამაჯერებლად პასუხობს პროექტის შესახებ დასმულ შეკითხვებს.

ქართ. XII. 2. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტების კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს, რამდენად აქტუალურია სასწავლო პროექტში წარმოდგენილი პრობლემა;
- შეაფასებს, რამდენად გასაგებად, ნათლად და მკაფიოდ იყო წარმოდგენილი მიზანი, პრობლემა, საკვლევი თემა;
- შეაფასებს პროექტის მიზნისა და მისი განხორციელების გზების / საშუალებების ადეკვატურობას;
- მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად გასაგები იყო აუდიტორიისათვის წარმოდგენილი პროექტი (ენის, ლექსიკის, ტერმინოლოგიის და ა.შ. თვალსაზრისით);
- შეაფასებს პროექტის წარმომდგენის პრეზენტაბელურობას (შეძლო თუ ვერა აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, როგორი იყო მისი ჟესტიკულაცია, მანერები, ჰქონდა თუ არა მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან, რამდენად კეთილგანწყობილი იყო აუდიტორიის მიმართ და ა.შ.);
- შეაფასებს პროექტის პრეზენტაციისას გამოყენებული ვიზუალური მასალის ეფექტურობას.

ქართ. XII. 3. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტის პრეზენტაციის შესაბამისი ხერხების ამოცნობა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წარმოადგენს პროექტს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურით: შესავალი ნაწილი, წინასწარი კვლევის შედეგები, პრობლემის არსი, მიზნები და ამოცანები, განხორციელების გზები, მოსალოდნელი შედეგები, შეფასების კრიტერიუმები;
- მარტივად, გასაგებად აყალიბებს სათქმელს (თავს არიდებს რთული კონსტრუქციის წინადადებებს; იყენებს მარტივი წყობის ნომინალურ წინადადებებს სქემატური აღწერისათვის, მოსალოდნელი შედეგების მკაფიოდ წარმოსადგენად);
- პრეზენტაციისას მკვეთრად გამოყოფს პროექტის ნაწილებს და ყურადღებას ამახვილებს ამ ნაწილებს შორის კავშირზე: რამდენად შეუწყო ხელი წინასწარმა კვლევამ პროექტის ამ სახით ჩამოყალიბებას; რამდენად ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები; რამდენად შესაბამეა პროექტის განხორციელების გზები და საშუალებები დასახულ მიზანს;
- მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას (გამოყოფს მოხსენების საინტერესო ნაწილს სპეციალური ლექსიკის, ჩანართების, რიტორიკული შეკითხვების, შემახილების, ინვერსიის საშუალებით (მაგ., „აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის....“, „ეს ხომ ძალიან იოლია...“, „რა არის აქ არაჩვეულებრივი?“ და სხვ.);
- პროექტის ნაწილებს შორის კავშირს გამოხატავს სპეციალური ენობრივი საშუალებებით (მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათმეხამებები და წინადადების წყობა: მაგ., „თუ... მაშინ“, „ვინაიდან... მაშასადამე“, „აქედან გამომდინარე...“, „შესაბამისად...“; მსმენელისადმი პირდაპირ მიმართვას: „შევაჯამოთ...“, „შეიძლება დავასკვნათ...“, „მიაქციეთ ყურადღება...“ და სხვ.).

ქართ. XII. 4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროექტის პრეზენტაციისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ ამზადებს პრეზენტაციას (განსაზღვრავს პრეზენტაციის ხანგრძლივობას, არჩევს მთავარ სათქმელს, ამზადებს ვიზუალურ მასალას, ალაგებს მას პრეზენტაციის თანამიმდევრობის შესაბამისად და ა.შ.);
- გადის რეპეტიციას მეგობრების, ოჯახის წევრების ან სარკის წინ (ინიშნავს დროს, ვარჯიშობს მახვილისა და ინტონაციის, მიმიკის მოდიფიცირებაში);
- პრეზენტაციამდე ეცნობა აუდიტორიას და შეაქვს ცვლილებები აუდიტორიის ცოდნის დონის, ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით;
- პრეზენტაციის შინაარსის შესაბამისად ახდენს ხმის მოდულაციას (მნიშვნელოვან იდეას / აზრს წარმოთქვამს ნელა, ხმამაღლა და შეიძლება დამარცვლითაც, იყენებს ლოგიკურ მახვილებს);
- პროექტის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლამდე აკეთებს პაუზას და მიმართავს აუდიტორიას, აქვთ თუ არა შეკითხვები პროექტის ამ ნაწილთან დაკავშირებით;
- ზეპირი გამოსვლისთვის წინასწარ ამოიწერს ბარათებზე მნიშვნელოვან ფრაზებს, მონაცემებს ან ძირითად თეზისებს, რომლებიც ეხმარება პრეზენტაციის თანამიმდევრულად წარმართვაში;
- პრეზენტაციისას ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს.

ქართ. XII. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს ნაწარმოებში აღწერილ ადგილს, დროს, კულტურულ-სოციალურ გარემოს;
- მსჯელობს, სად გამოვლინდა ნაწარმოებში კონკრეტული ეპოქის ფასეულობები და ღირებულებები;
- მსჯელობს ავტორის/პერსონაჟის ფასეულობებსა და შეხედულებებზე, რომელთაც ისინი ავლენენ ტექსტში განვითარებულ კონფლიქტთან მიმართებაში;
- აანალიზებს ავტორის/პერსონაჟის დამოკიდებულებას კონკრეტული ისტორიული ეპოქის ფასეულობების მიმართ;
- იზიარებს / არ იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს; გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და სათანადო არგუმენტაციით იცავს მას;
- კითხულობს სხვადასხვა ეპოქის, კულტურული კონტექსტისა და პრობლემების ამსახველ ტექსტებს და მსჯელობს მათს მსგავსება-განსხვავებაზე;
- განიხილავს კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს სხვადასხვა ნაწარმოებში და აფასებს არა მხოლოდ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში, არამედ თანამედროვე პოზიციიდანაც;
- მხატვრული ტექსტიდან ამოარჩევს დეტალებს, რომლებშიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ არის ასახება კონკრეტული ეპოქა, კულტურული კონტექსტი და ა.შ.;
- აანალიზებს და იკვლევს მსგავს ან ერთნაირ პრობლემას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ტექსტებში (მაგალითად, ცხოვრების საზრისის პრობლემას ქართულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში);
- კითხულობს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და აანალიზებს მათში დასმულ მსგავს პრობლემატიკას;
- კითხულობს თარგმანებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებას ერთი და იმავე ნაწარმოების ორი (ან მეტი) თარგმანის თაობაზე (მოსწონს / არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს სხვადასხვა ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების მსგავსება-განსხვავებაზე;
- მსჯელობს იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ნაწარმოებში ასახულ შეხედულებებსა და ფასეულობებს შორის არსებულ განსხვავებებს განაპირობებს;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე ადარებს ერთმანეთს ძველ და თანამედროვე ფასეულობებს;
- წარმოსახვის საშუალებით გადააქვს ნაწარმოებში ასახული მოვლენები თანამედროვე ან მისთვის საინტერესო სხვა კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში (ადგილი, დრო, ადამიანური ურთიერთობების ფორმები და ა.შ.);
- საუბრობს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობები პრობლემის არსის გაგებასა და მისი გადაჭრის გზებზე.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტში ასახული პრობლემის ინტერპრეტაციისას ითვალისწინებს კონკრეტული ეპოქის თავისებურებებს (კულტურულ, ისტორიულ, ფსიქოლოგიურ ასპექტებს);
- გამოთქვამს ვარაუდს, თუ როგორ შეიცვლებოდა კონკრეტული ტექსტი, იგი სხვა სოციალური, კულტურული ან ისტორიული კონტექსტის ამსახველი რომ ყოფილიყო;
- ამოიცნობს და ახსნის ტექსტში იმ უნივერსალური სიმბოლოების მნიშვნელობას, რომლებიც დამახასიათებელია გარკვეული ისტორიული პერიოდისა და კულტურისათვის;
- ახსნის, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს მკითხველის ინტერპრეტაცია სოციალური, ისტორიული და კულტურული გარემოს ცვლილებამ.

ქართ. XII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ენის სხვადასხვა ასპექტების გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წაკითხულ ნაწარმოებში ამოიცნობს მხატვრულ სახეებს და შეაფასებს მათ ეფექტურობასა და მნიშვნელობას;
- განარჩევს მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენათა (ავტორისეულ, პერსონაჟის) სუბიექტურ და ობიექტურ ხედვას;
- გაიაზრებს ენას, როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებას;
- ადარებს ერთმანეთს ინფორმაციის დანიშნულებას მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში და განიხილავს ინფორმაციას, როგორც საშუალებას მხატვრული სახის შესაქმნელად (გზას მხატვრული განზოგადებისკენ);
- საუბრობს იმის თაობაზე, რომ არამხატვრული ტექსტი უშუალოდ ასახავს რეალობას, მხატვრული ტექსტი კი მეტ-ნაკლებად წყვეტს უშუალო კავშირს კონკრეტულ მოვლენასთან და დამოუკიდებელ მხატვრულ ფენომენს ქმნის;
- გაიაზრებს პოეტური ლოგიკის სპეციფიკურობას („მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“, „ამ რევოლვერში არის რვა ტყვია, ერთს გაიმეტებთ? მე გთხოვთ, მომკალით!“...);
- განასხვავებს პოეტურ ხედვასა („როგორც სამროხე ქვავს ოხშივარი...“) და პოეტურ ხილვას („სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს...“, „და შემდეგ უცნობ პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით“);
- გაიაზრებს კონკრეტული მხატვრული სახის ღირებულებას მხატვრულ სახეთა სისტემაში.

ქართ. XII. 9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი მკითხველზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ავტორის მიერ შემოთავაზებულ სტილს;
- საუბრობს იმაზე, რამდენად შეესაბამება ავტორის მიერ შემოთავაზებულ სტილს მის მიერ გამოყენებული ენობრივ-გრამატიკული კონსტრუქციები და ლექსიკა;
- საუბრობს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც ნაწარმოებში გამოიკვეთება ავტორის/პერსონაჟის ნეიტრალური, არაორდინარული და სტერეოტიპური დამოკიდებულებები კონკრეტული პრობლემის მიმართ.

ქართ. XII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიწერს ან მონიშნავს წაკითხულიდან სხვადასხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიას, ტერმინებს, ლექსიკას;
- ამოიწერს ან მონიშნავს წაკითხულიდან ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ არქაიზმებსა და ნეოლოგიზმებს, ქმნის მცირე ლექსიკონს;
- მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან (ენციკლოპედიიდან, ინტერნეტიდან, ისტორიული წყაროებიდან, პრესიდან და სხვ.) განსხვავებული კულტურის, ქვეყნისა და ეპოქის ნაწარმოებში ასახული მოვლენის უკეთ გასააზრებლად;
- ეფექტურად იყენებს კომპიუტერულ საძიებო სისტემებს და პროგრამებს ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გრაფიკული ორგანიზების მიზნით.

მიმართულება: წერა

ქართ. XII. 11. მოსწავლეს შეუძლია გამოკვლევის (მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომის) დაწერა წინასწარ შერჩეულ თემაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ შერჩეული თემისთვის ამზადებს და აანალიზებს მასალას (ინფორმაციული ხასიათისას, კრიტიკულს, სამეცნიეროს, საკითხის კვლევის ისტორიას და სხვ.);
- სხვადასხვა საშუალებით (ლექსიკონების, საენციკლოპედიო სტატიების, დარგობრივი ცნობარების, ინტერნეტის და ა. შ.) გადაამოწმებს შერჩეულ მასალას სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით (წყაროს სანდოობა, აქტუალურობა, რელევანტობა და ა.შ.);
- შერჩეული წყაროებიდან ამოკრებილ მასალას იყენებს (იმოწმებს, ახდენს პერიფრაზირებას, მოკლედ გადმოსცემს) სათანადო წესების დაცვით;
- შესაბამის წყაროებზე, მასალაზე, საკითხის კვლევის ისტორიაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებს ნაშრომის ძირითად თვალსაზრისს და მისთვის მოსახერხებელი ფორმით შეადგენს გეგმას;
- იცავს სამეცნიერო ნაშრომის ფორმატს: საკვლევი საკითხი, მის შესახებ არსებული ლიტერატურის (თვალსაზრისების, შეხედულებების) მიმოხილვა, მოსწავლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელსაც ეყრდნობა ნაშრომის ძირითადი თვალსაზრისი, დასკვნა.

ქართ. XII. 12. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა რამდენიმე წყაროს მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს თემას / თემებს რეფერირებისათვის;
- მოიძიებს და გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით რეფერატისთვის შეარჩევს რამდენიმე წყაროს;
- შერჩეული წყაროებიდან ამოკრებს მასალას/საკითხებს, რომლებსაც არსებითად უნდა დაეყრდნოს სასწავლო რეფერატი;
- ადგენს რეფერატის გეგმას;
- წერს რეფერატს შესაბამის ფორმატში;
- მკაფიოდ მიუთითებს რეფერატისთვის შერჩეულ სხვადასხვა წყაროს და იცავს შესაბამის სქემას, მაგალითად, შესავალში ასახელებს წყაროებს, გამოქვეყნების დროსა და ადგილს; გვთავაზობს ცნობებს ავტორის შესახებ, ცალკეული ავტორის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდს და ა. შ.;
- თანამიმდევრობით გადმოსცემს ცალკეულ წყაროებში გაშუქებულ საკითხებს, პრობლემებს; შეაფასებს, უდარებს, უპირისპირებს ერთმანეთს სხვადასხვა წყაროში გადმოცემულ

თვალსაზრისებს; ნაწილობრივ / სრულიად ეთანხმება / არ ეთანხმება / ითვალისწინებს ავტორთა დებულებებს.

ქართ. XII. 13. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების კონცეპტუალურ იდეას;
- თავისუფლად ახერხებს მხატვრული ტექსტის ანალიზის ორგანიზება-სტრუქტურირებას;
- ახასიათებს პერსონაჟებს (ადარებს და უპირისპირებს მათ ერთმანეთს); ქმნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტს კონკრეტული კონტექსტის მიხედვით (საქციელი, გადაწყვეტილება, მსჯელობა და ა. შ.);
- განსაზღვრავს კონფლიქტის არსს და აანალიზებს პერსონაჟთა დამოკიდებულებას / მიმართებას ამ კონფლიქტთან;
- წერილობით გადმოსცემს ავტორის დამოკიდებულებას ნაწარმოებში ასახულ ფასეულობებსა და შეხედულებებზე;
- აანალიზებს ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (განწყობის, პერსონაჟთა სახეების შექმნა; ნაწარმოების სტილი და ენა; ლექსის რიტმი, რითმა და სხვადასხვა ენობრივი საშუალებები, რომლებიც ქმნიან მხატვრულ ეფექტებს) და მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ეს საშუალებები ნაწარმოების ძირითად შინაარსს;
- იყენებს ციტატებს ნაწარმოებიდან საკუთარი არგუმენტების დასასაბუთებლად;
- მსჯელობს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ავტორს კონკრეტული ისტორიული ეპოქის კულტურული ფასეულობების მიმართ.

ქართ. XII. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის გეგმას სხვადასხვა სახის ტექსტისათვის (რეფერატი, გამოკვლევა, ანალიზი);
- აგებს მიზნობრივ სქემას (რა არის ჩემი მიზანი? რა მასალას გამოვიყენებ მიზნის მისაღწევად? როგორი იქნება ჩემი ნაწერის ფორმატი? რა სახის პრობლემები შეიძლება შემექმნას მუშაობისას და როგორ შევძლებ მათ დაძლევას?);
- წერს ნაშრომის შავ ვარიანტს და შემდეგ გადაამუშავებს ნაწერს;
- ასწორებს ნაწერს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

გრამატიკული ასპექტები: სტილის რაობა; ტავტოლოგია და პარონომაზია, კალკი, ატროფია; ფუნქციური სტილის გამოყენება და დანიშნულება; ენათმეცნიერული და პოეტური სტილისტიკა; მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი; რიტორიკული შეკითხვების არსი და სტრუქტურა; მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათშეხამებები და წინადადების წყობა; ენა, როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალება; მხატვრულ სახეთა შექმნის ენობრივი მექანიზმი; პოეზიის ენა; პოეტური ლოგიკა; პირდაპირი, ირიბი და არასაკუთრივი პირდაპირი ნათქვამი;

არასაკუთრივი პირდაპირი ნათქვამის ქვესახეობები; ტექსტის რედაქტირებისთვის აუცილებელი გრამატიკული, პუნქტუაციური და ორთოგრაფიული წესები და ნორმები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

სასწავლო პროექტი. პროექტის დაგეგმვა, წინასწარი კვლევები და მათი შედეგები; პროექტის წერილობითი გაფორმება და პრეზენტაცია.

ტექსტის ტიპები: სასწავლო პროექტი, გამოკვლევა (მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომი), სასწავლო რეფერატი.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

თუ XI კლასში მოსწავლეს საშუალება ჰქონდა შეესწავლა, გაეანალიზებინა და შეედარებინა სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, XII კლასში იმავე საქმიანობას ის ახორციელებს სხვადასხვა პერიოდის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების საფუძველზე. მან უნდა იკვლიოს და გააანალიზოს მსგავსი ან ერთნაირი პრობლემა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ტექსტებში, კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტში განვითარებულ კონფლიქტსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე. ამიტომ, დამამთავრებელ კლასში იზრდება ნათარგმნი ლიტერატურის ხვედრითი წილი (უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოსწავლე ამ დროისათვის უნდა ფლობდეს რომელიმე ერთ უცხოურ ენას მაინც, რაც მას საშუალებას მისცემს, შეადაროს დედანი თარგმანს). ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვან ლიტერატურულ მასალასთან ერთად სწავლების ამ ეტაპზე შესაძლებელი და სასურველიცაა ლიტერატურული კრიტიკის, სამეცნიერო და კვლევითი ხასიათის, საკითხის კვლევის ისტორიის ამსახველი მასალის შემოტანაც.

საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) სავალდებულო ლიტერატურა

(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 60 პროცენტს)

1. იაკობ ცურტაველი - „შუშანიკის წამება“;
2. იოვანე საბანისძე - „აბოს წამება“;
3. გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, 12 ეპიზოდი: 1. გრიგოლის ცხოვრება სასულიერო მოღვაწეობის დაწყებამდე; 2. ზენონის ეპიზოდი; 3. გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული; 4. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის პირველი შეხვედრა; 5. საბა იშხნელისა და ბაგრატ კურაპალატის დიალოგი; 6. გრიგოლი დასავლეთ საქართველოში; 7. გრიგოლის შეხვედრა დედასთან; 8. ჯავახეთის საეკლესიო კრება; 9. ეფრემ მაწყვერელის ღვაწლი; 10. რომანული ეპიზოდები (აშოტი, ადარნერსე); 11. ცქირის ეპიზოდი; 12. გრიგოლის აღსასრული.
4. შოთა რუსთაველი - „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“.
5. სულხან-საბა ორბელიანი - „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი“, „უფუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“;

6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი); „კაცისა და საწუთროს ცილობა“; „ვაი, რა კარგი საჩინო“, „სახით სიტყვა-შუენიერო“, „საწუთრო სოფლის სამდურავი“;
7. ალექსანდრე ჭავჭავაძე - „გოგჩა“;
8. გრიგოლ ორბელიანი - „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „სადამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“;
9. ნიკოლოზ ბარათაშვილი - „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტამარი“;
10. ილია ჭავჭავაძე - „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“, „პასუხის პასუხი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „ბედნიერი ერი“, „ორიოდე სიტყვა“ (მითითებული სახით), „ზოგიერთი რამ“ (მითითებული სახით);
11. აკაკი წერეთელი - „გამზრდელი“, „ქებათა ქება (სხვებმან სვან ღვინო...), „აღმართ-აღმართ“;
12. ალექსანდრე ყაზბეგი - „ხევისბერი გოჩა“;
13. ვაჟა-ფშაველა - „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ (მითითებული სახით), „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (მითითებული სახით);
14. დავით კლდიაშვილი - „სამანიშვილის დედინაცვალი“;
15. მიხეილ ჯავახიშვილი - „ჯაყოს ხიზნები“;
16. ნიკო ლორთქიფანიძე - „შელოცვა რადიოთი“;
17. კონსტანტინე გამსახურდია - „დიდოსტატის მარჯვენა“;
18. პოლიკარპე კაკაბაძე - „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმ.);
19. გალაკტიონ ტაბიძე - „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მშობლიური ეფემერა“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
20. ტიციან ტაბიძე - „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“;
21. პაოლო იაშვილი - „პოეზია“;
22. გიორგი ლეონიძე - „ყივჩაღის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“;
23. გურამ რჩეულიშვილი - „ალავერდობა“;
24. ანა კალანდაძე - „მკვდართა მზე ვარ“ (...ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ...);
25. გურამ დოჩანაშვილი - „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“;
26. ჯემალ ქარჩხაძე - „იგი“.

**ამონარიდებისა და ფრაგმენტების მითითებები
საბაზო და საშუალო საფეხურის სავალდებულო ლიტერატურისათვის**

სულხან-საბა ორბელიანი:

„მოგზაურობა ევროპაში“, ს.-ს. ორბელიანი, თბილეთი, ტ. 1, თბ., 1959.

ფრაგმენტი 1.

დასაწყისი: „წამოვედით სადილს უკან...“ (გვ. 196, სტრ. 5 – ქვემოდან) - დასასრული: „...და წამოვედით...“ (გვ. 197, სტრ. 21).

ფრაგმენტი 2.

ა) დასაწყისი: „მალთელები...“ (გვ. 231, სტრ. 19) - დასასრული: „...ქართული...“ (გვ. 231, სტრ. 25).

ბ) დასაწყისი: „მალთისელები...“ (გვ. 237, სტრ. 2 – ქვემოდან) - დასასრული: „...მე დაუშაღე...“ (გვ. 238, სტრ. 6).

დავით გურამიშვილი:

„სწავლა მოსწავლეთა“, დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული, გამომც. „სახელგამი“, თბ., 1955 წ. (სტრ. 20, 25-29, 23, 30-37).

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

წერილი მაიკო ორბელიანისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, პეგ. თბ. 2005. თავიდან (გვ. 83) შემდეგ სიტყვებამდე: „...მეტადრე თუ ბევრ ამბებსაც მომწერ“ (გვ. 84).

ილია ჭავჭავაძე:

„ორიოდე სიტყვა თავად რევან შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან "შემლილის" თარგმნაზედა“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1991. სიტყვებიდან: „ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში...“ (გვ. 30) სტატიის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ჩვენ ვინა და კალამი ვინა?“ (გვ. 31).

„ზოგიერთი რამ“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, თბ. გამომც. „მეცნიერება“, 1991. თავი III მთლიანად – სიტყვებიდან: „პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე...“ (გვ. 162) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...შვილი აღარა ჰსწოვს“ (გვ. 163); V თავი მთლიანად – სიტყვებიდან: „იმერელი, გურული, მეგრელი...“ (გვ. 164) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ჩვენ – იშვიათი“ (გვ. 165); VII თავის ორი აბზაცი სიტყვებიდან: „მამული!.. ამ სიტყვის...“ (გვ. 166) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...საყევარში ერთად ბმულა“ (გვ. 167) და VIII თავი მთლიანად სიტყვებიდან: „ზღვა კოვზით არ დაილევას...“ შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“ (გვ. 168).

„ერი და ისტორია“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 10, თბ. "ილიას ფონდი", 2007. დასაწყისი სიტყვებიდან: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს“ (გვ. 385) იმავე გვერდზე, აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ყოველივე ბუნებური კანონი“; სიტყვებიდან: „...შვილმა უნდა იცოდეს“ (გვ. 387) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მის მიზამძვას ეცადოს“ (გვ. 389).

„შინაური მიმოხილვა“, (სიტყვა გლეხობისადმი მიმართული წინამძღვრიანთკარში სკოლის გახსნაზე ჩართულია შინაურ მიმოხილვაში), ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.7, თბ. "ილიას ფონდი", 2005. სიტყვებიდან: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა“ (გვ. 172) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...უფრო ბლომად ამოიღებო“ (გვ. 173) და ერთი აბზაცი 175-ე გვერდზე სიტყვებიდან: „...ამიტომ ვამბობ...“ აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...დაიწყებს ლაპლაპს“.

„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XIII, თბ. "ილიას ფონდი", 2007. სიტყვებიდან: „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა...“ (გვ. 177) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ყურმოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა“ (გვ. 180).

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XIII, თბ. "ილიას ფონდი", 2007. დასაწყისი სიტყვებიდან: „...აჰა, კიდევ ერთი ახალი წელიწადი!...“ (გვ. 492) აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რით გაგახაროთ?“; სიტყვებიდან: „...რა არ გადაგვხდენია თავს...“ (გვ. 493) სტატიის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (გვ. 496).

იაკობ გოგებაშვილი:

„შინაური მიმოხილვა“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1955. სიტყვებიდან: „დიაღ, სუსტია ჩვენში...“ (გვ. 362) იქვე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „თავიანთ ქვეყნის ბედნიერება“ და სიტყვებიდან: „ჩვენში პატრიოტობა...“ (გვ. 363) იქვე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „ევროპის დემოკრატიისა“.

„ბურჯი ეროვნებისა“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, საქ. სსრ გან. სამინ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნ. ინსტიტუტი, თბ. 1954. XIII თავი სიტყვებიდან: „ხოლო ერის გადაგვარება...“ (გვ.239) აბზაცის ბოლომდე შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „დიდებულს სალაროს“.

„რანი ვიყავით გუშინ“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, ტ. II, საქ. სსრ გან. სამინ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნ. ინსტიტუტი, თბ. 1955. სიტყვებიდან: „ჩვეულებრივის აზრით...“ (გვ. 339) იქვე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ამტყუნებს ამ შეხედულებას“ და სიტყვებიდან: „მართალია, მაშინდელი ჩვენი...“ (გვ. 343) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...დადგინება საქართველოში რესპუბლიკისა“ (გვ. 344).

ვაჟა-ფშაველა:

„ნიჭიერი მწერალი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ. 1964, ტ. IX, სიტყვებიდან: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა...“ (გვ. 294) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ინდივიდუალობის ბრალია“ (გვ. 295) და გვ. 298 სიტყვებიდან: „ვინ არის ნიჭიერი მწერალი? ვისაც დიდად უყვარს ადამიანი...“ ბოლომდე, შემდეგ სიტყვებამდე: „ყალბი იყავ და ყალბად მაჟღერებდი“.

„ენა“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ. 1964, ტ. IX, სიტყვებიდან: „რას ჰქვია ენის ცოდნა?..“ (გვ. 186) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...უმწიკვლოდ ქართული ენა“ (გვ. 187).

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ. 1964, ტ. IX, თავიდან, სიტყვებიდან: „ზოგს ჰგონია, რომ...“ (გვ. 252) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...გამეფებულა დედამიწის ზურგზე“ (გვ. 253) და ბოლო ორი აბზაცი, სიტყვებიდან: „...პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა“ (გვ. 254) ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (გვ. 254).

„კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ. 1964, ტ. IX, თავიდან (გვ. 361) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რომელიმე მწიგნობრული ამბები“ (გვ. 367) და სიტყვებიდან: „...ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალ...“ (გვ. 369) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „საქართველოს მომავალი სვე-ბედი“ (გვ. 369).